საერთო გაზეთი

№3 (736)
ოთხშაბათი
31 იანვარი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.

ირაკლი ღარიბაშვილი:

„ქართული ოცნება“ უნდა მოემზადოს არჩევნების დამაჯერებლად მოგებისთვის

ძვირფასო მეგობრებო, მსურს საზოგადოებას ვაცნობო გადაწყვეტილების შესახებ, რომელზეც გუნდთან ერთად ვიმსჯელეთ. დღეს მე ვტოვებ პრემიერ-მინისტრის თანამდებობას.

ნება მომეცით მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ განვმარტო ამ გადაწყვეტილების მიზეზები. სულ ახლახან, გასული წლის ბოლოს, მე საზოგადოებას ჩავაბარე ვრცელი ანგარიში ჩემი სამწლიანი საქმიანობის შესახებ. მოგეხსენებათ, მთავრობის მეთაურის პოზიციაზე მეორე ვადით მუშაობა ურთულეს პერიოდში, შიდა თუ საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური კრიზისების პირობებში დავიწყე. მე პირნათლად ვემსახურე ჩვენს ქვეყანას, უკომპრომისოდ ვიცავდი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს და მე ვამაყობ შედეგებით, რომლებსაც ამ პერიოდში გუნდთან ერთად მივაღწიეთ. ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში მე ორჯერ მომიწია ამ უმაღლეს თანამდებობაზე მუშაობა, ჯამში ყველაზე მეტ ხანს — 5 წელი ვიყავი პრემიერ-მინისტრი. ჩვენი პოლიტიკური გუნდის სიძლიერის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი არის შიდა დემოკრატია, რომლის ყველაზე მკაფიო გამოვლინება გახლავთ როტაციის პრინციპი - გუნდში მრავალი წარმატებული ლიდერია და საჭიროა, სხვებსაც მიეცეთ შესაძლებლობა; მით უმეტეს, რომ ახლა ახალი ამოცანების წინაშე ვდგავართ - შემოდგომაზე ახალ პარლამენტს ავირჩევთ და ქართული ოცნება უნდა მოემზადოს არჩევნების დამაჯერებლად მოსაგებად, რათა გავაგრძელოთ წინსვლა სხვა, უფრო დიდი მიზნების მისაღწევად.

ამ პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, პოლიტსაბჭოსგან მივიღე შეთავაზება, დავიკავო პარტიის თავმჯდომარის თანამდებობა და ამასთან დაკავშირებით ყრილობა გაიმართება 1 თებერვალს. არ დაგიმალავთ, რომ პოლიტსაბჭოში განვიხილეთ შესაძლებლობაც, რომ თანამდებობაზე ზაფხულში, საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე, დავრჩენილიყავი, თუმცა ვარჩიე, ახლა მიმეღო ეს გადაწყვეტილება - მნიშვნელოვანია, რომ შემდეგმა პრემიერმა დროულად წარადგინოს თავისი გუნდი და ჩამოაყალიბოს ახალი მთავრობა. მე წარმატებებს ვუსურვებ ახალ პრემიერ-მინისტრს!

ჩემთვის კი დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, გავაგრძელო მუშაობა პარტიაში, აქტიური მონაწილეობა მივიღო საარჩევნო პროცესში და, ზოგადად, ჩვენი ქვეყნის განვითარებაში.

პრემიერ-მინისტრად მუშაობისას გაწეული უდიდესი მხარდაჭერისათვის მადლობას ვუხდი ჩვენი პარტიის დამფუძნებელს და საპატიო თავმჯდომარეს — ბატონ ბიძინა ივანიშვილს, პარტიისა და პარლამენტის ხელმძღვანელობას და წევრებს, სამინისტროების ხელმძღვანელებს და თითოეულ თანამშრომელს, მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომლებს, ყველა საჯარო მოხელეს!

თანადგომისათვის განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეუღლეს, შვილებს, მშობლებს. იმედი მაქვს, ახლა მექნება შესაძლებლობა მეტი დრო დავუთმო ოჯახს.

მშვიდობას, კეთილდღეობასა და გაერთიანებას ვუსურვებ ჩვენს სამშობლოს!

ამერიკაში დენთის სუნი ტრიალებს

ომის დასრულება რუსეთზეა დამოკიდებული

„თინა ტაივანსკი“

პატივსაგები კაცი უმადურების წრეში

12 წელი გავიდა, რაც საქართველომ მხრებიდან მართლაც მოიხსნა სააკაშვილის სისხლიანი უღელი და საქართველოს მოქალაქეებმა მართლაც რომ შვებით ამოისუნთქეს, მაგრამ დახეთ, საოცრებას! – დემენცია დაემართათ, უფრო ზუსტად, დემენციის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანი — მეხსიერების სრული ან ნაწილობრივი დაკარგვა, რაც უმადურობასა და დაუნახაობაში გამოვლინდა. თუ ასე არ არის, სხვას რას უნდა ნიშნავდეს რიგითი ადამიანების პრეტენზიები და გულისწყრომა კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში კიდევ ერთხელ მობრუნების გამო, ყველა მათგანი „ნაცკოორდინატორი“ ან „ნაცმოსგან“ რაღაცით დავალებული ხომ არ არის? კი, სამართალი და სამართლიანობის აღდგენა გარე ძალებისგან არნახული ზეწოლის გამო აუსრულებელ დაპირებად დარჩა და შერჩევითმა სამართლმაც ფეხა გამოიღო, გალაღდა, მაგრამ სხვა დანარჩენი?

მარტივად ვთქვათ — ასობით უკანონო პატიმარი გათავისუფლდა სასჯელაღსრულების ადგილებიდან (კანონიერად დაპატიმრებულებიც კი გამოჰყვნენ ამ ტალღას);

ოფიციალური სტრუქტურების თანამშრომლების მიერ ათასობით ადამიანის წამება, სადისტური ცემა-გვემა, გაუპატიურება და გაუპატიურების მუქარა არა მხოლოდ სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და პოლიციის განყოფილებებში, მოდულის შენობასა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში — შეწყდა;

ბიზნესის „სავალდებულო რეკეტზე“ — ჩამორთმევა-მიტაცებაზე აღარაფერი გვსმენია;

„ნაცმოს“ შვილობილი ყველა მედიასაშუალება, თავისი ჟურნალისტებიანად, კვლავ „ნაცმოს“ სამსახურშია და უფრო მეტადაც იბარტყა. ყველა მათგანი ისეა მიშვებული, რასაც მოისურვებენ და ვის წინააღმდეგაც დაუკვეთენ ლაფის სროლას, ან რისამე პროპაგანდას დაავალებენ, კაცი არაა პასუხის მომთხოვი და თითის დამქნევი, ანუ აბსოლუტურად თავისუფალ-მიშვებულია თვით შინაგანი ცენზურისგანაც კი;

მამალ თუ ჩუმ „ნაცმოელებს“ ბუზიც არ აფრენიათ ცხვირწინ, კვლავ საკუთარ სამსახურებსა და პოზიციებზე დარჩნენ და ძველებურადვე მავნებლობენ...

ჩამონათვალი ვრცელია და ყველა სფეროს მოიცავს , ქვეყნის ქვაკუთხედით — ძალოვანი სტრუქტურებით დაწყებული, ნებისმიერი სფეროთი დამთავრებული!

ქვეყნის ხორცმეტი ე. წ. ასოებიც — გაშიფრული უცხო ქვეყნების აგენტები თუ გავლენის აგენტები კვლავ ჟივჟივებენ!

და ეს ქვეყნის მთელი ბალასტი ერთად ისევ რომ უკმაყოფილოები არიან „ქართული ოცნებისა“ და პირადად ბიძინა ივანიშვილისა და იმაზე მსჯელობენ, რატომ მობრუნდა პოლიტიკაში!

დაუნახავ და უმადურ ბრბოს ვერ გააგებინებ და არც გაიგებს, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმისგან გათავისუფლებული საქართველო, რომ არა ამ პატივსაგები კაცისა და მისი გუნდის სწორი სვლები შინ თუ გარეთ, ახლა ნაცარტუტად იქნებოდა ქცეული...

2024 წლის შემოდგომაზე ღვთის ნებით, კიდევ ერთხელ მოვა 1-ელი ოქტომბერი და ვინც საქართველოში ცხოვრობს და აზროვნებს კიდეც, კიდევ ერთხელ აირჩევს ხელისუფლად „ქართულ ოცნებას“, ხოლო ის პირები და პირთა ჯგუფები, რომელთაც ოცნებები დაუმსხვრია ბიძინა ივანიშვილის „ქართულმა ოცნებამ“, კიდევ ერთხელ დააპირებენ არეულობის მოწყობას.

იგესლებიან და საკუთარ გესლშივე იხრჩობიან, რადგან თვითონვე გამოდეს საკუთარი შიშველი რაობა შარაზე, სარგებელი ეკარგებათ პოლიტიკაში ტივტივის გარეშე რადგან, ტრენინგებზე ნასწავლი ფრაზების სროლის გარდა კი არც არაფერი იციან, ხოლო გარე ძალების მატერიალური თუ ტექნიკური შემწეობის გარეშე არაფერი შეუძლიათ.

ბიძინა ივანიშვილმა რა სარგებელი მიიღო 1-ელი ოქტომბრის მოყვანით?

ერთადერთი, თუ მანამდე მხოლოდ მისი გვარ-სახელი ჰქონდათ გაგონილი აქა-იქ, ახლა ყველამ ვიცით მისი არსებობის შესახებ და ვიცნობთ კიდეც; ასევე, გავიგეთ, ვინ არიან მისი ოჯახის წევრები და ზოგ მათგანს სახეზეც ვცნობთ; დანარჩენი, მისთვის არაფერი შეცვლილა სახეიროდ, პირიქით, საქართველოს სახით საზრუნავი და საარჩენი მოემატა მისი ოჯახის წევრებს კი ერთგვარი შემაკავებელი ფაქტორი გაუჩნდათ.

როდესაც პირველად გამოჩნდა ღიად ბატონი ივანიშვილი და თქვა, მე მოვედიო, ვერსიების კასკადი წამოვიდა: რა უნდა, რატომ გამოჩნდა, მჯდარიყო ისევ უხილავად და გაეგრძელებინა ჩვენი კვებაო.

პირველი ვერსია იყო, რომ ფულის საშოვნელად დაბრუნდა.

იმ დროს, როდესაც მისი პირადი ქონება ლამის საქართველოს ბიუჯეტს უტოლდებოდა, იმ ქვეყანაში დაბრუნდა ფულის საშოვნელად, სადაც ყველაფერი გაპარტახებული იყო და ქვეყნის შენების საძირკვლის ჩასაყრელად იქით არიგებდა ფულს?!

ფულის საშოვნელად იმ ქვეყანაში დაბრუნდა და დაპირისპირებულ მხარედ გამოჩნდა, სადაც სიცოცხლის ხელყოფის საფრთხის ქვეშ უნდა დაეყენებინა საკუთარი თავი და ოჯახის წევრები?!

კაცი, რომელსაც საშვილთაშვილოდ უზრუნველად ცხოვრება შეეძლო მსოფლიოს ნებისმიერ მხარეში, საქართველოში „ფულის კეთების სურვილმა“ დააბრუნა?

მეორე ვერსია — ხელისუფლების ხელში ჩაგდება უნდოდა.

ხელისუფლებაც ხელში ჰქონდა და თვითონვე აფინანსებდა გარკვეული დროით იმ ხელისუფლების ცალკეულ მიმართულებებს, რაც ქვეყანას წაადგებოდა და რომელსაც სახელად სააკაშვილის ხელისუფლება ერქვა. სააკაშვილი, რომელსაც დღესაც შიშის ფეთება ემართება მისი სახელის გაგონებაზე, უარს როგორ შეჰბედავდა რამეზე ან ნებისმიერ პოსტზე (ან შემდგომ, მის მიერვე მონაპოვარ ხელისუფლებაში ვერ დარჩებოდა ნებისმიერ თანამდებობაზე?)?!

მესამე ვერსიაა, რომ პუტინის, რუსეთის კაცია.

ამ ვერსიაში დღემდე ცოტა არეულად და, ამავდროულად, საინტერესოდ არის საქმე, მძიმე აზრთა სხვადასხვაობაა... ვიღაცებისთვის პუტინი ცალკე კაცია და რუსეთი ქვეყანაა; სხვა ვიღაცებისთვის — პუტინი და რუსეთი განუყოფელი არიან; კიდევ სხვა ვიღაცებისთვის — პუტინი ცალკე დაჯგუფებაა, რაც „დიდ რუსეთს“ წარმოადგენს, ხოლო რუსეთი ის რუსეთია, რომელიც პუტინს ებრძვის დასავლური ღირებულებების დასამკვიდრებლად.

მოკლედ, რომელი პუტინის ან რომელი რუსეთის კაცია ბიძინა ივანიშვილი, ამის გარკვევაში თვითონვე გაიხლართნენ ამ ვერსიის ქვევერსიების ავტორები.

ვერსია — ივანიშვილი „რუსეთში მოღვაწე კანონიერი ქურდების“ მოყვანილია.

ეს თუ ასე არ არის, აბა, რატომ არ ეხებოდნენ რუსეთში მის ბიზნესს მაშინ, როცა რუსეთში ძაღლი პატრონს ვერ ცნობდაო? ამ ვერსიას ვრცელი გადაცემაც (სიუჟეტებიც) მიეძღვნა, მაგრამ ყოველ ჯერზე უიმედოდ მიინავლა.

ვერსია — საქართველოს გასანადგურებლად აშშ-იდან ებრაელმა მასონებმა გამოაგზავნეს.

საფლავ-საფლავ და სოფელ-სოფელ სიარულმა ხელმოსაჭიდი ვერაფერი მისცა ვერსიების გამავრცელებელ კანტორას, შესაბამისად, ამ ვერსიამ ხეირიანად ამოსუნთქვაც ვერ შეძლო და მცირე გაფაფხურების შემდეგ ჩაკვდა კიდეც.

მოკლედ რომ ვთქვათ, ვერცერთმა ვერსიამ ვერ იმუშავა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დიდი ხანია, რაც აღნიშნული ვერსიების „ნიშები“ თვით ამ ვერსიების გამავრცელებლებს აქვთ დაკავებული და მათთან ერთად იმავე ვერსიებში ბატონი ივანიშვილისთვის ადგილი, უბრალოდ, აღარ დარჩა.

ასეთ მოცემულობაში, კრიმინალურ გაერთიანებას, ერთი კაცის პარტიას, ფაქტობრივად, სექტას, რაგინდ დაშლილ-დანაწევრებული იყოს, სანამ არ ამოიძირკვება, მუდმივად ექნება რევანშისტული აღტკინება, რადგან ძალიან ძნელია, უშრომელ შემოსავალსა და გაბატონებულ მდგომარეობას შეელიო.

იმ სექტაში ყველა ფანატიკოსი ხომ არ არის, ზოგი აზროვნებს კიდეც, მაგრამ რა ქნას, თუ პოლიტიკური „პოროხი“ არ ჰყოფნის, უნდა თუ არა, იძულებულია, პროვოკაციებისა და დესტაბილიზაციის გზით იაროს, არ დაიხიოს არც ცილისწამებებზე და არც არანაირ უგვანობაზე, რადგან სხვაგვარად, როგორც პოლიტიკას მიტმასნილი ხორცმეტი, უბრალოდ, ვერ გადარჩება.

სწორედ ამიტომ არის, რომ სულ იმის მცდელობაში არიან, მუდმივად იყოს რაიმე მიზეზის გამო დესტაბილიზაცია, ქაოსი, არეულობა, არ აქვს მნიშვნელობა, ამის მიზეზად რას მოიდებენ. ეს წყნარი, მშვიდი, გაწონასწორებული და კანონმორჩილი ხელისუფლება კი დუნე მდინარესავით მიედინება — სწრედ ეს არის, რაც მოვლენების სწრაფად განვითარებას შეჩვეული საქართველოს მოქალაქეების გულისწყრომას იწვევს.

ახლა კი ის ვიკითხოთ, 2012 წლის 1-ელი ოქტომბრისგან რა სარგებელი მიიღო ბიძინა ივანიშვილმა?

პასუხი ცალსახაა: ბევრი მტერი შინ და გარეთ და ბევრი უმადურზე უმადური დაუნახავი შინ!

მაია ჭელიძე

„თინა ტაივანსკი“

გასულ კვირას სოციალურ ქსელში ვიღაცამ დაწერა, „კრებსითი ხოშტარიები“ რუსეთის აგენტები არიან და რუსეთი აფინანსებს, ასო-ებს — აშშ, თინა ხიდაშელს — ტაივანი, ერთი მანჯურიის აგენტი გვჭირდება სრული ბედნიერებისთვისო. სანამ ბატონი შალვა პაპუაშვილის განცხადება არ მოვისმინე, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის, თინა ხიდაშელის არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეას“ ტაივანის ორგანიზაცია აფინანსებსო, მანამდე ხუმრობა მეგონა, შემდეგ კი არც გამკვირვებია, ტაივანი აშშ-ის ინტერესების გამტარებელია და „კრებსითი ხიდაშელების“ დაფინანსება რა გასაკვირია.

რა მარტივი ყოფილა — მთავარია, ერთხელ ჩაება საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ამუშავებულ ქსელში და თუ მოისურვებენ, არქტიკული პინგვინების აგენტიც გახდება სამშობლოს მოძულე არაკაცი თუ არაქალი.

ბატონმა პაპუაშვილმა ჟურნალისტებს გვთხოვა, დავინტერესდეთ, უჭერს თუ არა მხარს ქალბატონი ხიდაშელი ჩინეთის ტერიტორიულ მთლიანობას.

პირადად მე, იმაზე, რომ ქალბატონ თინასგან აღნიშნულ კითხვაზე პასუხი მივიღო, არ მოვცდები — ქალი, ქართველი, ე. წ. პოლიტიკოსი რომ აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ განიხილავს და ამას ხმამაღლა აცხადებს, იმას ჩინეთი და მისი ტერიტორიული მთლიანობა რაში დაედარდება? ჩინეთი კი არა, უცხო ქვეყნების ინტერესების გამო საკუთარ სამშობლოს წლებია, ხურდა ფულად ჰყიდის... კი, ნამდვილად ხურდებზე ჰყიდის, სხვაგვარად, აქამდე რატომ ვერ ამოიყორა?

აი, ასეთი ორგანიზაციები და ცალკეული პირები აყვირდებოდნენ „ფარაზე“, აბა, რას იზამდნენ, „რუსულ კანონადაც“ მონათლავდნენ, არამქვეყნიურადაც, მათი დამქირავებლებიც მხარს აუბამდნენ, სხვაგვარად როგორ მოიქცეოდნენ?

ქუთაისური ანეკდოტი გამახსენდა: აგენტი ჩავიდა ქუთაისში ადგილობრივი აგენტის სანახავად და ზარი დარეკა კარზე. კარი ჭიჭიკიამ გააღო. აგენტი ეუბნება: ამ დილას ჩემს ბაღში ვარდი გაყვავილდა. ჭიჭიკიამ ხელი აუქნია: ბიძია, აგენტს თუ ეძებ, ჩემს მაღლა სართულზე მარჯვენა კარში ცხოვრობსო. ასეა ჩვენი საქმეც და სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ ყველაფერი ვიცით ყველას შესახებ, სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის „ფარას“ შემოტანა სასწრაფო და გადაუდებელი საქმეა!

თინა ხიდაშელს ისევე ჰკიდია ცალ ფეხზე ტაივანი, როგორც საქართველო და მთელი მსოფლიო ერთად აღებული, ოღონდ თვითონ იყოს მატერიალურად უზრუნველყოფილი, მაგრამ ჩვენც ცალკეულ ხიდაშელებს გადავაყოლოთ მთელი საქართველოს ინტერესები? როდემდე უნდა იბოგინონ ერთმანეთზე გადანასკვულმა ასო-ებმა და პარტიებმა?

ქვეყანა საქართველოს, ქვეყნისთვის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, ჩინეთთან მრავალმხრივი პარტნიორული ურთიერთობის გაღრმავებისკენ აქვს გეზი აღებული და უცხო ქვეყნების მიერ დაქირავებული მსუნაგი ვიღაც-ვიღაცების გამო პრიორიტეტებს რომ არ დათმობს, გადასარევად იციან „ხიდაშელებმა“, მაგრამ თავი ხომ უნდა გამოიდონ გამომკვებავი ხელის წინაშე გოშიებმა...

ტაივანი და ჩინეთი, ანუ აშშ და ჩინეთი, როგორმე მიხედავენ თავიანთ საქმეს „ხიდაშელების“ ჩარევის გარეშეც, მაგრამ აკი ვთქვი, აგენტურული ქსელის გორგალში ერთხელ რომ მოხვდები, თურმე მუდმივად შეძლებ ერთი წვერი ძაფის თავის საშენოდ გამოწელვას...

ტაივანურ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ხიდაშელის „სამოქალქო იდეას“ აფინანსებენ, თურმე ტაივანის დემოკრატიული ფონდია, რომელიც ტაივანის გლობალურ მოძრაობაში გაფართოებული მონაწილეობისთვის იბრძვის, ასევე **Doublethink Lab**, რომლის მიზანი „მავნე ჩინური გავლენების ოპერაციებისა და დეზინფორმაციის კამპანიის კვლევაა“.

ჩინეთი თანამედროვე მსოფლიოში მეორე ადგილზეა აშშ-ის შემდეგ ეკონომიკის განვითარების მხრივ, რაც დიდ გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკაზე. ჩინეთს ორმხრივი ურთიერთობა აქვს 140 ქვეყანასთან და საქართველომაც რომ საკუთარი ქვეყნის სასარგებლოდ წარმართოს ჩინეთთან ურთიერთობები, რატომ არ უნდა გინდოდეს, თუ საკუთარი სამშობლოს მტერობა არ გინდა — ვიღაც ოხერი, ქართველი ხარ თუ ტაივანელი?

სტალინურ გულაგში გაჩენილი „კანონიერი ქურდების“ წრის უკანასკნელი წარმომადგენელს, წარმოშობით უიღურ ალიმჟან ტოხტახუნოვს, აზიური თვალების ჭრილისა და დაბალი ტანის გამო შეარქვეს „ტაივანჩიკი“. კაცს, რომელსაც სასარგებლო არაფერი გაუკეთებია ტაივანისთვის, „ტაივანჩიკი“ დაარქვეს მხოლოდ გარეგნობის გამო. მე რა დავარქვა ახლა ამ ტაივანის აგენტ ქალს, „თინა **CHina**“ თუ „თინა ტაივანსკი“?!

საქართველოს ხელისუფლება უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს „შუა დერეფნის“ განვითარებას, რომელშიც უდიდესი როლი ჩინეთს აკისრია.

„შუა დერეფანი“ სხვა არაფერია, რაც „აბრეშუმის გზის“ იდეა, რომელიც ედუარდ შევარდნაძემ ჯერ კიდევ სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს გააჟღერა ვლადივოსტოკში, რომელიც 90-იან წლებში უმნიშვნელოვანესი გეოსტრატეგიული ქვეყნის ფუნქციისა და კეთილდღეობის მომტანი პროექტი გახდა.

ნელ-ნელა სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების მთავრობები თუ ბიზნეს-წრეებიც დაინტერესდნენ, ხოლო აშშ-ის კონგრესში შეიქმნა „აბრეშუმის გზის“ მხარდამჭერ სენატორთა ჯგუფი სემ ბრაუნბეკის ხელმძღვანელობით.

1999 წელს, ედუარდ შევარდნაძის აშშ-ში ვიზიტის დროს, კაპიტოლიუმში გამართულ შეხვედრაზე „აბრეშუმის გზის“ 11 სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან ერთად, მონაწილეობდნენ აშშ-ის კონგრესისა და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები — აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში სემუელ ბერგერი, ზბიგნევ ბზეჟინსკი, ჯეიმს ბეიკერი და სხვები. შეხვედრის ყველა მონაწილემ მხარი დაუჭირა „აბრეშუმის გზის“ 1999 წლის სტრატეგიის აქტს.

საქართველომ და ჩინეთმა 1992 წელს დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა, მაგრამ, როგორც ჩანს, „რაღაც და ვიღაცები“ სერიოზულად უშლიდნენ ხელს შემდგომი კავშირებისკენ წინსვლას, მხოლოდ 2018 წელს ამოქმედდა შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

2023 წლის ივლისის ბოლოს, საქართველომ და ჩინეთმა ორმხრივი ურთიერთობის ახალ დონეზე — სტრატეგიულ პარტნიორობაზე გადასვლის შესახებ ოფიციალურად განაცხადეს, სექტემბერში კი ჩინეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი ცალმხრივად გაუქმდა — ჩინეთის მოქალაქეებს შეუძლიათ, 30 დღით შემოვიდნენ და დარჩნენ საქართველოში, როგორც ტურისტები.

„ქართულ ოცნებას“ ხომ ოპოზიცია არ ჰყავს, ოპოზიციის ნიშა ქვეყნის შიდა მტრებს უკავიათ, შესაბამისად, ერთხმად აყვირდნენ, რომ ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა რისკია დასავლეთთან ურთიერთობისთვის. რა უტვინოდ უბედურები არიან — ევროკავშირის ელიტა ლამის ევედრებოდა სი ძინპინს, მიგვიღეო და აღარ იციან, როგორ მიექვინთრიშონ, ხოლო ჩვენთვის თურმე რისკია!

საქართველოს აქვს ის, რისი შეთავაზებაც შეუძლია დასავლეთისთვის — საქართველოს „შუა დერეფნის“ ნაწილი, რომელიც განსაკუთრებულად აქტუალური უკრაინაში ომისა და აზიიდან ევროპაში გადაზიდვების უწყვეტი ჯაჭვის ახალი გზების ძიების ფონზე გახდა.

როდესაც ამბობენ, რომ საქართველო ალტერნატიული მარშრუტია ჩინეთიდან დასავლეთისკენ, როგორც ერთ რიგით საქართველოს მოქალაქეს, ბრაზი მერევა. ისედაც საკმარისად არის გაყალბებული საქართველოს ისტორიის ცალკეული ეპოქები და ახლა ეს, ოდითგანვე არსებული „აბრეშუმის გზის“ მარშრუტის ჩამორთმევაც მშვენივრად გამოსდით უწიგნურთა კიდევ უფრო დასაბლაგვებლად.

„აბრეშუმის გზა“ — ეს იყო ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც ჩინეთს ხმელთაშუა ზღვასთან და შავი ზღვის სანაპირო-ებთან აკავშირებდა.

ამ გზით ვაჭრობას დასაბამი ძვ. წ. II საუკუნეში მიეცა. აბრეშუმის გზა იწყებოდა სიანში. ქალაქ დუნხუანიდან იგი ორ განშტოებად მიემართებოდა დასავლეთისკენ. ორივე გზა, პირველი — ლობნორის ტბის ჩრდილოეთით ქალაქ ტურფანის, მეორე — იმავე ტბის სამხრეთით ქალაქ ხოტანისა და ქალაქ იარქენდის გავლით, ქალაქ კაშგარში იყრიდა თავს. აქედან ჩრდილოეთის გზა კასპიის ზღვის უკავშირდებოდა ამიერკავკასიას, გადაკვეთდა საქართველოს და ფასისიდან შავი ზღვით ბიზანტიასა და რომს აღწევდა. ასე რომ, საქართველო იბრუნებს ჩამორთმეულ გზას და ორ საუკუნესაც ვერ მოაკლებს ამ გზას კრებსითი თინა ხიდაშელების „ტაივანსკობა“.

ახლა როგორ არის ეს საკითხი, არ ვიცი, მაგრამ ასე იყო არცთუ დიდი ხნის წინათ — ტაივანის მოქალაქეობის მქონე პირებს, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, არც ვიზით და არც სხვა რაიმე დოკუმენტით საქართველოში არ უშვებდნენ. ტაივანის საგარეო საქმეთა მინისტრი ტაივანელებს საქართველოში ტრანზიტული ფრენებისგან თავის შეკავებას ურჩევდა, საქართველო ტაივანთან არამეგობრულად არის განწყობილიო. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში კი განმატავდნენ, რომ სავიზო პროცედურები იმის გამო არ იწარმოებოდა, რომ ტაივანი საერთაშორისო სამართლის სუბიექტი არ იყო. იმ დროისთვის ტაივანს მხოლოდ 14 ქვეყანა და ვატიკანი აღიარებდა, მაგრამ მსოფლიოში თავისუფლად გადაადგილდებოდნენ ტაივანელები, თვით ჩინეთშიც, მხოლოდ საქართველოში იყო აღნიშნული აკრძალვა — მაშინ არ აჩხავლებულა „თინა ტაივანსკი“ და ახლა რა ბზიკმა უკბინა-მეთქი, ვიტყოდი, მაგრამ არ ვიტყვი, რადგან პასუხი ვიცი — მაშინ ჯერ კიდევ არ ეკავა ხელში ტაივანური ძაფის წვერი და რა რჯიდა, სულ ცალ ფეხზე არ ეკიდა ტაივანიცა და მისი მოქალაქეებიც?

სიმართლე რომ ვთქვა, მე ის უფრო მაინტერესებს, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის იმედი რომ გვაქვს, ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში ეს რანაირად ახდება. ჩვენ „შუა დერეფანმა“ აგვაკაკან-ამოგვასუნთქოს და ევროპაში დავდოთ კვერცხი? ადამიანმა ხომ უნდა გაიაზროს, რა მიზნები შეიძლება ჰქონდეს ევროკავშირს და რა შედეგი შეიძლება დაუდგეს საქართველოს?

მე ვიტყვი და აბა, მომისმინეთ: დიდი მკითხაობა არ უნდა იმას, რომ ევროკავშირი მაქსიმალურად ნიღბავს პოლიტიკურ ინტეგრაციას ეკონომიკურად. გასული საუკუნის შუა ხანებში ჟან მონეს მიერ შეთავაზებული იდეების მიხდვით, ევროკავშირი ცდილობს, სუვერენული ევროპული სახელმწიფოების საფუძველზე შექმნას სტრუქტურა, რომელიც შეიძლება, მართოს ზენაციონალურმა მთავრობამ. თავად მონემ აღიარა, რომ ეს სისტემა აიძულებს კავშირის ქვეყნებს, მიიღონ თავიანთი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები — მაგრამ ევროკავშირის ხელმძღვანელობას სულაც არ ანაღვლებთ ამ სახელმწიფოების სუვერენიტეტი; ყველა ქვეყანას, რომელიც უერთდება ამ კავშირს, ეროვნული იდენტობის ფაქტობრივი დაკარგვა ემუქრება. არსებითად, ისინი ნებაყოფლობით გადასცემენ პარლამენტებისა და მთავრობების უფლებამოსილებებს ევროპულ სტრუქტურებსა და ოფიციალურ პირებს.

დიდმა ბრიტანეთმა დაახლოებით 60 მლრდ. ევრო გადაიხადა ევროკავშირიდან გასვლის სანაცვლოდ. ბრექსიტის ძირითადი მიზეზები იყო ევროპული ბიუროკრატია, მაღალი შენატანები ევროკავშირის ბიუჯეტში და უკმაყოფილება იმით, რომ საჭირო იყო ევროკავშირის ხელმძღვანელებთან საბედისწერო პოლიტიკური გადაწყვეტილებების დელეგირება. ეს ყველაფერი ხომ ჩვენც გველის, თუ ევროკავშირის წევრი ქვეყანა გავხდებით?

ამ მოცემულობაში იმ ევროკავშირის სურვილებსა და მითითებებზე უნდა იაროს საქართველომ, რომელსაც საკუთარი ეკონომიკის სტაბილიზაცია არ შეუძლია, თუ თავისთვის უნდა გაიავაკოს მისთვის მომგებიან ველზე ყოველგვარი „ტაივანსკების“, „ლიკებისა“ და „ძია სემების“ გვერდის ავლით?!

ზურა ოშხერელი

უნდა შედგეს ქართული „ნიურნბერგის პროცესი“!

„უნდა მოეწყოს ქართული „ნიურნბერგის პროცესი“, რათა კოლექტიურმა ნაცმოძრაობამ პასუხი აგოს როგორც 2012 წლამდე ჩადენილი უმძიმესი დანაშაულებებისთვის, როგორიცაა ადამიანების წამება, ბიზნესის რეკეტი, „ელიტური“ კორუფცია, არჩევნების გაყალბება, ტელევიზიების მიტაცება, ქვეყნის ტერიტორიების რუსეთისთვის ჩაბარება და მრავალი სხვა, ასევე იმ დანაშაულებებისთვის, რასაც ისინი დღემდე ჩადიან“.

ეს არის ამონარიდი მოძრაობა „ხალხის ძალის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციიდან, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც სისტემის გასამართლებას და 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამოძიებას მოითხოვს.

რა მეთოდით აპირებენ ამ პროცესის განხორციელებას, „საერთო გაზეთს“ საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი ზურაბ ქადაგიძე ესაუბრება:

- რაც აქამდე არ მომხდარა და რასაც ობიექტური მიზეზიც აქვს, ის არის, რომ „ნაცმოძრაობა“, როგორც სისტემა, არ გასამართლებულა. გასაგებია, კონკრეტულ პირებზე მიმდინარეობს გამოძიება, მაგრამ სისტემის საქმიანობას, რომელიც სახელმწიფო უწყებებში ერთი ნარატივით მოქმედებდა და ქმნიდა ძალადობრივ რეჟიმს, მთლიანობაში შეფასება სჭირდება. ასევე, ძალიან ბუნდოვანია 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდი და ის პროვოკაციები, რომელსაც ოკუპანტი რუსები ახორციელებდნენ.

რატომ აქამდე არ დადგა ეს საკითხი დღის წესრიგში? - ჩვენ გვქონდა როგორც სტრასბურგში, ასევე ჰააგაში საქმეები, რომელსაც კონკრეტული დასკვნა სჭირდებოდა. იმისათვის, რომ ჩვენი შიდა პოლიტიკური დაპირისპირება თუ სამართლებრივი შეფასება არ გამოეყენებინა ოკუპანტ მხარეს სასამართლოში ინსიმულაციური კამპანიის წარმოებისთვის, სახელმწიფოთა შორის დავას და საერთაშორისო შეფასებას ვგულისხმობ, მიზანშეწონილი იყო, ეს თემა არ წამოგვეწია.

ახლა სრულად არის გამართლებული საქართველო, როგორც დაზარალებული მხარე, რუსეთი კი როგორც ოკუპანტი და აგრესორი საქართველოს წინააღმდეგ, დეკლარირებულია საერთაშორისო შეფასებით. ამიტომ ჩვენ უკვე შეგვიძლია და აუცილებელიც არის, დავუბრუნდეთ ისეთ ბუნდოვარ საკითხებს, როგორიცაა მაგალითად, ევროსაბჭოს რეზოლუცია 16/33, სადაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მხარი დაუჭირა ორ ძალიან მნიშვნელოვან პუნქტს. რის საფუძველზეც - ქართველ ჯარისკაცებს დაბრალდათ ომის დანაშაულებები, მეორე - საქართველო და რუსეთი თურმე ერთდროულად არღვევდა საერთაშორისო შეთანხმებებს და დამნაშავე იყო ორივე ერთად. ანუ, ამ რეზოლუციით საქართველოს შეუქმნეს რეპუტაციული პრობლემა საერთაშორისო ასპარეზზე. საქართველო გამოდიოდა რუსეთთან ერთად დანაშაულის თანაზიარი და შავით თეთრზე იყო მითითებული, რომ ქართული ჯარი იყო დამნაშავე, რასაც წლების განმავლობაში გვიმალავდნენ, ვიდრე ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ არ მოვიდა. ეს რეზოლუცია დაახლოებით 2014-2015 წელს აღმოაჩინეს, გაშიფრეს და სააშკარაოზე გამოიტანეს.

- როგორ ფიქრობთ, ეს შეცდომა იყო თუ გამიზნულად ჩადენილი დანაშაული?

- ზუსტად აქ იბადება მთავარი კითხვა - რატომ ახლა? დიახ, დღეს არის აუცილებლობა, ნათელი მოეფინოს, შეცდომა იყო ეს, ვინმეს დავალებას ასრულებდნენ, განზრახ იყო გაკეთებული თუ რაიმე გეგმას მიყვებოდნენ გარედან მიღებული კონკრეტული დავალებით?! ამიტომაც არის აუცილებელი აგვისტოს მოვლენების შეფასება მთლიანობაში. უნდა შეფასდეს ასევე, 2004 წელს მომხდარი პროვოკაცია, როდესაც ცხინვალთან დაიძაბა სიტუაცია და ჩვენი რამდენიმე სამართალდამცველი დაიღუპა. არც ეს საქმეა გამოძიებული.

2012 წლის შემდეგ, კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ გაიყო. სხვადასხვა ფლანგზე ზოგი „ენჯეოდ“ წარმოგვიდგა, ზოგმა პარტია დაარეგისტრირა და ზოგმა მოძრაობა... და ეს ადამიანები დღემდე აგრძელებენ მიზანმიმართულ ანტისახელმწიფოებრივ კამპანიას. თითოეული მათი მოქმედება გათვლილია იმისათვის, რომ პოლიტიკური დაძაბულობა და დესტაბილიზაცია გამოიწვიონ. ამ ყველაფერს ესაჭიროება სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება. დაიღალა საზოგადოება ამ დაბინძურებული პოლიტიკური სპექტრისგან, კვაზი- ოპოზიციისგან, რომელიც დოტაციაზეა, საერთაშორისო და უცხოელი მმართველების მხრიდან. აბსოლუტურად ყველანაირ ანტისახელმწიფოებრივ კამპანიაში არიან ჩართული ეს ადამიანები. ამას აუცილებლად სჭირდება შეფასება.

ჩვენს მოთხოვნას აქვს პოლიტიკური საფუძველი, აქვს სამართლებრივი საფუძველი და ვალდებულებაც, რომ აუცილებელია ამ რეზოლუციების, დანაშაულებების მიჩქმალვის, თუნდაც, ჰაგასთან არ თანამშრომლობის გამოძიება. არის ძალიან ბევრი კითხვა, ძალიან ბევრი ნივთმტკიცება იყო დამალული. შემდეგ უკვე ახალ ხელისუფლებას მოუწია კოლოსალური მასშტაბის სამუშაოების წარმოება იმისათვის, რომ ჰაგასთან და სტრასბურგთან ემუშავა, წლების წინ მიჩქმალული ნივთმტკიცებები მოეძიებინა, ჩაერთო საქმეში და საქმის წარმოება დაეწყო.

- არ მგონია, რომ ამ საქმეში მმართველი გუნდის მხარდაჭერა მიიღოთ, რადგან როგორც მათ განაცხადეს, რეჟიმის გასამართლება ახლა, დამატებით ტურბულენტობას შესძენს ისეც მძიმე სიტუაციას...

- ეს ყველაფერი დღეს და ხვალ ვერ მოხერხდება. ამის ყველაზე კარგი შანსი არის 2024 წლის არჩევნები, რა დროსაც აბსოლუტურად უნდა გაემიჯნოს ერთმანეთს კოლექტიური პარაზიტები და დანარჩენი პოლიტიკური სპექტრი, რაციონალურად მოაზროვნე, მართლა სახელმწიფოზე მოფიქრალი ადამიანები. ცოტანი არიან ესენი თუ ბევრნი, საზოგადოებამ უნდა დაინახოს, რისთვისაც საჭიროა მაქსიმალური მობილიზება და მაქსიმალური ჩართულობა არჩევნებში. 2024 წელს აბსოლუტურად უნდა გაირიყოს პოლიტიკური სივრციდან ეგრეთ წოდებული ლიბერალური ფაშიზმის წარმომადგენელი კოლექტიური ნაცმოძრაობა.

ხალხის ძალის მხარდაჭერით არჩეული ლეგიტიმური პარლამენტი ყველაფერს შეძლებს. პარლამენტს აქვს უნიკალური საშუალება, შექმნას პოლიტიკური დისკუსიის მექანიზმი, რასაც მოყვება შემდეგ კონკრეტული სამართლებრივი ღონისძიებები. თორემ დღეს და ხვალ ეს წარმოუდგენელია.

„ხალხის ძალამ“ ძალიან ბევრი ინფორმაცია გამოიტანა კულუარებდან, რათა საზოგადოებას ენახა თუ რა ხდებოდა რეალურად კულისებში, როგორი ზეწოლის ქვეშ იყო ქართული პოლიტიკა და რა ბერკეტებით ცდილობდნენ ქვეყნის „გაშავებას“ საერთაშორისო მასშტაბებით.

ახლა კი, საზოგადოებას აინტერესებს, რას ჰპირდება „ხალხის ძალა“, როგორც კონკრეტული პოლიტიკური საკითხების მდგენელი, სამომავლოდ, რომელმაც პოლიტიკურ დღის წესრიგში ლომის წვლილი შეიტანა?! ჩათვალეთ, რომ „ხალხის ძალამ“ საზოგადოებას პირველი დაპირება ახლა მისცა: აუცილებლად შედგება ქართული „ნიურნბერგის პროცესი“, სადაც პოლიტიკურ- სამართლებრივ შეფასებას მიიღებს კოლექტიური „ნაცმოძრაობა“, როგორც ხელისუფლების პერიოდში, ასევე ოპოზიციაში ყოფნის დროს ჩადენილი დანაშაულებების გამო.

- მმართველი გუნდის ორმა ლიდერმა ადგილები გაცვალა. მალე ირაკლი კობახიძე პრემიერ-მინისტრის სავარძელს ჩაიბარებს, ირაკლი ღარიბაშვილი კი პარტიის თავმჯდომარის პოზიციაზე გადაინაცვლებს. როგორ შეაფასებდით ამ ცვლილებას?

- ჩვეულებრივი პროცესია, როდესაც ორი ძლიერი მოთამაშე ცვლის პოზიციებს ერთ გუნდში და კონკრეტული მიმართულებით იწყებს მუშაობას. 2024 წელი ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნების წელია, სადაც უნდა დადგეს ხელისუფლების ძლიერი გუნდი პრინციპული და სწორი სტარტეგიით.

ძალიან რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მოუწია ირაკლი ღარიბაშვილს მუშაობა: გახარიას ღალატი, პოლიტიკური კრიზისის მცდელობა ოპოზიციის მხრიდან, პანდემია, მყიფე ეკონომიკური მდგომარეობა და ბევრი სხვა.

„აუცილებელია კონსტიტუციური წონასწორობის აღდგენა“- ეს იყო პირველი განცხადება მისი პრემიერობის კანდიდატად წარდგენისას და მას შემდეგ ხისტად, პრინციპულად, რაციონალური სტრატეგიით მიჰყვა პროცესებს; პოსტ- პანდემიური ეკონომიკის გაჯანსაღება, უპრეცენდენტო მასშტაბის რეგიონული ინფრასტრუქტურული პროექტების დაწყება, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, საქართველო- ჩინეთის სტრატეგიული ხელშეკრულების გაფორმება, მედიაცია სომხეთ- აზერბაიჯანის სამშვიდობო მოლაპარაკებებში, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა და რაც მთავარია- გლობალური ომის პარტიის წინააღმდეგ პრინციპული წინააღმდეგობა, რამაც გარანტირებული მშვიდობა მოიტანა. რთული და ამავდროულად, წარმატებული ორი წელი გაიარა საქართველომ ირაკლი ღარიბაშვილის მეთაურობით.

რაც შეეხება ირაკლი კობახიძეს, ის არის საკმაოდ ძლიერი და პროფესიონალი პერსონა ქართულ პოლიტიკაში, ბოლო ათწლეულის განმავლობაში. ჩვენ ვნახეთ მის მიერ არაერთხელ წარმატებით ჩატარებული არჩევნები, მედიაცია სამართლებრივი თვალსაზრისით, კონსტიტუცია - მისი ავტორობით და არის მოლოდინი, რომ მისი საქმიანობა პრემიერ-მინისტრის რანგშიც წარმატებული იქნება.

ჩავთვალოთ, რომ ეს გადანაცვლება არის კონკრეტული სტრატეგია, რათა ქვეყანა საბოლოოდ გავიდეს იმ მოჯადოებული წრიდან, რასაც კოლექტიური ნაცმოძრაობა ქვია.

- როგორ ფიქრობთ, ოპოზიციის შესაძლო გაერთიანების მცდელობა განსაზღვრავს თუ არა მმართველი პარტიისთვის საარჩევნო სტრატეგიას?

- ვერანაირად ვერ განსაზღვრავს, რადგან მათ მიერ ჩატარებული კვლევებითაც კი, 5- პროცენტიანი ბარიერის გადალახვის შანსი აქვს მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობას“. აქაც უკვე გამოჩნდა, რომ საგრძნობლად კლებულობს მათი მხარდამჭერების რაოდენობა. რაც შეეხება ერთპროცენტიან პარტიებს, გაერთიანდებიან თუ არა ისინი, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, საბოლოო ჯამში ვერანაირ შედეგს ვერ დადებენ.

- დავით უსუფაშვილმა ტაივანს დემოკრატიის კუნძული უწოდა და სიამაყით განაცხადა, რომ თინა ხიდაშელი ტაივანიდან ფინანსდება. ამიტომაც ეწინააღმდეგება ის საქართველო- ჩინეთის ურთიერთობას. როგორც ჩანს, ეს ამბავი „ლელოს“ არ აღელვებს, რომლის პოლიტსაბჭოს წევრიც არის უსუფაშვილი...

- სამწუხაროდ, აგენტის ბედი ასეთია. აგენტმა და ბენეფიციარმა, რომელიც გარე აქტორებზეა დამოკიდებული, რა დავალებასაც მიიღებს, ის უნდა აკეთოს.

სადაც ხაზარაძე ჰყავთ ლიდერად, ცნობილი მევახშე, მიხეილ საკაშვილის ჯიბის ჩარჩი და მისი რეჟიმის დროს დაფრთიანებული მილიარდერი, მათგან რა უნდა გაგიკვირდეთ! რატომ გვაქვს წარმოდგენა, რომ ისინი სხვა მეთოდს შემოგვთავაზებენ?! ასეთი ადამიანებით არის დაბინძურებული ოპოზიციური სპექტრი, რომელსაც თუნდაც კონკრეტული გეგმით, ხუთ წელიწადშიც არა აქვს არანაირი პერსპექტივა.

თანდათან ფაზლი იწყობა და ვხვდებით, რატომაც დაატრიალეს მარტის მოვლენები და რატომ არ უნდოდათ, გამჭვირვალე გამხდარიყო, ვინ ვის აფინანსებს!

საბედნიეროდ, ახლა 2024 წელია და 2003 წლისგან განსხვავებით, საზოგადოებას შეცდომაში ვეღარავინ შეიყვანს. მაქვს პოზიტიური მოლოდინი იმისა, რომ 2024 წლის არჩევნებში საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით და აქტივობით შევძლებთ, პოლიტიკური სივრციდან გავიყვანოთ ეს მავნებლები და აბსოლუტურად გავანეიტრალოთ ლიბერალური ფაშიზმი!

ნონა ქარქაშაძე

ჩვენ ქრისტეისტები ვართ

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი შოთა გლურჯიძე:

— ბატონო შოთა, ბოლო დროს ევროპის მიერ ლიბერალიზმის სახელით ეკლესიაზე მტრული რიტორიკა, თავდასხმა გამწვავდა. მავანი ცდილობს, ეკლესიას მოსახლეობა დაუპირისპიროს. რატომ გართულდა ვითარება?

— ეკლესიის დევნა ახალი მოვლენა არ არის, ეს პირველივე საუკუნეებში დაიწყო, როცა ის კატაკომბური იყო. ამიტომ გასაკვირი არაფერია. ქრისტიანობა ყოველთვის იდევნებოდა, მაგრამ მან ამ ყველაფერს გაუძლო. თითქოს ჯვარცმული ქრისტე არ არის გამარჯვებული — ჯვარცმა რომის იმპერიაში ყველაზე დამამცირებელი სასჯელი იყო, მაგრამ სინამდვილეში ჯვარცმულმა ქრისტემ გაიმარჯვა. აქედან გამომდინარე, ქრისტიანობის მისტიკური ბუნება მის დევნას არ გამორიცხავს. რა თქმა უნდა, ამ განსაცდელს უფალი გვიგზავნის, რასაც უნდა გავუძლოთ და ვეცადოთ, რომ ადამიანის სახე არ დავკარგოთ. ამას გვასწავლის ქრისტიანობა. ეკლესია ისე მოიქცევა სახელმწიფოს მიმართ, როგორც თავად ეს უკანასკნელი მას მოექცევა. როცა სახელმწიფო ეკლესიას დევნის, ის, როგორც ნიჟარა, რომელშიც მარგალიტია მოთავსებული, იხურება და მას ახლოს არ უშვებს. ხოლო თუ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ჰარმონიული ურთიერთობაა, მაშინ კარიც იღება და მარგალიტიც ხელმისაწვდომია. რაც შეეხება სერგო ორჯონიკიძეებს და ნატა ფერაძეებს, ისინი ყოველთვის „იმარჯვებდნენ“, მაგრამ საქართველო მაინც არსებობს.

— როგორ ფიქრობთ, რატომ გამწვავდა ცალკეული ძალების მიერ საპატრიარქოზე შეტევა?

— საპატრიარქო მმართველი ინსტრუმენტია. ამიტომ ხალხი, რომელიც ეკლესიას ებრძვის, საპატრიარქოს წინააღმდეგაც ილაშქრებს. „მებრძოლთა“ რიგებში მხოლოდ ლიბერალები კი არა, ის ძალებიც არიან, რომლებიც საკუთარ თავს კონსერვატორებს, ტრადიციონალისტებს უწოდებენ, მაგრამ ეკლესიის, საპატრიარქოს მიმართ უცენზურო გამონათქვამებს არ იშურებენ. მგონია, რომ ეკლესიაზე შეტევა ორი მხრიდან ხორციელდება, რაც უკვე დიდი ხანია, გრძელდება და პერიოდულად მწვავდება. საპატრიარქომ რამდენიმე წლის წინათ გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ეკლესიის დევნის კონტურები იკვეთებოდა.

— დიახ, ჯერ კიდევ 2021 წელს, როცა ჟურნალისტებმა მარტვილში სამღვდელო მსახურება ჩაშალეს და აივნიდან გადმოცვივდნენ, ეკლესიაზე შეტევის მოსალოდნელ საფრთხეებზე საპატრიარქომ განცხადება გააკეთა...

— დიახ, ეს ეშმაკეულები აივნიდან გადმოვარდნენ, მაგრამ უფალს უყვარს ადამიანები და გადაარჩინა. ჩვენ ომში ბევრჯერ გაგვიმარჯვია, ამიტომ ამ ეშმაკეულების არ უნდა გვეშინოდეს.

— როგორც ჩანს, ამჯერად, ნეობოლშევიკები ეკლესიაზე თავდასხმას ორი წელი „ინახავდნენ“ და, უცებ, შობის წინა ღამეს, „ევროპული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრმა გიორგი კანდელაკმა სამების ტაძარში სტალინის ხატი „აღმოაჩინა“.

— ეს დაგეგმილი, მიზანმიმართული პროვოკაცია იყო, მუშაობენ ჭინკები. ეს არც მიკვირს. ეკლესიის წიაღში გაზრდილმა ადამიანმა კარგად იცის, რომ ეკლესიის დევნის მსგავსი ფაქტები უამრავია.

— მდევრებმა 7 იანვარი რუსულ შობად გამოაცხადეს, პატრიარქი კი — ჯაშუშად. დავით ბერძენიშვილმა განაცხადა: საპატრიარქო სტალინისტებით არის გაძეძგილი, თავად პატრიარქის თამადობითო.

— საპატრიარქოში ყველა ქრისტიანია. სტალინისტი არ შეიძლება ქრისტიანი იყოს. ჩვენ ქრისტეს მიმდევრები ვართ და არა სტალინისა. იმის თქმა, რომ საპატრიარქოში ვინმე სტალინისტია, ნონსენსია. ჩვენ სტალინისტები კი არა, ქრისტეისტები, ეკლესიის ნაწილი ვართ.

— ბატონო შოთა, მავანი ცდილობს, ეკლესიას პრორუსული იმიჯი შეუქმნას. საუბრობენ, რომ ეკლესია მძიმე რუსული გავლენისგან უნდა გათავისუფლდესო.

— ეკლესია ერთიანია. მე ისევე შემიძლია რუსულ ტაძარში ვეზიარო, როგორც რუსს ან ბულგარელს, სერბს, ამერიკელს შეუძლია ქართულ ტაძარში ეზიაროს. ქრისტიანობა ყველა ერის, ჯიშის, ჯილაგის ადამიანებისთვის არის. ეს ფობია — ნებისმიერი ეროვნების მიმართ მწვავე ნაციონალიზმი, ქრისტიანული არ არის. ქრისტიანი ადამიანი არ შეიძლება ეთნოფილეტიზმით იყოს დაავადებული, ეს არასწორი მიმართულებაა. სამწუხაროდ, ასეთი ერესები ხდებახოლმე. აქედან გამომდინარე, რუსი მართლმადიდებლებიც და ქართველებიც, ყველანი ერთნი ვართ.

— ლიბერალები მაინც არ ცხრებიან: დღეს ქართული ეკლესია ევროინტეგრაციის გზაზე მთავარი შემაფერხებელიაო, აცხადებენ.

— არ ვიცი, საქართველოს მოუწევს თუ არა ევროკავშირში შესვლა, ეს პოლიტიკური საკითხია. ეკლესია რა შუაშია, ვერ ვხვდები. ევროკავშირის წევრებში მართლმადიდებლური, ქრისტიანული ქვეყნებიც არიან. ერთობის წინააღმდეგი როგორ შეიძლება იყო. ერთობის წინააღმდეგი არის ეშმაკი, უფალი კი პირიქით, მომხრეა. პოლიტიკური ნიშნის, ფერის, რასის მიუხედავად, ეკლესიაში დღესასწაულებზე, ციხეებში, ციხეებზე, წირვაზე და ა.შ. ხალხი იკრიბება და ზეიმობს. ეს ეშმაკეულები სწორედ ამ სადღესასწაულო დღეებში გეგმავენ, საზოგადოება ერთმანეთს დაუპირისპირონ. პროვოკაცია სტალინის ხატთან დაკავშირებით მოეწყობა თუ სხვა მიზეზით, ამას მნიშვნელობა არ აქვს, სხვედან და მსჯელობენ: როგორ გაყონ ორად საზოგადოება, როგორ დაუპირისპირონ ერთმანეთს, გააავონ და ა. შ.

— ფერაძის ნამოქმედარი რამდენად შეიძლება ასი წლის წინანდელ მოვლენებს დავუკავშიროთ, როცა ბოლშევიკები ეკლესიებს ანგრევდნენ და სამღვდელოებას ხვრეტდნენ.?

— ამ ქალბატონს არ ვიცნობ, მაგრამ მგონია, რომ ფსიქიკური პრობლემები აქვს და პარტიული პოლიტიკური ჭინკები მას იყენებენ. ისიც არ მესმის, სახლში რომ უვარდებიან. პირიქით, მას დახმარება სჭირდება. საუკეთესო ვარიანტია, თუ მოძღვართან მივა და ეკლესიის წიაღში დაბრუნდება. მოსანანიებელი, ალბათ, ბევრი ექნება. ოჯახის წევრებს ვურჩევ: ფსიქიატრთან მიიყვანონ და პოლიტიკას ჩამოაცილონ.

— ზემოთ ბოლშევიკები ვახსენე. ეკლესიებს საფრანგეთის რევოლუციის დროსაც ანადგურებდნენ. მაშინ ახალი — გონების კულტი შეიქმნა და „ბნელმა“ რელიგიამ უკანა პლანზე გადაიწია. ბოლშევიკების დროს კი მეცნიერული პროგრესი იყო პოპულარული. დღესაც იგივე ხდება, გაიძახიან, ეკლესია ხალხის მტერი, პროგრესის შემაფერხებელიაო.

— ცნობილ ფაქტს შეგახსენებთ სახარებიდან, როცა ეშმაკები შეპყრობილი ადამიანიდან ღორის კოლტში გადავიდნენ. მათ ქრისტეს სთხოვეს: ოღონდ, ნუ გაგვანადგურებ და ღორის კოლტში გადავალთო. ასეც მოხდა და მერე, ღორის კოლტი დაიხრჩო. ქრისტემ შეპყრობილს ჰკითხა: რა გქვიაო. იმდენად ბევრი ეშმაკი ჰყავდა შეჩნილი, რომ კაცმა ასე უპასუხა: ჩემი სახელი ლეგიონიაო. იმ ადამიანების სახელიც, რომლებიც ეკლესიას ებრძვიან, არის ლეგიონი. ეს ხალხიც შეპყრობილი, სამკურნალოა. სხვა რა უნდა თქვა ადამიანზე, რომელიც იტყვის, ეკლესია ხალხის მტერიაო. მათ განათლების პრობლემაც აქვთ, პირადი ჰიგიენისაც და ა. შ. ასეთი ადამიანი ბევრია, თუმცა უმეტესობა, საბედნიეროდ, მაინც ნორმალურია.

— წმინდა მატრონას ხატი სამების ეკლესიიდან გადასაწერად გააბრძანეს. ეს რამდენად მართებულია?

— მხატვარი ვარ და ხატწერის ცოტა რამ მეც გამეგება, ბევრიც წამიკითხავს და მეგობარიც მყავს ხატმწერი. ხატის გადაწერა ხშირად ხდება. სტალინის ხატწერა თუ კანონიკური არ არის, მაშინ მისი შეცვლა შესაძლებელია. საპატრიარქოს განცხადებით, სტალინის ხატწერა კანონიკას აცდენილია. ზოგადად, ხატზე ნებისმიერი ადამიანი შეიძლება იყოს გამოსახული. მაგალითად, ქრისტეს ჯვარცმის სცენაში ჯვარცმასთან რომაელი ჯარისკაცები არიან გამოსახულნი, რომლებმაც მაცხოვარი აწამეს. მთავარია, ფაქტი სწორად იყოს გამოსახული. მატრონა მოსკოველისა და სტალინის შეხვედრის ფაქტი არ დასტურდება. მაგალითად, მე ინტერნეტში ნანახი მაქვს ხატი, რომელზეც მარქსი, ენგელსი და იოსიპ ბროზ ტიტო ცეცხლის გვენაში არიან გამოსახულნი. ეს ხატი ეკლესიამ, ალბათ, კანონიკურად ცნო. ასე რომ, შესაძლებელია,ხატზე პოლიტიკური ფიგურებიც იყოს გამოსახული, ოღონდ

ხატწერა კანონიკური უნდა იყოს.

— საპატრიარქომ მოითხოვა, მომზადდეს კანონი რელიგიური გრძნობების შესახებ...

— ქრისტიანები სხვა კანონებით — ათი მცნებით და ცხრა ნეტარებით ვმოქმედებთ. ჩვენ შეიძლება ვიღაც ჭინკა პარლამენტარის მიღებული კანონი კიდეც დავარღვიოთ, თუ ეს მიუღებელი იქნება. კარგი იქნება, თუ კანონები ქრისტიანულ დენომინაციასთან ჰარმონიაში იქნება და არა დაპირისპირებაში.

— ოპოზიცია ამტკიცებს, ამ კანონით შეიძლება გამოხატვის თავისუფლება შეიზღუდოსო.

— კანონის მანიპულირებით ყველაფერი შეიძლება გააკეთო. კანონი არ არის მნიშვნელოვანი. მთავარია, საზოგადოება ჯანმრთელი იყოს. ნორმალურ ოჯახში გაზრდილ ადამიანს არ სჭირდება კანონი იმისთვის, რომ მოძალადე არ გახდეს. იმ საზოგადოებაში, სადაც განათლების სისტემა მორყეულია, სადაც ტრადიციებს პატივს არ სცემენ, ამ კანონის მანიპულირებით ადამიანმა შეიძლება ისეთი საშინელება ჩაიდინოს, რასაც ვერც კი წარმოვიდგენთ. ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო.

— დასავლეთში ერთ-ერთი სერიოზული თემა მკრეხელობის რეგულაციაა. რა არის მკრეხელობა? — აქტუალური ხელოვნება, ვთქვათ, შარდში ჩადებული ხატი. ეს არის გამოხატვის თავისუფლება. გერმანიაშიც კი, სადაც დღემდე საუკეთესო სამართალი აქვთ, გამოხატვის თავისუფლების კუთხით კოლიზია ხდება. ოღონდ, გააჩნია, ვინ აკეთებს ამ ყველაფერს და სად გადის საკრალური. თუ ფერაძე ხატს საღებავს ასხამს, ეს გამოხატვის თავისუფლებაა, ჩვეულებრივმა ადამიანმა იგივე რომ ჩაიდინოს, არავინ აპატიებს. ვიღაცისთვის საკრალური შეიძლება იყოს ლგბტ, ვიღაცისთვის — ჰოლოკოსტი...

— თაკო, ძალიან საინტერესო რამეს ამბობ. წმინდა მატრონას ხატისთვის საღებავის შესხმას წინ ევროკავშირის დროშის დაწვა უძღვოდა. ჩემთვის ევროკავშირი არავითარ საკრალურს არ წარმოადგენს, მაგრამ სხვისი ნივთის დაწვას არ მივესალმები. მოდი, ცოტა სხვა ჭრილში განვიხილოთ ეს თემა. მე არ ვარ მუსლიმი, მაგრამ მათ მეჩეთს არასდროს შეურაცხყოფ. მაგალითად, შვედეთში მუსლიმების ყურანს წვავენ და ა. შ. ეს ველურობაა. საქართველო დიდი ხნის განმავლობაში მუსულმანურ ქვეყნებთან ბრძოლაში იყო, ბევრი სისხლი დაიღვარა. მე ყველას ნორმალურობისკენ მოვუწოდებ. კი ბატონო, დროშა არ უნდა დაწვა, მაგრამ ამის გამო ადამიანის დაპატიმრება, არასწორი საქციელი მგონია. თუ მაინც აპატიმრებ, სასჯელი სათანადო ხომ უნდა იყოს. დროშის დაწვის გამო ადამიანისთვის რამდენიმე წლით თავისუფლების შეზღუდვა მართებულად არ მიმაჩნია. თანაფარდობა დაცული უნდა იყოს, კაცი ხომ არ მოუკლავს?! საზოგადოების სეგრეგაცია არ უნდა მოხდეს. ანუ ნატა ფერაძისთვის რაც შეიძლება, ლაშა შარუხიასთვის არ შეიძლება?! ორივე საქციელი არასწორია.

— როგორ ფიქრობთ, პროვოკაციების ეს სერია გარედან იმართება და პოლიტიკურია ისევე, როგორც „შარლი ებდო“, ყურანის დაწვა და ა.შ.?

— ეს ნორმალური ხალხის გაკეთებული არ არის და ჩვენ იგივე არ უნდა გავიმეოროთ. „შარლი ებდოში“ განვითარებულ მოვლენებს სისხლისღვრა მოჰყვა. მართალია, ისინი ჭინკები იყვნენ და მათ დასცინოდნენ, შეურაცხყოფდნენ, მაგრამ ასეთი ექსტრემიზმის წინააღმდეგი ვარ. რაც უფრო გონიერი იქნება ხალხი, იფიქრებს და ერთმანეთის მიმართ ტოლერანტული იქნება, უკეთესია. ქრისტიანობაც ამას გვასწავლის, ისლამიც და ნებისმიერი ნორმალური რელიგიაც.

თამარ შველიძე

ომის დასრულება რუსეთზეა დამოკიდებული, უკრაინა შავ ხვრელად გადაიქცა

გვესაუბრება პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი თამარ კიკნაძე:

— ქალბატონო თამარ, ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაში რა როლი ექნება 2024 წლის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებს?

— საქმე ის არის, რომ აქამდე არსებულმა მსოფლიო წესრიგმა დრო მოჭამა და აქტუალური აღარ არის. ამერიკისთვის, რომელიც ბიპოლარული სამყაროს დასასრულის შემდგომ ერთპიროვნული ლიდერი გახდა, ჰეგემონის ტვირთის ზიდვა შეუძლებელი გახდა. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში არსებობს ცნება — ჰეგემონიის ციკლები. როგორც წესი, ჰეგემონმა ფუნქცია რომ შეინარჩუნოს, ამისთვის ძალიან დიდ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო რესურსებს ხარჯავს, რაც თანდათან ასუსტებს. შედეგად, ის „ჩელენჯერი" სახელმწიფო ხდება და ჰეგემონიის დაღმავალი ციკლი იწყება. აშშ ახლა სწორედ ამ ვითარებაშია. ჩვენ გარდამავალ პერიოდში ვართ — ერთი მსოფლიო სისტემა სულ სხვა საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში გადადის. აღნიშნული პროცესი, როგორც წინა გამოცდილებამ აჩვენა, საკმაოდ მტკივნეულია. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა — აღარ მოქმედებს არც ადრე არსებული პოლიტიკური წესრიგი, არც ეკონომიკური, არც სამხედრო და გნებავთ, არც კულტურული. მიზეზები შემდეგია: ძველი პოლიტიკური წესრიგი არ მოქმედებს, რადგან ის, რაც ამჟამად ხდება, პოლიტიკური პროცესების ეროზიაზე მიუთითებს. ეკონომიკურ პროცესებს რაც შეეხება, მთავარი ფინანსური მონაპოვარი იყო ის, რომ მსოფლიო ვალუტა დოლარი იყო. აღარც ეს ეკონომიკური სისტემა მუშაობს. სამხედრო მიმართულებას რაც შეეხება, ჩემი აზრით, დღეს ნატო აღარ არის ისეთი აქტუალური, როგორიც ბიპოლარული სამყაროს პერიოდში იყო. აშშ-ში დებატები მიმდინარეობდა — ნატო უნდა დარჩენილიყო, თუ გაუქმებულიყო. გარდა იმისა, რომ ნატო სამხედრო პოლიტიკური ბლოკია, ამავდროულად, დიდი ეკონომიკური ბლოკიცაა. ნატოს წევრი ქვეყნები შეეცადნენ, მისთვის ახალი ფუნქცია მიენიჭებინათ. მაგალითად, ნატოში გაწევრიანება ნიშნავდა ტერორიზმთან ბრძოლას, ღირებულებების გავრცელების საშუალებას, ეთნოკონფლიქტების მოგვარებას და ა. შ. მაგრამ ეს მსოფლიო წესრიგი თავად დასავლეთმა დაანგრია.

ზოგადად, საერთაშორისო სამართალი პრეცედენტულია. ამის პასუხად ყველაზე მეტად ჩვენ დავზარალდით, როდესაც რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა. ეს მტკივნეული პროცესებია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამჟერად უკრაინის კონფლიქტია, რომლის ხარჯზეც ახალი მსოფლიო წესრიგი ყალიბდება. უკრაინა პროქსი ქვეყანაა, სადაც დასავლეთისა და რუსეთის შეჯახებას ვადევნებთ თვალს. ამ ომის შედეგებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება. საერთოდ, უკრაინის ხელისუფლებამ რაც გააკეთა, არცერთ თეორიულ მოსაზრებაში არ ჯდება. საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკის მიზანია, საკუთარ ქვეყანას რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიაყენო. უკრაინის ხელისუფლებამ კი ქვეყანა პირდაპირ ომში ჩააბა. საერთოდ, მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესს შემდეგი კანონზომიერება ახასიათებს — ცალ-ცალკე საომარი კერები ჩნდება და შემდეგ ეს ყველაფერი ტოტალურ ომში გადადის, რაც, საბოლოოდ, არსებულ მსოფლიო წესრიგს სპობს და ახალი საერთაშორისო სამართალი, ღირებულებები, კულტურა იქმნება. ახლა სწორედ ფორმირების პროცესში ვართ, რაც ძალიან რთულად მიდის. ჩვენი, როგორც პატარა ქვეყნის მთავარი ამოცანაა, მსოფლიო წესრიგის ფორმირება ჩვენს ხარჯზე არ მოხდეს. სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ და ყოველგვარ კატაკლიზმებს მოვერიდოთ. საბედნიეროდ, ამ გამოწვევებს ვუმკლავდებით — დღემდე ვერ მოახერხეს აქტიურ საომარ მოქმედებებში ჩვენი ჩაბმა.

— ამერიკაში პრაიმერის პროცესი დაწყებულია. როგორ ფიქრობთ, მივა ეს ბაიდენი-ტრამპის დუელამდე?

— აშშ-ში მარტივი სიტუაცია არ არის, რაც კრიზისის მაჩვენებელია. როგორც წეღან აღვნიშნე, ეს ჰეგემონიის დაღმავალი ციკლის მანიშნებელია. ასეთი ცნობილი გამოთქმა არსებობს: ამერიკაში რომ აცემინებენ, დანარჩენ მსოფლიოს ფილტვების ანთება აქვსო. დღეს ამერიკა ჟანდარმი აღარ არის, ვითარებას ველარ აკონტროლებს. აგერ, ავღანეთიდან წავიდა, ახლო აღმოსავლეთიდან ნელ-ნელა ევროპიდანაც მიდის. ის პროცესები, რაც ევროპაში მიმდინარეობს, ცხადყოფს, რომ მათ შორის შიდა კრიზისია. დავაკვირდეთ, პოლიტიკური მდგენელი ეკონომიკურს სჯობნის, რაც ამ საყოველთაო კეთილდღეობის ევროპულ სახელმწიფოებზე აისახება. რატომ იყო ევროპა საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოების ნაკრები? — იმიტომ, რომ მათ ნატოს სახით თავდაცვის ქოლგა ჰქონდათ, რაზეც დიდ რესურსებს არ ხარჯავდნენ. თუმცა ტრამპმა თავისი პრეზიდენტობის დროს ევროპელებს ულტიმატუმი წაუყენა, რომ ნატოს წევრობისთვის საწევრო გადასახადი უნდა გადაეხადათ. და ასევე, ევროპას ჰქონდა რუსული იაფი გაზი. ახლა ორივე მიმართულებით პრობლემებია. ამიტომ ევროპული არქიტექტურაც შეიცვლება და სულ სხვა, ახალ სურათს მივიღებთ. როდესაც ინგლისი ბრექსიტით ევროკავშირიდან გავიდა, მიაჩნდათ, რომ ეს მისთვის წამგებიანი პოლიტიკა იყო. ინგლისი წამგებიან პოლიტიკას არასდროს ახორციელებს. მან ძალიან კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა. ამჟერად ახალი ტიპის კავშირები იქმნება. მსოფლიოს სტრუქტურა რადიკალურად იცვლება და გვინდა თუ არა, წინა პლანზე სამხრეთი იწევს. დღეს ისეთი ხანაა, წინა პლანზე პერიფერიამ წამოიწია. ბირთვულ სახელმწიფოებს, დასავლურ თანამეგობრობას გარკვეული პრობლემები შეექმნათ.

— ტრამპი არაერთ საქმეშია ბრალდებული. როგორ ფიქრობთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო მე-14 შესწორებასთან დაკავშირებით?

— ტრამპს პრეზიდენტობისას საშუალება არ მისცეს, ნორმალურად განეხორციელებინა ის რეფორმები, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა — მას მუდმივად სასამართლო პროცესები ჰქონდა და სულ თავის მართლების რეჟიმში იყო. ახლაც კრიზისული სიტუაციაა. ტრამპის და ბაიდენის ასაკიც გასათვალისწინებელია. საბჭოთა კავშირში გერონტოფილების დროს რომ იყო, ამერიკას ახლა ისეთი პერიოდი უდგას. ის ქმედებები, რასაც ტრამპის წინააღმდეგ სჩადიან, დემოკრატიის კრიზისის მაჩვენებელია. ბაიდენს თუ დავაკვირდებით, ხან დემენცია აქვს, ხან ვერ დადის, რაც ამერიკისთვის ძალიან ცუდი მომენტია. ტრამპი ამერიკაში უპირობო ლიდერია. სხვათა შორის, როცა პრეზიდენტი იყო, მას ცალკე პრეზიდენტის დაცვა ემსახურებოდა და პირადი დაცვაც ჰყავდა. გამორიცხული არ არის, მას უსაფრთხოების თვალსაზრისით პრობლემები შეექმნას.

— ხშირად გვესმის, რომ ამერიკას კლინტონებისა და ობამას კლანი მართავს. რა ხდება რეალურად?

— ამერიკა, ზოგადად, მსხვილი ფინანსური კლანების კლასტერია და ყოველთვის ასე იყო. ამერიკის დამფუძნებელი მამები ძალიან ჭკვიანი ადამიანები იყვნენ. იქ პრეზიდენტები შემთხვევითი ადამიანები არასდროს ხდებიან. პრეზიდენტს ამომრჩეველთა კოლეგია ირჩევს. უბრალოდ, ეს ინფორმაცია გლობალიზაციამ და საინფორმაციო ტექნოლოგიებმა ჩვენთვისაც ხელმისაწვდომი ახლა გახადა. მაგალითად, ჩვენ გვეგონა, რომ ამერიკა იყო დემოკრატიის სამოთხე და იქ არც არჩევნები ყალბდებოდა, ადამიანის უფლებების დაცვაც მაღალ დონეზე იყო და ა. შ. მაგრამ როგორც დღეს ირკვევა, იქაც უამრავი პრობლემაა. ამერიკა სულაც არ არის ის სამოთხე, ჩვენ რომ გვეგონა.

— საინტერესოა ტრამპის დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკის მიმართ. ის აცხადებს, რომ მისი არჩევის შემთხვევაში რუსეთ-უკრაინის ომი დასრულდება.

— ეს საზარელი ომია, რომლის დროსაც სლავი ხალხის შეჯახების ხარჯზე, სხვები ბევრ დივიდენდებს, პრეფერენციებს იძენენ. ხდება იარაღის გამოცდა, ფულის გათეთრება, ორგანოებით ვაჭრობა. უკრაინა უმდიდრესი ქვეყანა იყო, მეექვსე ეკონომიკით ევროპაში, უზარმაზარი შავნიადაგიანი ტერიტორიით და მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალებით, რომლებიც საბჭოთა განათლების პროდუქტები იყვნენ. ამ საშინელ ომს მთელი მსოფლიო უყურებს და მის შესაჩერებლად არაფერს აკეთებს. პირიქით, დასავლეთი ამბობს, რომ უკრაინა არ უნდა შეჩერდეს. ზელენსკიც მათ ინტერესებს ატარებს და უკრაინელი ხალხის ბედი სულაც არ ადარდებს. დიახ, უკრაინელი ხალხის უბედურების ხარჯზე, პარალელურად, პოლიტიკური ვაჭრობა მიდის. ომი როდის დამთავრდება, არავინ იცის. ეს დიდწილად რუსეთზეა დამოკიდებული, რადგან დასავლეთმა ვერ ან არ განახორციელა ის ამოცანები, რაც დაგეგმილი ჰქონდა. ფაქტობრივად, რუსეთი ამ ომში წინ მიიწევს. უკრაინას ის სტატუსი, რაც ომამდე ჰქონდა, აღარასდროს ექნება.

რაც შეეხება ტრამპს, ის ომთან დაკავშირებით იმას გააკეთებს, რაც ამერიკას აწყობს. ტრამპი ამერიკის ინტერესებიდან გამოვა. მას მიაჩნია, რომ ეს ომი მისი ქვეყნისთვის მომგებიანი არ არის და ეს ამერიკის პოლიტიკის შეცდომაა.

— პუტინმა განაცხადა, უკრაინას სახელმწიფოებრიობის გაუქმება ემუქრებაო. უკრაინამ ომი თუ წააგო, რუსეთი კუდს საქართველოსკენ მოიქნევს?

— რუსეთს მიაჩნია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცე მისი გავლენის ქვეშ უნდა იყოს. როცა ის უკრაინასთან ომს დაასრულებს, ალბათ, მერე საქართველოსთვის და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვისაც მოიცლის. აქ საუბარი არ არის ისეთი ტიპის გაერთიანებაზე, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო. რუსეთში მიაჩნიათ, რომ საბჭოთა კავშირი რუსეთის სიმდიდრის ხარჯზე არსებობდა და დაპყრობილი ხალხი უკეთესად ცხოვრობდა, ვიდრე დამპყრობელი. ამაში სიმართლის მარცვალი ნამდვილად დევს. ამიტომ დღეს რუსეთის პოლიტიკა ძალიან პრაგმატულია. მათი აზრით, საქართველოს შეუძლია, თავისი სუვერენული პოლიტიკა აწარმოოს, მაგრამ ეს პოლიტიკა რუსეთს არ უნდა მტრობდეს.

— ამერიკასთან ერთად, არჩევნებია საქართველოშიც. რას მოუტანს ეს ჩვენს ქვეყანას?

— ალბათ, ხელისუფლებაში უფრო მემარჯვენე და ტრადიციული ძალები მოვლენ. რადგან იმ პოლიტიკით, რასაც დღეს დასავლეთი ახორციელებს, ფაქტობრივად, ხარაკირს იკეთებს. გენდერული პოლიტიკის შედეგად, მათ კარგი არაფრის მოლოდინი არ უნდა ჰქონდეთ. მე მჯერა ბიბლიური ჭეშმარიტების, სოდომისა და გომორის. მეტსაც გეტყვით, უკრაინას დღეს ასე ცუდად რომ მისდის საქმე, დიდწილად უკრაინის ეკლესიაში არსებული განხეთქილების ბრალიცაა. ნათქვამია, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო. არსებობს ინფორმაცია, რომ უკრაინიდან ხატები და მთელი სიმდიდრე გატანილია. დღეს უკრაინა შავ ხვრელად არის ქცეული. როგორც ზემოთ ვთქვი: სიმძიმის ცენტრი სხვაგან — სამხრეთით ინაცვლებს, იგივე აზიაში. ჩვენ, ალბათ, ამ ტალღას, ტენდენციას უნდა ავუღოთ ალღო და ჩვენი ინტერესების შესაბამისად ვიმოქმედოთ.

თამარ შველიძე

როგორც აღმოჩნდა, ქართული ბანდა რუსულ წიგნებს მთელი ევროპის მასშტაბით იპარავს. მთვარი სამიზნე პუშკინისა და ლერმონტოვის უნიკალური გამოცემებია, თუმცა უარს არც სხვა რუს კლასიკოსებზე ამბობენ. პარიზი, ლიონი, ჟენევა, რიგა, ვილნიუსი, ვარშავა — გაძარცვულია წიგნსაცავები და ბიბლიოთეკები. ფრანგული მედია წერს, რომ სამართალდამცველები განიხილავენ ვერსიას, რომლის მიხედვითაც, ოფიციალური მოსკოვი რუსი ავტორების ძვირადღირებული გამოცემების ევროპიდან დაბრუნებას კრიმინალური გზით ცდილობს. ხელწერა ყველგან იდენტურია, მძარცველები ბიბლიოთეკაში მკვლევრის ან რიგითი მკითხველის სახელით შედიოდნენ, საბოლოოდ კი საცავში დედანის ნაცვლად ყალბი ასლი რჩებოდა.

ლევან თაქთაქიშვილი, ბიბლიოგრაფი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი: „რომ ისინი ქართველები არიან, ეს არის ამ კრიმინალური სამყაროს ერთი პატარა ნაწილი, ხოლო დამკვეთები და ორგანიზატორები, ჩემი აზრით, რუსეთში უნდა ეძებონ... რუსეთში ყოველთვის იყო ტრადიცია, რომ რევოლუციამდელი რუსული გამოცემები ბაზარზე იყო ძალიან ძვირი. ახლა განსაკუთრებით ძალიან დიდი მოთხოვნა არის ამ გამოცემებზე“.

ვარშავის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან ნახევარ მილიონ ზლოტად შეფასებული 80 უნიკალური წიგნი გაქრა;

ლატვიის პროკურატურამ ბრალი წარუდგინა ორ ქართველს, რომლებმაც ტარტუს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან 8 ძვირადღირებული წიგნი მოიპარეს. პირს, რომელიც ლატვიის ბიბლიოთეკიდან 5000 ევროდ შეფასებული წიგნის მოპარვის გამო დააკავეს, ჩხრეკისას ევროპის რამდენიმე ქვეყნის ბიბლიოთეკის ბარათი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის მოწმობა და ქართული პასპორტი აღმოაჩნდა;

ტარტუს ბიბლიოთეკისთვის მიყენებული ზარალი 80 ათას ევროს აჭარბებს.;

პუშკინის უიშვიათესი წიგნის ორი ეგზემპლარი მოიპარეს თბილისშიც, ი. გრიშაშვილის სახელობის მუზეუმიდან. ვარაუდობენ, რომ ეს ქურდობაც აღნიშნულ ქსელს უკავშირდება და საქართველოს პროკურატურა ევროპულ მხარესთან თანამშრომლობს, — გავრცელდა საჯარო ინფორმაციად.

ცოტა არ იყოს, არასერიოზულად მეჩვენება, ოფიციალურ მოსკოვს ასე ხელაღებით დააბრალო ევროპის მასშტაბით წიგნების ქურდობა და არა კერძო კოლექციონერების ინტერესებს, მაგრამ პირადად მე სულ სხვა კუთხოთ მაინტერესებს ბიბლიოთეკებიდან წიგნების მოპარვის ამბავი და თანაც საქართველოში და კონკრეტულად საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკიდან.

გადასარევი ამბავია! თუ ევროპის ბიბლიოთეკებიდან ქართველები მოიპარავენ რუსულ წიგნებს, განგაშის ზარს უნდა შემოვკრათ, ხოლო თუ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკიდან მოიპარავენ ბევრად ფასეულ წიგნებს, ვიდრე მე-19 საუკუნის რუსი კლასიკოსების უიშვიათესი გამოცემებია, „მერე რა“?!

წიგნის ქურდი ქურდი არ არის?!

1846 წელს მეფისნაცვლის კანცელარიის ბაზაზე თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა დაარსდა.

1852 წლიდან მიხეილ ვორონცოვის განკარგულებით, საცენზურო კომიტეტს დაევალა და სავალდებულო გახდა, კავკასიის ფარგლებში დაბეჭდილი ყველა გამოცემის ორი ეგზემპლარი საჯარო ბიბლიოთეკისთვის გადაეცათ. ვორონცოვმა პირადი კოლექციიდანაც უშურველად გადასცა წიგნები ახალდაარსებულ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას.

საუკუნის დასაწყისის არაოფიციალური მონაცემებით, ეროვნული ბიბლიოთეკიდან, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, 14 000-მდე წიგნი იყო გამქრალი. მას შემდეგ, ე. წ. ვარდების რევოლუციიდან დღემდე კი, რაც საჯარო ბიბლიოთეკა „თბილ ადგილთან“ ნუსხაში ლამის ოფიციალურად ჩაეწერა და ერთი პირის საწარმოს დაემსგავსა, რა მდგომარეობაა საცავებში, ეშმაკმა უწყის.

ცოტა ხნის წინათ ვნახე ირანის წიგნის ბაზრობის ფოტო, რომელიც საღამოს იყო გადაღებული, დაცვა კი არსად ჩანდა. მინაწერი გვამცნობდა, რომ მკითხველი წიგნს არ მოიპარავს, ხოლო ქურდს წიგნის კითხვა არ აინტერესებს, შესაბამისად, წიგნის ბაზრობაზე წიგნების დამცველის შტატი არ ჰყავთ. ჩვენგან და არა მხოლოდ ჩვენგან განსხვავებით, წიგნებთან ურთიერთობაში უცნაურები ყოფილან ირანელები. სხვა რა ვთქვა, როდესაც თბილისში, სანაგვე ბუნკერებთან დაყრილი წიგნებიც მრავლად მაქვს ნანახი, წიგნებისგან აბრიალებული კოცონიც და წიგნის ქურდობის ფაქტებიც უამრავია...

„წიგნის ქურდი ქურდი არ არის“, — ბავშვობაში გავიგონე ეს ფრაზა. მითხრეს, ლენინმა თქვაო და ასე ვიცი დღემდე. ლენინმა ან თქვა და ან არა, მაგრამ ვისაც უნდა ეთქვა, არ ვფიქრობ, რომ ეს ისეთ უნიკალურ წიგნებზე თქვა, რომლებიც იშვიათობის გამო დაცული უნდა იყოს...

უნიკალური წიგნების მომპარავები და ასეთი წიგნების შემსყიდველები, როგორც დანაშაულის ორი მხარე, ყოველთვის იყვნენ და წიგნის ქურდების ნაცვლად რა დავარქვათ მათ, ტვინგულმხურვალე ლენინელები?

თუ ჩავთვლით, რომ ბიბლიოთეკიდან წიგნის მოპარვაში საგანგაშო არაფერია, რაღაც კუთხით, იმ შემთხვევაში იქნება გასაგები, თუ სარეზერვო ფონდიდან დაკარგულის აღდგენა შესაძლებელია, მაგრამ თუ ერთი ეგზემპლარი იყო, ვთქვათ, „იერუსალიმის განჩინება“ (ეტრატზე შესრულებული, IX ს.), ან პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ (1629 წ.) და ვიღაც „ლენინელის“ ნაქურდალმა მეორე უცნობი „ლენინელის“ კერძო კოლექციაში გადაინაცვლა?!

ზოგადად, წიგნის ქურდობაზეა საუბარი, მისთვის, ვისაც წიგნი არ გადაუშლია, აბსოლუტურად გაუგებარი იქნება, პირიქით, გაუკვირდება, წიგნი რა მოსაპარიაო...

წლების წინათ, ეროვნული ბიბლიოთეკის ყოფილი თანამშრომლები, რომელთაც კარგად იცოდნენ საჯარო ბიბლიოთეკის შიდა სამზარეულო, რკინის ქალამნებამოსხმული აკითხვდნენ ყველას, ვისაც რაიმე რეაგირება შეეძლო საჯარო ბიბლიოთეკაში არსებულ განიკითხაობაზე, მაგრამ ამაოდ.

დღეს რომ ევროპის ბიბლიოთეკებიდან მოპარულ წიგნებზე კომენტარს სთხოვენ ბატონ ლევან თაქთაქიშვილს, ერთგვარი ბედის ირონიაა, რადგან ცამეტი წლის წინათ, მისი ყოფილი თანამშრომლები, ფაქტობრივად, მას ედავებოდნენ ეროვნული ბიბლიოთეკიდან წიგნების გაქრობას და იგი იმ დროსაც იმავე ჰოსტზე ბრძანდებოდა. კითხვები უამრავი იყო.

ამონარიდი ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლების განცხადებიდან: „წიგნის ფონდის ინვენტარიზაცია წლების განმავლობაში არ ჩატარებულა, შესაბამისად, არავინ იცის ზუსტად, რა რაოდენობას შეადგენს ეროვნული ბიბლიოთეკის საერთო ფონდი. ყოფილი გენერალური დირექტორი ლევან ბერძენიშვილი ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში 19 მლნ-ს ასახელებს; საგეგმო-საფინანსო და ჰიგიენა-რესტავრაციის განყოფილებების გამგეები 15-16 მლნ-ს ასახელებენ; ეროვნული ბიბლიოთეკის დღევანდელ ინტენეტგვერდზე საერთო ფონდი თურმე 4 მლნ-ს შეადგენს. ამ რაოდენობაში არსად ჩანს გაუქმებული „წიგნის პალატის“ ორმილიონიანი ფონდი, რომელიც 2005 წლიდან ეროვნული ბიბლიოთეკის მე-5 კორპუსს და მის ფონდს წარმოადგენდა.

2006 წელს, ლევან თაქთაქიშვილმა ორ საათში განახორციელა წიგნის პალატის თანამშრომლებისგან ამხელა ფონდის გადაბარება, რომელიც მოიცავდა უძველეს და უნიკალურ გამოცემებს. ინვენტარიზაციის წესით ჩაბარების ნაცვლად დათვალეს ყუთები, თარეები, საინვენტარო წიგნები და შეადგინეს მიღება-ჩაბარების აქტი. (29.12. 2006წ)

საჯარო ბიბლიოთეკის მე-5 კორპუსის კეთილმოწყობილი წიგნთსაცავის „გეორგიკის სექტორის“ ფონდიდან 50-მდე „ვეფხისტყაოსანი“ იქნა გატანილი ლ. თაქთაქიშვილის მიერ, რომელიც წიგნის პალატის გაუქმებამდე დაჟინებით სთხოვდა სექტორის გამგეს ნ. ყამარაულს, რომ მისთვის დაეთმო ფონდი.

ჩვენს მოთხოვნაზე, რომ წარმოედგინათ რაიმე საბუთი, ოქმი ან სია იმის შესახებ, რა სახის ლიტერატურა იქნა გატანილი ღამის საათებში მაკულატურის მანქანით საჯარო ბიბლიოთეკის მე-5 კორპუსიდან, ადმინისტრაციის მართვის დეპარტამენტის დირექტორმა ე. გურეშიძემ და ლ. თაქთაქიშვილმა გვიპასუხეს, რომ ასეთი საბუთი არ არსებობდა და ვერც ის პირები დაასახელეს, რომლებიც პასუხს აგებდნენ იმის განსაზღვრაზე, თუ რა სახის ლიტერატურა ჩაითვალა მაკულატურად.

იმავე ლევან თაქთაქიშვილმა წლების წინათ საჯარო ბიბლიოთეკის საცავიდან ამოიღო ლენინისა და სტალინის ტომები, და განაცხადა, რომ ვინაიდან ამ წიგნებს არ ჰყავდა დიდი რაოდენობის მკითხველი, უნდა მომხდარიყო ლატარიით მისი გათამაშება. ვინ გადაწყვიტა ეს საკითხი, რა ფორმით ჩატარდა ეს პროცესი, როგორ შეფასდა ეს წიგნები, სად წავიდა შემოსული თანხა, არსებობს თუ არა შესაბამისი სარწმუნო საბუთი, არავინ იცის.

ინტერნეტგვერდზე იდო ინფორმაცია, რომ გენდირექტორმა ბორის გაგუამ საცავიდან ამოიღო გერმანულენოვანი ტექნიკური ლიტერატურა ძვირადღირებული ყდებით და როგორც „ქართული ნაალაფარი“ გადასცა გერმანიის სახელმწიფოს. რამდენად საკმარისია ეს ინფორმაცია? როგორ განსაზღვრა გაგუამ, რომ „ქართული ნაალაფარი“ იყო? ვისთან ერთად შეისწავლეს და გადაწყვიტეს ეს საკითხი მაშინდელმა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ და ბორის გაგუამ? რომელი მოქმედი შიდა ან საერთაშორისო კანონმდებლობის საფუძველზე მოხდა ეს? საკითხავია ისიც, თუ გადაეცა გერმანიას, რა სახით გადაეცა, იმ ყდებით? ან, ვინ გადასცა?“

ნინო ბურჯანაძის სახელი ფიგურირებდა და ამიტომ გავიხსენებ კოლეგა ირინა გოგოსაშვილის წერილს „რატომ არ უბრუნებს ნინო ბურჯანაძე ასლან აბაშიძეს მის კუთვნილ უნიკალურ ბიბლიოთეკას?“

ამონარიდი ქალბატონი ირინას წერილიდან: „საქართველოში დაბრუნებისთანავე დავიწყე ჟურნალისტური მოკვლევა, სად გაქრა 25 000 წიგნისა თუ ფოტოარქივის უნიკალური ექსპონატები, ვის ხელში მოხვდა „ვეფხისტყაოსნის“ 6 უნიკალური, ძალიან ძველი გამოცემა, რომელიც ასლან აბაშიძეს საქართველოს ეროვნული მუზეუმისთვის გადასაცემად ჰქონდა გამზადებული? ისეთი აჟიოტაჟი ავტეხე მაშინ, რომ აჭარის მაშინდელმა შს მინისტრმა, პაპუაშვილმა ტელევიზიით მიპასუხა, არქივი და ბიბლიოთეკა უზენაესი საბჭოს „ჩერდაკშია“ და არანაირი საფრთხე არ არსებობს მათი დაკარგვისო. არადა, ტყუოდა პაპუაშვილი, რადგან ასლან აბაშიძემ ზუსტად დამისახელა გვარ-სახელი იმ ადამიანისა, რომელმაც მისი ბიბლიოთეკა „გადასასინჯად“ დაიტოვა იმ პირობით, რომ „გადახედავდა“ და უკან დააბრუნებდა. ეს პიროვნება ნინო ბურჯანაძე გახლდათ!“

2004 წელი იყო, ქვეყანა ახალი ხელისუფლებისგან უცნაური დემოკრატიის ახალ-ახალ „სიურპრიზებს“ იღებდა“, როდესაც ვერცხლის ქუჩაზე მდებარე ეკლესიაში განთავსებული 1,5 მილიონი ერთეულის ეროვნული ბიბლიოთეკის საცავი ხანძარმა გაანადგურა. მაშინ ხმა გავრცელდა, რომ ეკლესიაში განთავსებული ლიტერატურა წლების განმავლობაში ნიავდებოდა და კვალის წასაშლელად სპეციალურად დაწვეს. იმდროინდელ პრესაში იწერებოდა, რომ თანამშრომელთა აზრით, ეს დირექტორის, ლევან თაქთაქიშვილის დამსახურება იყო.

ბიბლიოთეკის დაცვის თანამშრომლებმა თაქთაქიშვილი ძველი გრავიურის ქურდობის ფაქტზე დააკავეს, თუმცა პასუხი არავის მოუთხოვია, სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა. ეროვნული ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალი ამბობდა, რომ გრავიურები „შავ ბაზარზე“ საკმაოდ ძვირად ფასობს და ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული გრავიურების ნაწილი კარგ ხნის გაცილებულია საქართველოს საზღვრებს. მათი შესყიდვებით დაინტერესებულები იყვნენ უცხოელი ტურისტები და დიპლომატიური კორპუსის ზოგიერთი წარმომადგენელი.

1991-92 წლებში, როდესაც ლამის მთელი საქართველო გაიძარცვა და ადამიანის სიცოცხლე ჩირადაც არ ღირდა, ეროვნული ბიბლიოთეკიდან ერთი წიგნი არ დაკარგულა, 2004 წელს, დემოკრატიის გარიჟრაჟზე კი მილლიონნახევარი წიგნი ცეცხლის სახით შთანთქა ვიღაცის ნებამ და შეკითხვაც არავის დაუსვამს პასუხისმგებელი პირებისთვის, რატომ არ გადაიტანეს ეკლესიაში არსებული ფონდი უსაფრთხო საცავში...“

გავიგე, წიგნის ქურდი მხოლოდ საქართველოს ფარგლებსგარეთ არის ქურდი, საქართველოში კი კვლავ ნორჩი ლენინელია...

მაია ჭელიძე

დაიბადა ახალი საქართველო, რომელსაც საკუთარი ინტერესების დაცვა შეუძლია

„საერთო გაზეთის“ სტუმარია კინორეჟისორი
გოგა ხაინდრავა:

- ბატონო გოგა, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში ყოველთვის გარდაუვალი აუცილებლობის დროს ჩნდება. ასე იყო 2012 წელსაც, როცა ხელისუფლებიდან სისხლიანი რეჟიმი გავისტუმრეთ. ახლა რა გამოწვევების გამო დაბრუნდა?

- 2024 წელი ჩვენი და, ზოგადად, მსოფლიოსთვის უმნიშვნელოვანესი იქნება. მსოფლიო რადიკალურად იცვლება - ყველაფერი, რაც ანგლოსაქსური ცივილიზაციის მიერ იყო ნაშენები, დაინგრა. რეალურად, აბსოლუტურად ახალი კონფიგურაცია ყალიბდება, სადაც აშშ-ს, ასევე, ევროკავშირსაც ჰეგემონის როლი აღარ ექნებათ. ამიტომ მსგავსი მსოფლიო გამოწვევების ფონზე ბიძინა ივანიშვილის საკმაოდ რთულ პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა მნიშვნელოვანია. იგი მსოფლიო მასშტაბის ფიგურაა და ახლა მისი პოლიტიკაში შემოსვლა საქართველოსთვის განსაკუთრებით ღირებულია, რადგან ჩვენს წიაღში დღეს სულ სხვა ქვეყანა იშვა. კერძოდ, ქვეყანა, რომელსაც საკუთარი ინტერესების დაცვის უნარიც გააჩნია, შესაძლებლობაც, ნიჭიც და მოთხოვნილებაც, რაც საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე სულ სხვაგვარად წარმოაჩენს. ამის მაგალითია თუნდაც ეპოქალური მნიშვნელობის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ჩინეთთან დადებული ხელშეკრულება და, ზოგადად, ის ურთიერთობები, რაც ჩვენსა და ჩინეთს შორის ყალიბდება. ასევე, აღსანიშნავია ის ურთიერთობებიც, რაც ჩვენსა და არაბულ ქვეყნებს შორის იბადება. ამ ახალმა შესაძლებლობებმა, ივანიშვილს სწორი გადაწყვეტილება მიაღებინა. მან გაიაზრა, რომ ქართული სახელმწიფოსთვის, ჩვენი ერის ცხოვრებაში გადამწყვეტი მომენტი დადგა და პოლიტიკაში დაბრუნებისკენ ნაბიჯიც ამიტომ გადადგა, რაც აბსოლუტურად მართებულად მიმაჩნია და ამისთვის მადლობას ვუხდი.

- ამ ნაბიჯმა „ნაცმოძრაობა“ ნოკაუტში ჩააგდო. როგორია მათი შანსები პოლიტიკაში ივანიშვილის დაბრუნების ფონზე?

- ჩვენ, სამწუხაროდ, პოლიტიკური ოპოზიცია არ გვყავს, ესენი უცხო ქვეყნების ინტერესების დამცველი ხალხია, რომლებიც თავის სამშობლოს კი არა, იმ ძალებს ემსახურება, საიდანაც დაფინანსებას იღებს. მათი ნაწილი ჯაშუშები არიან. მაგალითად, თინა ხიდაშელი, რომელიც არაღიარებული ტაივანის ინტერესებს იცავს. ანუ, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, საკუთარი ქვეყნის ინტერესებს უპირისპირდება. ჯაშუშთა რიგებში არიან: კიკუ ვაშაძე, გირჩი-ზურაბ შარვალჩახდილი, ლიაკა ხოშტარია, რომელიც რუსეთის ინტერესებს ღიად ემსახურება და ამაში გასამრჯელოს იღებს, მაგრამ ეს არ აღელვებთ იმ ყბადაღებული დასავლური ღირებულებების მატარებელ საელჩოებს და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან. ანგლოსაქსურმა ცივილიზაციამ საკუთარი თავი ამოწურა, რის შედეგებსაც ყოველ ნაბიჯზე ვიმკით.

რაც შეეხება ხიდაშელს, რომელსაც ოპოზიციური ტელეარხები ჭკუას, როგორც ყოფილ თავდაცვის მინისტრს, ისე ეკითხებიან, ყველამ ვიცით, რომ იგი წლებია, ამერიკის დაზვერვის თანამშრომელია. ბუნებრივია, მას მაღალი ავტორიტეტი აქვს. ამ თვალსაზრისით არც ქმარი ჩამორჩება. ერთ დროს ეს თანამშრომლობა საქართველოსთვის სასარგებლო იყო, რაც დაფარული არ ყოფილა. დღეს ხშირ შემთხვევაში, აშშ-ის ინტერესები საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებთან თანხვედრაში არ არის. როცა სხვა ქვეყნის ინტერესებს ემსახურები, ბუნებრივია, ეს საქართველოს ინტერესებს ეწინააღმდეგება. ეს მხოლოდ ხიდაშელს კი არა, სალომე სამადაშვილსაც ეხება, რომელიც ევროპული სტრუქტურების გამოგზავნილი და მათი მსახურია. ხოშტარიაზე უკვე მოგახსენეთ, იგი რუსულ სადაზვერვო ინტერესებს ემსახურება. აქვე უნდა ვახსენოთ სააკაშვილიც, რომელიც რუსეთსაც ემსახურებოდა და აშშ-საც. ორმაგ აგენტებს მსოფლიო ისტორია მრავლად იცნობს.

- საპარლამენტო დელეგაცია ხუთდღიანი ვიზიტით ჩინეთში იმყოფებოდა. ოპოზიცია მაშინვე აყვირდა, ეს კომუნისტური ჩინეთით დასავლეთის ჩანაცვლების მცდელობაა...

- ამ აგენტურას ოპოზიციას ნუ უწოდებთ. განა შეიძლება ნამდვილ ოპოზიციას არ ესმოდეს, რა მნიშვნელობა აქვს დღეს საქართველოსთვის ჩინეთთან ურთიერთობას ეკონომიური, პოლიტიკური, თუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით?! კიკუ ვაშაძეზე უარესი ბეცი უნდა იყო, ეს რომ ვერ გააცნობიერო. ოპოზიციას მშვენივრად ესმის ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის ფასი, მაგრამ თავს იბეციანებენ, რადგან პატრონის დავალებას ასრულებენ. ეს, პირველ რიგში, აშშ გახლავთ, რომელსაც ჩინეთთან პრობლემები აქვს და საქართველოსთან მისი ურთიერთობა არ მოსწონს. ამ დროს ჩინეთთან მშვენივრად ვაჭრობენ და იქ ბლინკენსაც აგზავნიან. ახლახან ჩინეთში ევროკავშირის წარმომადგენლები ბრძანდებოდნენ. მათთვის ჩინეთთან ურთიერთობა შეიძლება და ჩვენთვის არა?! თურმე, ჩვენ დასავლეთის ვასალები უნდა ვიყოთ და ხან ერთ კართან ავეტუზოთ, ხან - მეორესთან.

ეგრეთ წოდებულმა ლიბერასტულმა პოლიტიკამ მთელ მსოფლიოში კრახი განიცადა. იგივე ხდება საქართველოშიც - ლიბერასტები სასოწარკვეთილნი არიან. ამიტომ ცდილობენ, ქვეყანა არიონ, მარშებს აწყობენ და დამნაშავეების გათავისუფლებას ითხოვენ. მადლობა ღმერთს, ქართული საზოგადოება საიმისოდ მომწიფდა, რომ თეთრი და შავი ერთმანეთისგან გაარჩიოს. შავ ფერს, მიუხედავად იმისა, ადგილობრივი წარმოების იქნება თუ იმპორტირებული, მშვენივრად ვარჩევთ. ასე რომ, საქართველოს პოლიტიკური ოპოზიცია არ ჰყავს, რაც სახელმწიფოსთვისაც ცუდია და მმართველი ძალისთვისაც - როცა ცივილური კონკურენტი არ გყავს, ბევრი საფრთხე იჩენს თავს.

რაც შეეხება კომუნისტურ ჩინეთზე აპელირებას, ეს ზღაპრები „ლელოს“ ოფისში ერთად რომ შეიკრიბებიან, იქ მოყვნენ. ხაზარაძემაც და უსუფაშვილმაც კარგად იციან კომუნისტური ფილოსოფია, ორივე კომკავშირის გამოზრდილები არიან და ვურჩევ, კომუნისტურ ჩინეთზე ერთმანეთს ელაპარაკონ. ჩინეთი ეკონომიკური კუთხით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალგანვითარებული ქვეყანაა. იქაური იდეოლოგია ჩვენი საქმე არ არის. ჩინეთის მაგინებლებს ხომ არ დაავიწყდათ, მათი კუმირი აშშ როგორ ამყარებდა 20 წლის განმავლობაში ავღანეთში დემოკრატიას და ბოლოს იქედან პანჩურებით გამოაგდეს. „დემოკრატიის დამყარებაში“ ორი ტრილიონი დოლარი დახარჯეს, 86 მილიარდი დოლარის იარაღი დატოვეს და გამოპანღურებულებმა პორტ არტურის ცხენს გამოასწრეს. ეს ხომ აბსურდია - ავღანეთში დემოკრატია როგორ უნდა დაამყარო?!

დავუბრუნდეთ ჩინეთს, ეს ის ქვეყანა, რომელმაც იმ დროს აწარმოა დამპყრობლური ომები, კაცობრიობას არც კი ახსოვს. ჩინეთის განვითარებას მთელი მსოფლიო ხედავს. ამიტომაც დაევალა ამ აგენტურას ჩინეთის ლანძღვა. ჩვენთვის ჩინეთთან მიმართებით-მნიშვნელოვანია ორი ფაქტორი: ეკონომიკური ურთიერთობები და „შუა დერეფნის„ პროექტი, რაც ჩინეთის ხელმძღვანელობის მიერ ოფიციალურად დეკლარირებულია. თუ დავაკვირდებით ევროკავშირსა და ჩინეთს შორის არსებულ ტვირთბრუნვას და იმ ინტერესებს, რაც ამ სფეროშია, გასაგები ხდება, რა მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის „შუა დერეფნის„ როლს. აი, რა არ მოსწონთ ჩვენს „ბატონებს“. ეს არც რუსეთს აწყობს და არც აშშ-ს. იმ კუთხით, რომ საქართველო-ჩინეთის ურთიერთობა არ გაღრმავდეს, არ გაძლიერდეს და სტრატეგიული პარტნიორობა რეალობად არ იქცეს, რუსეთის და ამერიკის ინტერესები თანხვედრაშია. თუმცა, ჩვენს ურთიერთობას წინ ვერაფერი დაუდგება, ამაზე ნურც რუსეთი ინერვიულებს, ნურც აშშ, ნურც ხიდაშელი და ნურც ლიაკა.

- ჩინეთთან ჩვენი ურთიერთობა არ მოსწონთ, მაგრამ თავად აშშ და ევროკავშირი ცდილობენ, მასთან პარტნიორობისთვის მტკიცე ნაბიჯები გადადგან. იგივეს ჩვენ რატომ გვიკრძალავენ?

- ის დრო დამთავრდა, როცა რაღაცას გვიკრძალავდნენ. ამაში ივანიშვილის როლი გადამწყვეტია. ამიტომაც არიან დუჟმორეულნი ამერიკაც და ევროპაც. ბიძინა ივანიშვილთან ბრძოლას ამერიკამ შვეიცარია შესწირა. მათ იციან, რომ ივანიშვილის საქართველოში ყოფნა მათ გეგმას - აშშ-ის „შნირები„ ვიყოთ, მთლიანად ანადგურებს. ეს ომი წააგეს. ჩვენი ვასალობა ისტორიას ჩაბარდა, რაც ნათელი გახდა ამერიკის ავღანეთთან კრახის შემდეგ. ახალი მსოფლიო წესრიგი ყალიბდება, რაშიც საქართველოს როლი უმნიშვნელოვანესი იქნება.

- „ლელოს“ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, საქართველოს მიერ ჩინეთთან ურთიერთობის გაღრმავება პოლიტიკურ დასავლეთზე რევანშიაო.

- ეს უმეცრები, წერა-კითხვის უცოდინარნი, პოლიტიკასთან რა კავშირში არიან?! ხაზარაძეზე, გეგელიაზე, ბუაძეზე, როგორც პოლიტიკურ სუბიექტებზე სერიოზულად ლაპარაკი როგორ შეიძლება!

- ბატონო გოგა, ჩინეთმა საქართველოში ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი უნდა ააშენოს. ოპოზიცია ამასაც აპროტესტებს...

- მათი შფოთვა გასაგებია. ხაზარაძე ამ პროექტში იმისთვის მოგვევლინა, ეს პორტი რომ არ აშენებულიყო. ეს ამერიკელების დავალება იყო. მათ ეს პორტი არაფერში სჭირდებათ. მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობით დაინტერესებულია, ჩინეთი გახლავთ. მისთვის ეს მნიშვნელოვანია. მანამდე რა ხდებოდა? - ექვსი წლის განმავლობაში ხაზარაძემ ყველაფერი გააკეთა, რათა პორტის აშენებისთვის ხელი შეეშალა. მადლობა ღმერთს, ადრე თუ გვიან, ხელისუფლება მიხვდა, რაც ხდებოდა და ხაზარაძე პროექტს ჩამოაცილა. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი ევროპისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სამი გზიდან, რომელიც ჩინეთიდან ევროპისკენ გადიოდა, ორი აღარ არსებობს. ერთი გზა რუსეთზე გადიოდა, მეორე - ირანზე. ირანი წინასაომარ მდგომარეობაშია და არც აშშ-სთან და არც ევროპასთან კარგი ურთიერთობა არ აქვს. ეს გზაც ჩაკეტილია. ამიტომ რჩება ერთადერთი, ყველაზე მოკლე და უსაფრთხო გზა, რომელიც საქართველოზე გადის. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, ჩინელებთან ერთად ამ პროექტით ევროპელებიც არიან დაინტერესებულნი და მის განხორციელებაში სერიოზულად ჩაერთვებიან.

- ამ ფონზე რას მოგვიტანს ევროპისკენ ლტოლვა?

- ჩვენ ლტოლვა კი არ გვაქვს, არამედ ამ სივრცის დამფუძნებლები, ნაწილი ვართ. რასაც ევროპა დასავლურ ღირებულებებს ეძახის, ეს, სინამდვილეში, ქრისტიანული ღირებულებებია, რაც აღმოსავლეთში წარმოიქმნა და მერე ევროპაში გავრცელდა. ამან ხელი შეუწყო ევროპას, რათა ცივილიზებულ კონტინენტად გადაქცეულიყო. რაც შეეხება კანდიდატის სტატუსს, ჩვენ საკანდიდატო არაფერი გვჭირს, ვიმეორებ, ამ სივრცის ნაწილი ვართ. ბედის

10 გვ.

„იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ში მასობრივი შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო, გლობალურად იხეირებს: რუსეთი, ჩინეთი, ირანი, ჩრდილოეთ კორეა. ისრაელი ვერ შეძლებს ტერორისტების მოგერიებას, ხოლო აშშ-ის „ფოსტის ვაგონ“ ევროპაში ასევე დაიწყება არაშეიარაღებული დაპირისპირება მემარჯვენეებსა და ფსევდოლიბერალ მემარცხეებს შორის“ - ამის შესახებ „საერთო გაზეთს“ პოლიტოლოგი ბია აბაშიძე ესაუბრება

ამერიკაში დენთის სუნი ტრიალებს

- 26 იანვარს ირაკლი ღარიბაშვილმა და ნიკოლ ფაშინიანმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას საქართველოსა და სომხეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების შესახებ. სომხეთის პრემიერმა ბრიფინგზე პირველად წამოჭრა საზღვრის დელიმიტაცია- დემარკაციის საკითხი. სხვა რა მნიშვნელოვანი გზავნილები მივიღეთ ამ შეხვედრისგან?

- სომხეთი და საქართველო, მეგობრების გარდა, სტრატეგიული პარტნიორები აქამდეც იყვნენ, თუმცა ახლა ეს მოცემულობა ოფიციალურად გაფორმდა. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, ჩვენ ერთმანეთს ვეხმარებოდით გასაჭირში. ასევე, საქართველო ბოლო წლებში გამოიკვეთა, როგორც ერთ- ერთი მნიშვნელოვანი შუამავალი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რაც მისასალმებელია.

რაც შეეხება საზღვრის დელიმიტაცია- დემარკაციის პროცესს, ეს არის უდიდესი პრობლემა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. საბჭოთა რესპუბლიკებს შორის იყო ეგრეთ წოდებული ადმინისტრაციული საზღვარი, რომელიც იმხანად სადავო არ იყო, რადგან „ერთიან იმპერიაში“ ვცხოვრობდით. შემდეგ შეიცვალა არაერთი მთავრობა როგორც საქართველოში, ასევე სომხეთში, მაგრამ პრობლემა პრობლემად დარჩა. ამიტომ, როდესაც მეგობრები ერთად სხდებიან და არკვევენ სად არის სადავო ტერიტორია, სად არის სადავო მონაკვეთი, მიდიან სხვადასხვა კომპრომისზე და ურთიერთსასარგებლო შეთანხმების აღწევენ, მისასალმებელია. მსგავსი გამოწვევა დგას საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დავით გარეჯის მონასტერთან დაკავშირებით. აქაც იმედია, საკითხი ისე გადაწყდება, როგორც ნამდვილ მეგობრებს შეეფერება.

სომხეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო- ეკონომიკური ურთიერთობა კიდევ უფრო გაძლიერდა 2023 წელს, გაიზარდა საქართველოს საექსპორტო პოტენციალი სხვადასხვა ქვეყანაში და აღსანიშნავია, რომ 2023 წელს მეტი ტურისტი შემოვიდა სომხეთიდან, ვიდრე წინა წლებში. მრავალი წელია, მიუხედავად აზერბაიჯანი- სომხეთის კონფლიქტისა, საქართველოს კურორტებზე მშვიდობიანად და მეგობრულად თანაცხოვრობენ სომეხი და აზერბაიჯანელი ტურისტები და შემთხვევაც არ გაგვიგია ისეთი, რომ მათ შორის სერიოზული დაპირისპირება მომხდარიყო. გარდა ამისა, ჩვენმა ტურისტულმა კომპანიებმა დაიწყეს ტურების გამართვა სომხეთში. 2023 წლის განმავლობაში საქართველოს მრავალი მოქალაქე ეწვია სომხეთის კულტურულ-ისტორიულ ძეგლებს, რაც ძალიან კარგია, რადგან ტურისტული მიმოსვლა, ადამიანებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო ადუღაბებს სამეზობლო კავშირებს.

გარდა ტურისტული და სავაჭრო ურთიერთობებისა, ჩვენ ვნახეთ, რომ სომხეთი დაინტერესებულია შუა დერეფნით; ერევანი და ბაქო მზად არიან გააფორმონ სამშვიდობო ხელშეკრულება, რაც, რასაკვირველია, სამხეთ- კავკასიაში გრძელვადიანი და მშვიდობიანი სტაბილურობის დამყარების გარანტი იქნება. ამიტომ სომხეთი დაინტერესებულია ამ სატრანზიტო პოტენციალით. მოგეხსენებათ, რომ ტურბულენტური სიტუაციაა რეგიონში. მშვიდობის ფასი გაიზარდა ნებისმიერი ქვეყნისთვის, სადაც სტაბილურობაა, იქ კონფლიქტსა და დაპირისპირებაზე აღარავინ ფიქრობს.

მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარების დინამიკა მზარდია არამხოლოდ ჩვენსა და მეზობლებს შორის, ეს ხდება თუნდაც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის.

- სალომე ზურაბიშვილმა უკმაყოფილება გამოთქვა, რომ არ მიეცა საშუალება ემასპინძლა მეზობელი ქვეყნის ლიდერებისთვის, საქართველოში ვიზიტის ფარგლებში...

- სასიხარულოა, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა, უნგრეთის პრემიერ- მინისტრმა ვიქტორ ორბანმა და ახლა უკვე სომხეთის მთავრობის მეთაურმა ნიკოლ ფაშინიანმა ჩვენი ქვეყნის შიდა პოლიტიკა ჯეროვნად შეაფასეს. საქართველოში ვიზიტებისას არცერთი მათგანი არ შეხვდა კონსტიტუციის არაერთგზის დამრღვევს, ფორმალურ პრეზიდენტს, სალომე ზურაბიშვილს.

სალომე ზურაბიშვილის ადმინისტრაციამ როგორი განცხადებებიც უნდა გააკეთოს, ფაქტია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოზე ზემოთ პრეზიდენტი ვერ დადგება. საკონსტიტუციო გადაწყვეტილებას პატივს სცემს უკვე მესამე ლიდერი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ეწვია, რაც ძალიან მართებულია, რადგან ქვეყნის უპირველესი კანონის დამრღვევი საერთაშორისო ურთიერთობებშიც აუტსაიდერი უნდა იყოს.

- შეერთებულ შტატებში, რომელიც, გარკვეულწილად, მსოფლიოს პოლიტიკურ დღისწესრიგს განსაზღვრავს, დაძაბული ვითარებაა. ერთმანეთს ორი პარტიის წარმომადგენლები უპირისპირდებიან, რაც შესაძლოა, სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდოს. ფაქტობრივად, მსოფლიო დგას დესტაბილიზაციის საფრთხის წინაშე...

- საკმაოდ კომპლექსური თემაა, იმ დამღუპველი შიდა პოლიტიკის გამო, რომლსაც ბაიდენის ადმინისტრაცია ახორციელებს და რომელ ძალასაც თავად ამერიკელი პოლიტიკოსები ულტრა მემარცხენე ფსევდო-ლიბერალებს უწოდებენ. შეერთებულ შტატებში წარმოუდგენელი დაპირისპირება პიკზეა. არალეგალი იმიგრანტების თავისუფლად შემოდინების მომხრე ფსევდოლიბერალი დემოკრატების გამო, რომლებსაც სურთ ამ იმიგრანტების „ხმების“ გამოყენება საპრეზიდენტო არჩევნებში.

ბაიდენის მმართველობის დროს აღარ არის საჭირო მექსიკიდან მიწისქვეშა გვირაბების საშუალებით გადაპარვა. დღისით, მზისით, ასობით ადამიანი შედის როგორც ტეხასიდან, ასევე სხვა შტატებიდან დაუბრკოლებლად ამერიკაში. ამის შემდეგ უკვე ათიათასობით და ასიათასობით მიგრანტთა ნაკადი ნაწილდება სხვადასხვა ამერიკულ ქალაქში, მათ აძლევენ თავშესაფარს, კომპენსაციებს... ამერიკის დიდი ქალაქებიდან, რომლებიც ადრე სამაგალითო ქალაქებად ითვლებოდა, გამორბის ამერიკელი მოსახლეობა და გადადის ქვეყნის შუა შტატებში, სადაც „რესპუბლიკელი“ გუბერნატორები არიან და ძალიან მკაცრად ეპყრობიან უკანონო იმიგრანტებს.

ამ უკანონო იმიგრაციის გამოა სწორედ, რომ დაფინანსება არ ეძლევა უკრაინას. კონგრესის ქვედა პალატაში, სადაც უმრავლესობაში „რესპუბლიკელები“ არიან, შემოიტანეს კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც საზღვრის გამაგრების სანაცვლოდ, დაფინანსება გამოიყოფოდა ურაინასა და ისრაელზე, რაც ბაიდენის „დემოკრატებმა“ დაბლოკეს. შედეგად, უკრაინა დარჩა დაფინანსების გარეშე და ეს უკვე აღიარა პენტაგონის შეფმა ლოიდ ოსტინმა. ახლა უკვე უკრაინელები იძულებულნი არიან, დაფინანსება მოიძიონ ევროპიდან, იაპონიიდან და სხვა მოკავშირე ქვეყნებიდან, რომლებიც მხარს უჭერენ ოფიციალურ კიევს.

ამ რამდენიმე დღის წინათ, ტეხასის შეწუხებულმა გუბერნატორმა, მავთულხლართები აღმართა საზღვარზე. მოგეხსენებათ, თითოეულ შტატს ჰყავს ეროვნული გვარდია, ფედერალური შტატების სუვერენიტეტი საკმაოდ მაღალია. ეროვნულმა გვარდიამ დაიწყო საზღვრის გამაგრება. პარადოქსი და უპრეცენდენტო ამბავი მოხდა, როდესაც ცენტრალური სასაზღვრო ჯარების ოფიცრები ჩავიდნენ ტეხასში და დაიწყეს ამ მავთულხლართების დემონტაჟი. ბუნებრივია, როგორც ტეხასის ეროვნული გვარდია, ასევე ცენტრალური სასაზღვრო უწყების წარმომადგენლები, შეიარაღებულები იყვნენ და ამჯერად გადარჩნენ ცეცხლის გახსნას, ურთიერთდაპირისპირებას. თუმცა, შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა სიტუაცია და უზენაესმა სასამართლომ ტეხასს დაავალა, რომ დაუშვას ფედერალური აგენტები საზღვარზე, მაგრამ ამავე დროს არ აუკრძალა ტეხასის შტატს, რომ გაამაგროს საზღვარი.

- ბაიდენის როლი რაში მდგომარეობს მთელ ამ ქაოსში?

- ბაიდენის უგუნური გადაწყვეტილებების მიღების ფონზე, ოცდახუთმა „რესპუბლიკელმა“ გუბერნატორმა, რომლებიც ძალიან მკაცრები არიან საიმიგრაციო პოლიტიკასთან დაკავშირებით, სოლოდარობა გამოუცხადეს ტეხასს. ათმა შტატმა ეროვნული გვარდია უკვე გაგზავნა ტეხასის საზღვარზე და ამას სხვა შტატებიც მიჰყვებიან. სამხრეთ დაკოტას გუბერნატორმა კრისტი ნოემმა, რომელმაც ასევე გაგზავნა მისი შტატის ეროვნული გვარდია ტეხასში, განმარტა, რომ ტეხასის შტატი საომარი ზონაა! ტეხასის გუბერნატორმა კი განაცხადა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ნებისმიერი კონფლიქტისთვის მზად არის! - ეს არის უპრეცენდენტო შემთხვევა, რასაც დენთის სუნის ასდის. ეს არის სამოქალაქო შეიარაღებული დაპირისპირების პიკი.

ჩემი აზრით, იმ საშინელ შემთხვევაში, თუ აშშ- ში დაიწყო მასობრივი შეიარაღებული დაპირისპირება, გლობალურად იხეირებს: რუსეთი, ჩინეთი, ირანი, ჩრდილოეთ კორეა. ისრაელი ვერ შეძლებს ტერორისტების მოგერიებას, ხოლო აშშ- ის „ფოსტის ვაგონ“ ევროპაში ასევე მოხდება არაშეიარაღებული დაპირისპირება მემარჯვენეებსა და ფსევდოლიბერალ მემარცხეებს შორის.

არავის სჯერა, რომ ჯო ბრეჟნევ- ბაიდენი და ვიცე- პრეზიდენტი კამალა ჰარისი მართავენ ამ ყველაფერს. ამერიკელ ანალიტიკოსთა შეფასებით, ამ ქაოსის უკან დგანან ჩრდილოვანი მმართველი, ბარაკ ჰუსეინ ობამა და მისი თანამზრახველნი „ღრმა სახელმწიფოს“ სისტემიდან.

ყველასათვის ცნობილია, რომ ამერიკის ნებისმიერ ზრდასრულ მოქალაქეს, რომელიც არ არის ნარკოდამოკიდებული, არ არის ფსიქიატრიულ აღრიცხვაზე და არა აქვს მძიმე კრიმინალური წარსული, კონსტიტუციით აქვს მინიჭებული უფლება, ჰქონდეს სახლში ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის - ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი. წარმოიდგინეთ, რომ თუკი ტეხასის მოსახლეობა ცენტრალურ ხელისუფლებას დაუპირისპირდა, განმეორდება ის

10 გვ.

დაიბადა ახალი საქართველო

8 გვ.

უკულმართობის გამო ჩვენთვის ბუნებრივ მდგომარეობას - ევროპის ნაწილს მოგვწყვიტეს.

- ოპოზიციას ერთი გეგმა ჩაეშალა: სტატუსი მოგვანიჭეს და რევოლუცია ვეღარ მოაწყვეს. სამაგიეროდ, ახლა აქცენტი მოლაპარაკებების გახსნაზე გადაიტანეს...

- ეს სასაცილოა. აგერ, ზელენსკისთან ხომ გახსნა ევროპამ მოლაპარაკებები, ჰოდა, დასხდნენ და ილაპარაკონ. მოლდოვა და უკრაინა ხომ არიან რეფორმების ავანგარდში, ჰოდა იმათ ელაპარაკონ. ჩვენ დავაკვირდებით, რას მოილაპარაკებენ. ახლა, 12 პუნქტის შემდეგ 9-პუნქტიანი დავალება მოგვცეს, ეს ზღაპარია. თუ უნდათ, 38 პუნქტი დაწერონ, ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. ახლა მთელი მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანია, როდის, რა შედეგით დამთავრდება რუსეთ-უკრაინის ომი.

- ბოლოს არჩევნების შესახებ მინდა გკითხოთ. „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ ხმათა 60%-ს მოიპოვებს...

- ვფიქრობ, „ქართული ოცნება“ კონსტიტუციურ უმრავლესობას მოიპოვებს. თუმცა, საქართველოში რეალური პოლიტიკური ოპოზიცია უნდა გაჩნდეს, რადგან მარტოობაში მყოფი პოლიტიკური ორგანიზაცია ხშირად ხიბლში ვარდება. ეს ყველას ემუქრება, ალბათ, „ქართულ ოცნებასაც“. ამაზე საზოგადოებამ უნდა იფიქროს. კიკუ ვაშაძე და წითლიძე ოპოზიციად ვერ ჩაითვლება. ის, რაც წითლიძემ და ბეჟაშვილმა ევროპარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადეს, ეს მტრობა და ბოროტმოქმედებაა ქვეყნის მიმართ.

საქართველო ღარიბი ქვეყანა არასდროს ყოფილა არც მოაზროვნეებით და არც ნიჭიერი ხალხით. უბრალოდ, მოქმედმა პარტიებმა ეს ასპარეზი გააბინძურეს. ვისაც ამ ვაკუუმის შევსება შეეძლო, მათ ნათელაშვილის, ვაშაძის, ხაზარაძის გვერდით ყოფნა არ სურთ. ამაზე საზოგადოებამ უნდა იზრუნოს. ვფიქრობ, 2024 წლის არჩევნები, ამ მიმართულებით, გადამწყვეტი იქნება, ხოლო მთელი არსებული ნაგავი ჩაირეცხება და საქართველოს ორგანიზმს მოსცილდება.

— ბატონო გოგა, მთავრობაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. როგორ შეაფასებთ, ამ გადაწყვეტილებას?

— ამაში გასაკვირი არაფერია. დემოკრატია, რაზეც ჩვენი გავარვარებული მეგობრები ასე ხშირად და თავგამოდებით მოგვიწოდებენ, სწორედ ამგვარ ცვლილებებს გულისხმობს. ასე რომ, მთავრობაში განხორციელებული როტაცია, ბუნებრივი მომენტია. ირაკლი ღარიბაშვილი ხუთი წელი საქართველოს პრემიერ-მინისტრი იყო და ჩემი აზრით, ძალიან ღირსეული გზა განვლო. მან ქვეყნისთვის უმძიმესი, გადამწყვეტი პერიოდი ღირსეულად, სახელმწიფოებრივად წელშიგამართულად გაიარა. ეს მარტივი თემა არ არის. ჩვენ ხომ არ ვიცით, რა სახის ზეწოლა, წნეხია ადამიანზე. მე ორჯერ გახლდით სახელმწიფო მინისტრი და მინდა გითხრათ, რომ ქვეყნის მართვაზე პასუხისმგებლობის აღება, იოლი არ არის. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ადამიანები ამხელა პასუხისმგებლობის აღებას ეტრფიან, ძალიან ცდება. ეს უგუნური, საკუთარ თავზე მოფიქრალი ხალხის აზრია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ღარიბაშვილი საკუთარ ქვეყანას ემსახურებოდა და არა პირიქით — ქვეყანა მას, რასაც ყველა ვხედავდით. ქვეყნის სამსახურში ერთგულად ყოფნა ახალგაზრდა კაცისთვის რომელსაც ოჯახი, შვილები ჰყავს, ძალიან რთულია. ამ დროს ყველაფერს მოკლებული ხარ და მთლიანად ქვეყნის მსახურებაზე ხარ გადართული. რაც შეეხება ირაკლი კობახიძეს, რომელიც პრემიერ-მინისტრის თანამდებობას დაიკავებს, მინდა გითხრათ, რომ იგი არანაკლებ ღირსეული კაცია. ვფიქრობ, ორივემ — ირაკლი ღარიბაშვილმაც და ირაკლი კობახიძემაც საქართველოსთვის უმძიმეს 2023 წელს დიდ გამოცდას გაუძლეს. 2024 წელიც ქვეყნისთვის გამოცდა იქნება, ბეწვის ხიდზე მოგვიწევს გავლა. მოგეხსენებათ, გარე, ძალიან დიდი ძალები საქართველოს ომში ჩართვას ცდილობდნენ. მიუხედავად დიდი მონდომებისა, ამის გაკეთება ვერ მოახერხეს, რაშიც ორივე ირაკლის უდიდესი წვლილი მიუძღვის. ამიტომ როცა ერთ ღირსეულ ადამიანს თანამდებობაზე მეორე ღირსეული ცვლის, ეს მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის, ხელისუფლებისა და თავად საზოგადოების წინსვლაზე მეტყველებს.

თამარ შველიძე

ამერიკაში დენთის სუნი ტრიალებს

9 გვ.

სამოქალაქო ომი, რაც იყო მე- 18 საუკუნეში ამერიკაში. ეს იქნება კატასტროფა, როგორც ამერიკისთვის, ასევე გლობალურად, მსოფლიოსთვის.

ეს ყველაფერი რომ შევაჯამოთ, ულტრამემარცხენე ამერიკელი „დემოკრატების“ პოლიტიკამ ცეცხლი გააჩაღა არამხოლოდ უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში, არამედ, თავად ამერიკაშიც. თუკი მსოფლიოში ბალანსი დაირღვევა, თუკი ამერიკა სამოქალაქო ომში იქნება ჩართული, საერთოდ შეიცვლება გლობალური დღის წესრიგი და აქ ჩვენ უკვე ჩვენს ქვეყანაზე უნდა ვიფიქროთ. საქართველო აბსოლუტურად განზე უნდა გადგეს ამ პროცესისგან, უნდა შევინარჩუნოთ მშვიდობა ბეწვის ხიდზე და არ ჩავერთოთ არც ერთი მსხვილი გიგანტის

დაჯახებაში. მადლობა ღმერთს, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაა ახლა სათავეში, თორემ „უკრაინიზაცია“ იქნებოდა გარდაუვალი „ნაცმოძრაობის“ მმართველობის შემთხვევაში.

- მე მაინც ვფიქრობ, რომ ამერიკელებს ეყოფათ გონიერება, შეიარაღებული დაპირისპირებისგან თავი შეიკავონ და პრობლემა არჩევნების გზით გადაწყვიტონ. 2024 წელი ხომ მათთვისაც მნიშვნელოვანი საარჩევნო წელია...

- გვაქვს იმედი, ისევე, როგორც ამერიკელებს აქვთ იმედი, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს, კომპრომისი გაიმარჯვებს და მოერიდებიან შეიარაღებულ დაპირისპირებას, მაგრამ გავიხსენოთ როგორ იწყება შეიარღებული დაპირისპირება ნებისმიერ ქვეყანაში. თუ ერთხელ გავარდება ტყვია და იქნება მსხვერპლი, იქ უკვე უკონტროლოა სიტუაცია. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ამერიკაში ბევრი საღად მოაზროვნე პოლიტიკოსი და ძალიან ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტებია, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ შეარყიეს ფსევდოლიბერალმა „დემოკრატებმა“, აღკვეთენ ამ მოსალოდნელ საშინელ სცენარს.

არჩევნების თვალსაზრისით კი, საქმე ძალიან რთულადაა. ყველა გამოკითხვაში, რომელიც ბოლო პერიოდში ამერიკაში ტარდება, ტრამპი უსწრებს ბაიდენს. თითქმის კვირაში ერთხელ ტრამპის წინააღმდეგ სასამართლო გარჩევები მიმდინარეობს. ეს კიდევ მეორე საშიშროებაა სამოქალაქო ომის. ბოლო გამოკითხვების მიხედვით დონალდ ტრამპს 75 მილიონზე მეტი მომხრე ჰყავს და თუ ყოფილი პრეზიდენტი ციხეში აღმოჩნდა, დავიჯერო მისი ელექტორატის მთელი არმია, რომელთაგანაც თითქმის ყველას ცეცხლსასროლი იარაღი აქვს ოჯახში, არაფერს გააკეთებს სათაყვანებელი ლიდერის დასაცავად? - ესეც მეორე საშინელი სცენარია. ანუ ერთ მხარეს გვყავს მოხუცი და უუნარო „დემოკრატი“ ჯო ბაიდენი და მეორე მხარეს არის „რესპუბლიკელი“ დონალდ ტრამპი. ასე რომ, ვერ გავცემთ პასუხს კითხვას, თუ რა შედეგით შეიძლება დასრულდეს არჩევნები ამერიკაში.

- პრეზიდენტებში არც ჩვენ გვიმართლებს. მაგალითად, ჩვენმა ყოფილმა პრეზიდენტმა, რომელიც კარგა ხანია ციხეშია, დააანონსა, რომ აპირებს ხელი შეუწყოს აუცილებელი ტექდათვალიერების გაუქმებას და ჯარიმების შემცირებას საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის...

- პირადად მე მიმაჩნია, რომ ეს შლეგი ციხეში კი არა, ფსიქიატრიულ კლინიკაში უნდა გადაიყვანონ. სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, რომ „ვივამედის“ კლინიკის მეხუთე სართულზე, სადაც მიხეილ სააკაშვილი აბსოლუტურად იზოლირებულია, ის ხშირად მოითხოვს, რომ ეწვიონ უცხოელი ლიდერები, რომლებიც სტუმრობენ საქართველოს და იქვე უნდა, რომ გამართოს მთავრობის სხდომა. „ტექდათვალიერების“ ეგეთ წოდებული ინიციატივაც ამ პროცესის ნაწილია. ამიტომ არ შეიძლება ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი სამოქალაქო კლინიკაში იყოს, არც საპატიმროშია მისი ადგილი. მას ესაჭიროება სერიოზული ფსიქიატრიული მკურნალობა. სააკაშვილი შესამოწმებელია კომპლექსურად ფსიქიატრების მიერ და დიდი ალბათობით გადასაყვანია სპეციალურ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

- მმართველ გუნდში ცვლილებაა. ირაკლი ღარიბაშვილი და ირაკლი კობახიძე თანამდებობებს ცვლიან. პირველ თებერვალს, პარტიის ყრილობაზე „ქართული ოცნება“ ახალ პრემიერ- მინის-

ტრს, ირაკლი კობახიძეს წარადგენს. შესაბამისად, შეიცვლება მთავრობის შემადგენლობაც. ამ ფაქტს როგორ შეაფასებდით?

- ინტერაქტიული პოლიტიკური გუნდი მუდმივ ცვლილებებს განიცდის, რაც უცხო არ არის არც ევროპისთვის და არც ამერიკისთვის. პოლიტიკურ გუნდს, ისე როგორც ბიზნეს- გუნდს, როგორც სპორტულ გუნდს, - ცვლილება ყოველთვის სჭირდება. ოქტომბერში არის ისტორიული შანსი იმისა, რომ დიდი ალბათობით „ქართული ოცნება“ უკვე მეოთხედ მოვიდეს ხელისუფლებაში, რისთვისაც საჭიროა კომპლექსური მომზადება. ვინ- ვინ თუ არა „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა საბჭომ, სადაც საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილია, იცის როგორ განახორციელოს ცვლილებები შიგნით, რათა მაქსიმალურად სასურველ შედეგს მიაღწიონ არჩევნებზე. რასაკვირველია, ეს ასევე, ხალხის განწყობაზეა დამოკიდებული.

ეჭვიც არ მეპარება, რომ პარლამენტში „ქართული ოცნების“ უმრავლესობა ირაკლი კობახიძეს პრემიერ- მინისტრის პოსტზე დაამტკიცებს, მიუხედავად ოპოზიციის მოსალოდნელი ყიყინისა, რაც არაერთხელ გვინახავს. ბუნებრივია, ამას აქვს თავისი პროცედურები და ველოდებით გარკვეულ ცვლილებებს აღმასრულებელი ხელისუფლების შტოშიც.

29 იანვრის მონაცემებით არ ვიცით როგორია მომავალი პრემიერ- მინისტრის გეგმები, მაგრამ უახლოეს პერიოდში გავიგებთ. მთავარია, ვიყოთ მაქსიმალურად მობილიზებული არამხოლოდ იმისთვის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვოს, არამედ იმისათვის, რომ ქვეყანაში შევინარჩუნოთ მშვიდობა და სტაბილურობა, რაც ეკონომიკური განვითარების წინაპირობაა. ამ პოლიტიკას კი ყველაზე წარმატებულად „ქართული ოცნების“ ხელისუფლება უზრუნველყოფს.

- როგორც აღნიშნეთ, არის ისტორიული შანსი იმისა, რომ „ქართული ოცნება“ მეოთხედ მოვიდეს ხელისუფლებაში. რა გავლენას მოახდენს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება ქართულ რეალობაზე?

- ბიძინა ივანიშვილი, ერთის მხრივ, პოლიტიკაში დაბრუნდა მმართველი გუნდის გასაძლიერებლად. მეორე - ჩემი პირადი მოსაზრებით, ამ უდიდესი საერთაშორისო გამოწვევების ფონზე, ის ისევ სახელმწიფოს დაუდგა გვერდით, რათა დაიცვას, გადაეფაროს ჩვენს საზოგადოებას თავისი ავტორიტეტით, თავისი გავლენებით და წონადობით... პირადად მე და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს მიგვაჩნია, რომ გარკვეული მაშველი რგოლი გვყავს, ღიად და გაცხადებულად, ბიძინა ივანიშვილის სახით, მაგრამ საფრთეები არ ცხრება. ვხედავთ გლობალურად რა ცეცხლი უკიდია პლანეტას, ვხედავთ, როგორ გვიტევენ „ნაცრადიკალები“ ფულით და გავლენებით, თუმცა, უდიდესი გამოწვევები გადაუტანია ისტორიულად ჩვენს ქვეყანას და ამ გამოწვევებსაც წარმატებით გადავიტანთ.

ნონა ქარქაშაძე

ბიტკოინთან დაკავშირებულ დავებს სპეციალური საერთაშორისო არბიტრაჟი განიხილავს

ექსკლუზიური ინტერვიუ ბლოკჩეინის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს ახალარჩეულ წევრთან ბატონ ლევან ბოძაშვილთან

ბლოკჩეინი არის ტექნოლოგია, რომელმაც საფინანსო ბიზნესში დიდი გარდატეხა მოახდინა. ამ ტექნოლოგიის დახმარებით, როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში, განვითარდა კრიპტოვალუტით ვაჭრობა. როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ტრადიციულ საბანკო სექტორთან შედარებით, კრიპტოვალუტით ვაჭრობა უფრო დაცულია, ვიდრე ტრადიციული საბანკო სექტორის მომსახურება, რადგან ონლაინ ვაჭრობას ბანკების სახით არ სჭირდება შუამავალი, შემცირებულია ტრანზაქციების დანახარჯები და ა. შ.

დღეს საერთაშორისო ბიზნესში სამი კრიპტოვალუტა ოპერირებს: ბიტკოინი, ეთერიუმი და ლაიტკოინი, რომლებსაც სხვადასხვა ონლაინპლატფორმაზე ყიდიან.

ბლოკჩეინის ტექნოლოგიას თავისი სამართლებრივი საკანონმდებლო რეგულაციები გააჩნია. ევროპაში, კერძოდ, მადრიდში, ლონდონსა და სინგაპურში ასევე, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილია ბლოკჩეინის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო, რომლის საბჭოს წევრად საქართველოდან იურისტი **ლევან ბოძაშვილი** აირჩიეს.

„საერთო გაზეთი“ მასთან ექსკლუზიურ ინტერვიუს გთავაზობთ.

- ბატონო ლევან, პირველ რიგში, გილოცავთ პირველი საერთაშორისო ბლოკჩეინ არბიტრაჟის დირექტორთა საბჭოს წევრად არჩევას. გვითხარით, უფრო კონკრეტულად, რას ნიშნავს ბლოკჩეინ საარბიტრაჟო სასამართლო და რა ფუნქცია აქვს მას?

- არბიტრაჟის ფუნქცია ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული დავების სწრაფი და კვალიფიციური გადაწყვეტაა. ეს არის კრიპტოვალუტა, ბლოკჩეინზე დამყარებული სერვისები, ზიანის ანაზღაურება და უფლებების დაცვა. მედიაცია ვებსივრცეში - ეს არის ასობით მილიარდიანი ახალი ბაზარი, სადაც მომხმარებელთა ინტერესების დაცვა საკმაოდ რთულია და ემყარება ამ სფეროში მოქმედი კომპანიების კეთილ ნებას. რაც მომხმარებელს მაღალი რისკის ქვეშ აყენებს. აღნიშნული და სხვა მიზეზების გამო არბიტრაჟის მნიშვნელოვანი ფუნქციაა, ასევე, **ალგორითმული შესაბამისობის დადგენა და აუდიტი**. ევროკავშირის უახლესი კანონმდებლობით, ყველა ალგორითმი უნდა უნდა შემოწმდეს რისკიანობის კოეფიციენტსა და სტანდარტზე, სხვაგვარად ის ვერ აამოქმედებს მას და კომპანიას დაეკისრება ფინასური სანქციები, მათ შორის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც.

- რამ განაპირობა ბლოკჩეინებთან დაკავშირებული დავებისათვის ცალკე საარბიტრაჟო სასამართლოს შექმნა, როდესაც არაერთი საერთაშორისო სასამართლო მექანიზმი არსებობს?

- ტრადიციული სასამართლოს დავები, ხშირ შემთხვევაში, წლობით იწელება. ამის მიზეზი, ზოგადად, არა მარტო სასამართლოს გადატვირთულობაა, არამედ ის ფაქტიც, რომ იურისპრუდენციის სფერო ჯერ კიდევ კარგად არ იცნობს ბლოკჩეინისა და ხელოვნური ინეტელექტის ტექნოლოგიებს, ხოლო სასამართლო სისტემა ჯერ კიდევ შორს არის როგორც ტექნოლოგიური, ასევე საპროცესო რეგულაციებისაგან. კონკრეტულ სასამართლოს დავაზე მხარეებიც და სასამართლოც იძულებული არიან, ცალკე მესამე აქტორს ექსპერტიზისათვის მიმართონ, რაც მეტ დროსა და ხარჯებს მოითხოვს. არბიტრაჟში ეს ყველაფერი ერთად არის თავმოყრილი, გაცილებით იაფი ჯდება და საქმის გადაწყვეტას სჭირდება არაუმეტეს ორი კვირისა.

- წარმოიდგინეთ, რომ კრიპტობირჟიდან მომხმარებელმა დაკარგა თანხები და ბირჟა არ უბრუნებს, ან გაუყინა სხვა აქტივები. ასეთი ტიპის დავების გადაწყვეტას თვეები შეიძლება დასჭირდეს, მომხმარებელმა კი დაკარგოს დიდი მოგება. ასეთ პირობებში თავად კომპანიებიც არიან დაინტერესებული, რომ მომხმარებელს შეუქმნან ნეიტრალური აუდიტის, დაცვის მექანიზმი, რათა მან სანდოობის რისკი გადალახოს. ამავე დროს, ინდივიდუალური დავების

გადაწყვეტა სპეციალურად შემუშავებული ტექნოლოგიით ხდება, რაც ტრადიციულ სასამართლოში ვერ მოხდება. შესაბამისად, ასეთი არბიტრაჟები არის ტექნოლოგიური მართლმსაჯულების ახალი ფორმა და ახალი მომავალი.

რა ტიპის რეგულაციებს გვთავაზობს აღნიშნული საარბიტრაჟო სასამართლო, რა შინაარსის მატარებელი იქნება მისი სანქციები და რა გავლენას იქონიებს ჩვენზე?

- არბიტრაჟის გადაწყვეტილება სავალდებულოა, აღუსრულებლობა კი დასჯადი. მის იურისდიქციას აღიარებს ყველა მონაწილე, ან მომმართავი მხარე. არბიტრაჟი მოქმედებს ევროკავშირსა და აშშ-ის იურისდიქციის სივრცეში, ხოლო თებერვლიდან MENA რეგიონშიც, რადგან არაბეთის გაერთიანებულმა საემიროებმა უკვე შეიმუშავეს შესაბამისი რეგულაციებიც. გავლენა ექნება საკმაოდ პოზიტიური და, პირველ რიგში, ის, რომ ადამიანებს დაეხმარება ტექნოლოგიებთან დაკავშირებული უნდობლობის გადალახვაში. მაგალითად, დღეს ადამიანთა უმეტესობა არჩევს, ანაბარი შეიტანოს ბანკში წლიურ 3% -ად და არ შეიტანოს კრიპტოფონდში, სადაც 10 -12 % დანამატს მიიღებს წლიურად. ეს იმით არის განპირობებული, რომ ადამიანს თანხის დაკარგვის შიში აქვს. რადგან, ბანკებისაგან განსხვავებით, ტექნოლოგიური სფერო, ძირითადად, ონლაინრეჟიმშია და, მაგალითად, საბურთალოზე ვერავის მიადგები ფილიალში. ბანკი ადამიანს მიაჩნია დაცულად, მართალია, ეს მცდარი მოსაზრებაა, მაგრამ მაინც. ტექნოლოგიების შემთხვევაში, აღნიშნული საარბიტრაჟო სასამართლო დაცვის კარგი მექანიზმია.

- და ბოლოს, რას ურჩევდით კრიპტოვალუტის ბიზნესით დაკავებულ ადამიანებს, რას უნდა მიაქციონ ყურადღება?

- ვფიქრობ, რომ ტექნოლოგიების სწავლება სავალდებულო უნდა გახდეს საქართველოს სკოლებში. მსოფლიო იმდენად შეიცვალა, რომ ტექნოლოგიების სწავლება აღარ უნდა იყოს ფუფუნება. ზოგადად, მომხმარებელმა ამ მიმართულებით ყურადღება უნდა მიაქციოს, რათა მეტი ინფორმაცია მიიღოს, შეისწავლოს და გააანალიზოს.

ლევან ჯიღლაძე

ქეთევან ჭაბუკიანი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა

არიან ადამიანები ,რომლებიც მთელ ცხოვრებას პროფესიას უძღვნიან და არასოდეს ნანობენ ამას. მათ რიცხვს მიეკუთვნება ოთხმოცდაათი წლის ქალბატონი ქეთევან ჭაბუკიანი, რომელიც ადვოკატის პროფესიას სამოცი წლის განმავლობაში ემსახურა.

2024 წლის 25 იანვარს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით, ქეთევან ჭაბუკიანს საზეიმო ვითარებაში გადასცა ღირსების ორდენი

ქალბატონმა ქეთევანმა ადვოკატთა ასოციაციის წევრებსა და შეკრებილ საზოგადოებას დაფასებისთვის მადლობა გადაუხადა და ჯანმრთელობა უსურვა.

„ღმერთმა ასი წლის შემდეგაც ისეთივე ნათელი გონება მოგცეთ, როგორიც ახლა მე მაქვს. მიუხედავად ასაკისა, მეხსიერებასაც არ ვუჩივი“, - უთხრა შეკრებილებს ქალბატონმა ქეთევანმა

აღიარებული ფაქტია, რომ ადამიანებთან ურთიერთობა ყველაზე დიდი ხელოვნებაა. ამ მხრივ პროფესიათა შორის ადვოკატის საქმიანობა გამორჩეულია.

ქალბატონმა ქეთევან ჭაბუკიანმა დაჯილდოების ცერემონიის დროს აღნიშნა, ცხოვრებას ახლა რომ ვიწყებდე, ისევ ადვოკატის პროფესიას ავირჩევდიო.

ენა ერის სულის სარკეა

დღეს უკვე მწერლობაში ე. წ. **„ნონფიქშენის“** სახელით ფეხმოკიდებული ესეისტურ-მემუარული სტილი, საზოგადოებრივ ჟღერადობას იძენს. მას ყოველთვის მიმართავდა ქართული მწერლობა, **რაფიელ დანიბეგაშვილიდან და გრიგოლ ორბელიანიდან** მოყოლებული. „ნონფიქშენის“ ძირები იძებნება **პლატონის** დიალოგებსა და ჯუმბერ თითმერიას ლიტერატურულ საუბრებში. ამ სტილისტილკას **მისდევს გური ოტობაიას** მონუმენტური ხუთწიგნეული **„შეუთავსებელთა შეთავსებაც“**. ახალი რუბრიკის პირველი ავტორების, ბატონების — დავით შემოქმედელისა და გიორგი გოგოლაშვილის ერთობლივი წიგნი „ეპოქა და მწერალი“ არ გახლავთ რიგითი იწილო-ბიწილო ინტერვიუ, არამედ იგი ორი დაუნჯებული პიროვნების სიღრმისეული სჯა-ბაასია ჩვენი ყოფიერების საჭირბოროტო საკითხებზე. დაბოლოს, ფეხბედიერი ყოფილიყოს ჩვენს პერიოდიკაში ამ ორი მაღალბუნებოვანი ესთეტის ტანდემური მარათონული სტუმრიანობა.

თამარ ბერძენიშვილი



დასაწყისი იხ. „სგ“ N2,

— გეთანხმებით. ჩვენ ერთად გვივლია თელ-ავივისა თუ იერუსალიმის ქუჩებში; თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ქალაქებში... და, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში „მისაბაძად“ ყველა გამოდგება... ახლა კი, დავით, თავში დასმულ შეკითხვას რომ დავუბრუნდეთ, ენის სიწმინდის დაცვაში „მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყვესო“... ვთქვათ ორიოდე სიტყვა ამაზეც... გახსოვთ, ამას წინათ მწერალთა სახლში რუსთაველის საზოგადოების ინიციატივით შეკრება რომ ჩავატარეთ, იქაც დავიჩივლე და მერე წერილიც დავბეჭდე — „სად არიან მწერლები, მწერლები სად არიან?“... მაშინ სწორედ მიხეილ ჯავახიშვილის ზემომოყვანილ მოწოდებას ვგულისხმობდი...

— თქვენი წერილი ძალზე დროული იყო. ვფიქრობ, ამ საკითხზე საუბრები კვლავაც უნდა გაგრძელდეს. ეს თემა ჩემთვის, როგორც მწერლისთვის, მეტად მგრძნობიარეა. ენა ერის სულის სარკეა; მწერალი ენაში სახლობს; ენა მწერლის სამოსახლოა! რატომ მოხდა, რომ ქართული სახელმწიფო ენის დაცვის მნიშვნელოვან საკითხს ქართველმა მწერალმა გვერდი აუარა და დუმს? — ვფიქრობ, ამას განაპირობებს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები. დავიწყოთ პირველით. პრობლემა რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, ცოტა შორიდან უნდა წამოვიდეთ: როგორი იყო მწერლის როლი ადრე და როგორი არის დღეს?

მაშინ შემოქმედს უპირველესად „ერის წყლული აჩნდა თავის წყლულად“ (ილია ჭავჭავაძე), ანუ მუზის მსახურებასთან ერთად საზოგადო მოღვაწეც უნდა ყოფილიყო... დრო შეიცვალა. გლობალიზაციისა და მასკულტურის შემოტევასთან ერთად საზოგადო მოღვაწის ცნება, ხატი, ადგილი გაქრა... არადა არასდროს ისე საჭირო არ ყოფილა, როგორც დღეს... ერისკაცთა ადგილი სამოქალაქო სექტორმა, ე. წ. „ენჯეოშნიკებმა“, დაუღვინებელმა, ცხოვრებაგამოუცდელმა გოგო-ბიჭებმა დაიკავეს (ოღონდ შეცვლილი ამოცანებით — მათთვის მთავარია ეროვნულის, ტრადიციულის ნაცვლად ფსევდოლიბერალური ფასეულობების დამკვიდრება!). დაუღვინებელმა გოგო-ბიჭებმაო, ვამბობთ, მაგრამ საპირწონედ ძნელია ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერების მქონე მოღვაწეთა ძალის შექმნა (ვინც ენობრივ პოლიტიკას პრიორიტეტად მიიჩნევს), რადგან პოლიტანგაჟირებულ ახალგაზრდა აქტივისტთა მომძლავრებას, რიგ შემთხვევებში, ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის გავლენიანი და ფინანსური მძლავრი საერთაშორისო ორგანიზაციები, არ არის გამორიცხული უცხოური სპეცსამსახურები, ქართული ოპოზიციური და სახელისუფლებო სპექტრი. ორ ათეულ წელზე მეტია ისინი პოლიტიკოსებთან ერთად ქვეყანაში საკუთარი აზრის დიქტატურას ამკვიდრებენ. სწორედ მათი ძალისხმევით, ტელე და ბეჭდური მედიის მათ გვერდით დგომით მეცნიერიდა მწერალი დამცრობილი და გაყვანილი იქნა სააზროვნო სივრციდან, რათა მისი ხმა ფართო აუდიტორიასთან, ასი ათასებთან არ მისულიყო. ვფიქრობ, ესაა ობიექტური მიზეზი იმისა, რომ მწერალი მოეშვა, ხელი ჩაიქნია და ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი, როგორიც ქართული ენის სიწმინდის დაცვაა, სახელმწიფოსა და ენათმეცნიერებს შეატოვა ხელში...

— დავით, ჩაგეკითხებით: არასამთავრობოები, ე.წ. „ენჯეოები“, ახსენეთ, როგორც ჩანს მათ მიმართ თქვენი დამოკიდებულება უარყოფითია. სწორად გაგიგეთ?

— არა, ბატონო გიორგი; მიუხედავად იმისა, რაც ვთქვი, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არა. ახალგაზრდობა მუდამ პროგრესთან და წინსვლასთან ასოცირდება, ასე რომ არ იყოს, სამყარო არსებობას შეწყვეტდა. ცნობილი გამოთქმა რომ გავიხსენოთ, მამულს, რა თქმა უნდა, ყოველთვის ურჩევნია, რომ შვილი მამას სჯობდეს. თუმცა ისტორიამ იცის გამონაკლისები, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის ბრძოლა „მამების“ წინააღმდეგ და საუკუნის ბოლოს, ასე ვთქვათ, „შვილების“ (ახალი თაობის) დაპირისპირება ილიასთან... ილია ორივესთან მართალი იყო. საქართველოში არასამთავრობოებს სამი ძირითადიამოცანა აქვთ: 1. რუსულ იმპერიალისტურ პოლიტიკასა და მის გამტარებლებთან ბრძოლა. 2. ევროპული, დასავლური ფასეულობების დამკვიდრება. 3. ადამიანის უფლებების დაცვისათვის აქტიური საქმიანობა..

— დავით, აქ ვერ შევწყვეტთ საუბარს; იქნებ უფრო ვრცლად ისაუბროთ თითოეულ მათგანზე.

— მეც იმავე თანამიმდევრობით ვუპასუხებ. 1. ის, რომ ძველი თაობის რეტროგრადულ ნაწილში დარჩენილია რუსეთის იმპერიისადმი (ძირითადად საბჭოთა კავშირისადმი) ნოსტალგია, ეს ფაქტია, რამაც შეიძლება ახალგაზრდობის რაღაც ნაწილში ჰპოვოს გაგრძელება და სიმპათია დაბადოს. არასამთავროებს ამ ცნობიერების წინააღმდეგ აქტიურ ქმედებებში სრულ თანადგომას ვუცხადებ. ეს აუცილებელი ნაბიჯებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისაკენ გადადგმული. რადგან რუსი დამპყრობლის მიმართ ლოიალობა ჯერ საკუთარ თავში უნდა დაამარცხო. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ეს ბრძოლა არ უნდა გავრცელდეს რუსული კულტურის წინააღმდეგ, რადგან კულტურა ისეთი რამ არის, მასთან დაპირისპირებაში ყოველთვის დამარცხდები. 2. ჩვენ კუნძულზე არ ვცხოვრობთ, აუცილებელია მსოფლიოს სხვა კულტურებთან, რელიგიებთან თანაცხოვრება, ჭეშმარიტი ევროპული და არაქუჩური ფასელობების მიმღებლობა, გაზიარება. ამასთან არ უნდა მოხდეს ევროპის გაფეტიშება, რასაც ავტომატურად მოსდევს საკუთარი კულტურისადმი ირონიული დამოკიდებულება, ნიჰილიზმი. ეროვნული ეთნოფსიქოლოგია ისეთი ფაქიზი რამ არის, რომ მასში უხეში ქირურგიული ჩარევა მკვეთრ უკურეაქციას, აგრესიულ ნაციონალიზმს წარმოშობს. 3. სამყაროს მთავარი ფასეულობა ადამიანია. ამიტომ ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლა ბუნებრივია ჰუმანური აქტია. მაგრამ ამ შემთხვევაშიც უკიდურესობაში არ უნდა ჩავვარდეთ. არსებობს ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, სადაც არაფერია ნათქვამი მოვალეობაზე, არადა ადამიანს მოვალებისაგან ვერ გავათავისუფლებთ. მოვალეობა, სამშობლოს, მშობლების, წინაპრების ეროვნული ინტერესების წინაშე. ჩემი დამოკიდებულება ე.წ. ენჯეოშნიკების, სამოქალაქოაქტივისტების მიმართ ამბივალენტური, არაერთმნიშვნელოვანია, არის თემები, სადაც სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ, არის რიგი საკითხებისა, რაც ჩემთვის პრინციპულად მიუღებელია.

— დავუბრუნდეთ ისევ ზემოშეწყვეტილ საუბარს. შეიძლება მთლად ვერ დგეთანხმოთ, დავით; ამბობთ: „მაშინ შემოქმედს უპირველესად ერის წყლული მიაჩნდა თავის წყლულადო“; ვინ განუსაზღვრა მწერალს ეს? ხომ თავად იტვირთა ამგვარი მისია შემოქმედმა?... ან კიდევ, „მწერალი გაყვანილი იქნა სააზროვნო სივრციდანო“... თუ მწერალი მოინდომებდა ამ სივრცის ბატონპატრონობას, შეძლებდა „ის ძალა“ მის გაყვანას „სააზროვნო სივრციდან?“... როგორ ფიქრობთ, მიხეილ ჯავახიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია დათმობდნენ ამ სივრცეს? მეეჭვება...

— გეთანხმებით, ჩვენი კლასიკოსები განსაკუთრებულად იაქტიურებდნენ, მაგრამ, თუ ტელევიზიები მათ არ გაიკარებდნენ, მათი ხმა ასი ათასებთან ვერ მიაღწევდა, ისინიც ჩაიკარგებოდნენ საერთო ქაოსში. ამიტომ ვფიქრობ, რომ სწორედაც შეძლებდა „ის ძალა“ ამას. თვალშისაცემია, რომ ხელშეწყობის ნაცვლად ქართული ტელევიზიები ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ეროვნულად მოაზროვნე თანამედროვედიდი მწერლის, მეცნიერისა და ხელოვანის ხმა დაუმალონ საქართველოს. გახსოვთ, რამდენი საჭირბოროტო ღონისძიება ჩავატარეთ რუსთაველის საზოგადოებაში ენის, კულტურის, განათლებისა თუ სხვა საკითხებზე, მოვიწვიეთ კულტურის, მეცნიერებისა და მწერლობის გამოჩენილი მოღვაწენი და, მიუხედავად ჩვენი არაერთი მცდელობისა, ზედმეტად პოლიტანგაჟირებული ქართული სატელევიზიო სივრცე ვერ გავარღვიეთ.

სასურველი შედეგის მიღწევაც, შეიძლება ვთქვათ, ვერ შევძელით. ერთსაც დავამატებ: ცალკე თემაა ქართული მწერლობის ნეოლიბერალური, უფრო სწორად, ფსევდოლიბერალური, ფრთა, რომელსაც, მართალია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მეტად მიუწვდება ხელი, მაგრამ მათ ეროვნულის მიმართ უმთავრესად ნიჰილისტური დამოკიდებულება აქვთ და არც ენობრივი სიწმინდის პრობლემებზე ფიქრით დაიღლიან გონებას...

— დავით, სუბიექტურ მიზეზად რას მიიჩნევთ?

— მოგეხსენებათ, განვითარებული სახელმწიფოების შემოქმედნი, მწერლები თავიანთი ქვეყნების მნიშვნელოვან საკითხებს გვერდს უვლიან და მხოლოდ წმინდა შემოქმედებითი პროცესებით არიან დაკავებული; მათი მიბაძვით ქართული სიტყვის მსახურებმაც ჩათვალეს, რომ თავადაც უცხოელ მწერალთა დარად უნდა მოიქცნენ... ეს აზრი საფუძველშივე მცდარია: თუ დიდი, დალაგებული და გალაღებული ქვეყნის მესიტყვეს აქვს ფუფუნების უფლება, რომ მხოლოდ წმინდა შემოქმედებით ტკბობას მიეცეს, ქართველ მწერალს საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვის მორალური უფლება არ აქვს: მისი ქვეყნის თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია საფრთხე ყოფნაარყოფნისა და ხვალ, შესაძლოა, მის სამშობლოში მშობლიურ ენაზე მოლაპარეკეც აღარ დარჩეს, რომ მისი წიგნი წაიკითხოს... ესეც ხომ ფაქტია, რომ თანამედროვე ქართველი მწერლის წიგნის ტირაჟი კატასტროფულად მცირეა, 100-დან მაქსიმუმ 300-მდე (თბილისის ერთი საცხოვრებელი კორპუსის მცხოვრებთა რაოდენობაზე ნაკლებია)... სიტყვის ოსტატმა, ვფიქრობ, ბეჭდური პუბლიკაციების

გარდა, ყველა საშუალება უნდა გამოიყენოს, რომ საზოგადოებას ენობრივ პრობლემებზე ესაუბროს, თუნდაც სოციალური ქსელის საშუალებით დისკუსია გამართოს და სხვა. ქართველი მწერალი მუდმივად მშობლიური ენის სიწმინდის სადარაჯოზე უნდა იდგეს, ენისა, რომელსაც ერთმა დიდმა წინაპარმა (იაკობ გოგებაშვილი) „ბურჯი ეროვნებისა“, ხოლო მეორემ (კონსტანტინე გამსახურდია) „ერის თავდაცვის იარაღი“ უწოდა. ენა ნაწარმოების სულია. რა ეპოქაზეც წერს, სასურველია იმ ეპოქის ენა გამოიყენოს მწერალმა, რადგან ყველა ეპოქას თავის ლექსიკა აქვს. ისტორიულ მხატვრულ ტექსტზე მუშაობისას მწერლისთვის არქაული ფორმების გამოყენება დასაშვებია. თუ პროზაული ნაწარმოები თანამედროვე თემას ეხება, ამ დროს პერსონაჟთა საუბრისას ზომიერი ჟარგონის გამოყენება შესაძლებელია. სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს სამეტყველოენაც განსხვავებული აქვთ. ავიღოთ ასეთი მაგალითი: ქვეყნის გასაჭირზე ექიმი და არქიტექტორი განსხვავებულად იმეტყველებს: ექიმი იტყვის, ქვეყანა რეანიმაციულ მდგომარეობაში არისო. არქიტექტორი კი დასძენს: ქვეყნის ფასადი უშნო და უსახური გახდაო. ასე რომ, ნაწარმოების ენობრივ სახეზე თემა, პერსონაჟები უმეტესწილად გავლენას ახდენენ. ზოგჯერ არ დაგიჯერებს პერსონაჟი და მის ჭკუაზე უნდა იარო, მისი კარნახით ისაუბრო... ამიტომ მეც დავდივარ, დავყვები კიდევაც მათ ნებას, მათ არჩევანს...

— „პოეტი ენობრივი სამოსით იცნობაო“, კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები მოიშველიეთ; შეგიძლიათ გვითხრათ, რა არის თქვენთვის ეს „ენობრივი სამოსი?“ შეიძლება ითქვას, რომ პოეტის ენობრივი სამოსი სწორედ პოეზიაა?

— ენობრივი სამოსი ის ენობრივი ქსოვილია, რომლითაც შემოქმედი თავის სათქმელს ამბობს; ან ენის წიაღიდან იღებს სიტყვას ან თავად ქმნის მას ენაში არსებული მოდელის მიხედვით ინტუიტიურად ან მრავალგზისი ძიების შედეგად. ამ შემოქმედებითი ძიების პროცესზე არაერთი ჩანაწერი შემოუნახავს გალაკტიონის დღიურებს. ენობრივი სამოსით პოეტური შეიძლება პროზაც იყოს და პოეზიაც, პოეზია, რომლის ზუსტი განმარტებაც არ არსებობს. გეორგ თრაქლი წერდა: „პოეზია არასრულყოფილი მონანიებაააო“, უოდსვორთი:„სიმშვიდეში დაბრუნებული ემოციებიაო“. პოპი, რომელმაც ერთი ლექსის 99 ვარიანტი შექმნა — „პოეზია გაგიჟებული პროზაააო“. იქნებ სიმართლესთან ყველაზე ახლო ვაჟა ფშაველაა, „მემღერება და ვმღერიო“, რომ ამბობს...

რუსთაველი გვმოძღვრავდა: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო საღმრთოდ გასაგონი“. მართლაც რომ ასეა, „პირველადვე“ ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ძველი პოეტური ნაწამოები თარიღდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 23 საუკუნით. ეს არის შუმერულ ენაზე დაწერილი აქადის პრინცესას და უმაღლესი ქურუმის ენხედუანას (მეცნიერები ძველი აღმოსავლეთის შექსპირს ეძახიან) მიერ შექმნილი ლექსები — ჰიმნები, რომლებსაც საღმრთო დანიშნულებაჰქონდა.

— „სიტყვის“ თემით მინდა განვაგრძოთ საუბარი, დავით: თქვენს პოეზიაში ძალიან ხშირად ფიგურირებს „სიტყვა“... რა არის თქვენთვის „სიტყვა?“

— თქვენი შეკითხვის შემდეგ დავაკვირდი, სწორად შეგიმჩნევიათ. ჩემს პოეზიაში, მართლაც, საკმაოდ ხშირად ფიგურირებს „სიტყვა“. წიგნებსაც გადავავლე თვალი და „აღმოვაჩინე“, სიტყვაზე თუ სიტყვის არსისადმი მიძღვნილი ლექსების რაოდენობა იმდენია, ერთი პატარა წიგნაკიც შეიძლება გამოიცეს... ეს დამოკიდებულება ჩემი წიგნების სათაურებშიც ასახულა... ჩემს რიგით მეორე ერთტომეულს ჰქვია „სიტყვებს მიღმა“, ხოლო ჩემი ბოლო, მეოთხე, ერთტომეულის სახელწოდებაა „სიტყვებსა და საგნებს შორის“. მწერლისათვის სიტყვები აგურებია, რომლითაც ის თავისი სულის შენობას, ნაწარმოებს აგებს. მწერლის ნიჭსა და უტყუარ ალღოზეა

დამოკიდებული, სიტყვათა ოქროს მარაგიდან მოიძიოს, იუველირის სიზუსტით აწონოს სიტყვები, გაზომოს, აარჩიოს და ისე ააგოს თავისი სულის სახლი, რომელიც ან საუკუნეებს გაუძლებს, ან მეორე დღეს ხუხულასავით დაიშლება. კონსტანტინე გამსახურდია გავიხსენოთ: „დღედაღამ ებრძვის პოეტი სიტყვების მასას, როგორც მოქანდაკე მარმარის ლოდებს“. ერთადერთი და საჭირო სიტყვის შერჩევა მწერლისათვის იგივეა, რაც ფერთა შერჩევა მხატვრისათვის, ტონი — კომპოზიტორისათვის. ფრაზაში სიტყვა ისევე ცოცხლდება, როგორც მუსიკალური ბგერა მელოდიაში. ერთგვარ მწერლურ შეგონებად დღემდე მომყვება ფლობერის სიტყვები: „რის თქმაც უნდა გინდოდეს, მხოლოდ ერთი სიტყვა არსებობს მის გამოსახატავად, მხოლოდ ერთი ზმნა — მის გასაცოცხლებლად და ერთი ზედსართავი მის დასახასიათებლად“. ფიქრით, ძიებითა და ტანჯვით მისასვლელია იმ ერთ სიტყვამდე. ვისაც ერთადერთი და საჭირო სიტყვის ძებნაში თავზე დასთენებია, უპოვია და ქუჩაში ბედნიერს უვლია, ის გაიგებს ჩემსას. არა მარტო ვიბადები სიტყვაში, ვცხოვრობ სიტყვაში, ვკვდები სიტყვაში, ზოგჯერ ასე მგონია, რომ მეც სიტყვა ვარ. ერთ ლექსში ვამბობ კიდეც: „მეც სიტყვა ვარ დიდ დაფაზე, როგორ მშლიდნენ ხელაღებით“. სიტყვა ჩემთვის უფალია, სამყაროა თავისი ანითა და ჰოეთი, ზოგჯერ ნიშანთა სისტემაა, რითაც გარემომცველ საგნებს ვიმეცნებ, ვასულიერებ. აქვე დავძენ, რომ ფრანგი ფილოსოფოსი, შემეცნებათა სისტემების სპეციალისტი მიშელ ფუკო ნიშნებსა და სიტყვებს ერთმანეთისაგან არ ასხვავებდა. უპირველესად, სიტყვა ჩემთვის ჩემი ტკბილი დედაენაა, დედის ლოცვა და მამის ჩუმი ღიღინია. სიტყვა ისაა, რითაც პლანეტის შემზარავ, ნერვიულ ხმას ვუსმენ და რომლითაც მინდა, ჩემი სუსტი ხმა სამყაროს მივაწვდინო.

— დავაზუსტოთ, სიტყვა პოეტურ ტექსტში უფრო სხვაგვარად ჟღერს, ხომ? მუხრან მაჭავარიანი წერს: „ლექსში მოქცეული სიტყვა უფრო მძაფრია, ვიდრე იგივე სიტყვა ცხოვრებაში!..“

— აგაშენა ღმერთმა!.. ჰო, ამაზე ვსაუბრობდი: კონოტაციური ველი ფართოვდება. თვალსაჩინოებისათვის ერთ მცირე ამონარიდს მოვიყვან ლადო ასათიანის ცნობილი ლექსიდან „მანანა ორბელიანის სურათზე“. „შენ, შაოსანო შავთვალავ, შავ სამარეში გძინავს, ჯერ კარგად არც კი გამთბარა ჩემი პატარა ცირა“. სიტყვა „გამთბარაში“ იგულისხმება: 1. ჯერ ბოლომდე არ შემიგრძნია შვილის სიყვარული. 2. ჯერ კიდევ არ გამიცნობიერებია ბოლომდე, რომ მამა ვარ, არ შემიცვნია შვილი. 3. ჩემი შვილი ჯერ პატარაა, არ გაზრდილა. არც ერთ პასუხში სიტყვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა „სითბო“ არ იგულისხმება. კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან, თქვენ წარმოიდგინეთ და ახლა უკვე პროზიდან. გურამ დოჩანაშვილს მოუყოლია ჩემთვის — „ღვთისმშობელი ისეთი ლამაზი იყო, როგორც“ და გავიჭედეო! როგორც... როგორც... ორი კვირა ვფიქრობდი და მერე მივხვდიო! — როგორც თვითონ!!! რადგან შეკითხვა ჩემდამი არის დასმული, ამანაც მაფიქრებინა, თუ უხერხული არ იქნება, საამრიგო მაგალითს ჩემი შემოქმედებიდანაც მოვიყვან. მწერალი და კრიტიკოსი მურმან ჯგუბურია წერილში, რომელიც ჩემი ლექსების წიგნშია დაბეჭდილი („ხსოვნის ანაბეჭდები“, 492-493 გვ., ერთტომეული, 2013 წ.) — „პოეტი, ანუ ურჩი გადამხდელი“ — ჩემსერთ ლექსზე დაკვირვებისას საგულისხმო აზრს გვიზიარებს: „რატომ იცინის ნუში სულელი, რამ წამოჩიტა ასე ადრიან“. „სულელიო, ამბობს პოეტი და იკითხება — ძვირფასი, საყვარელი... ერთს ამბობს, მეორე იგულისხმება, რაც ნამდვილ პოეზიასთან გვაახლოებს“. ასე რომ, პოეტურ ტექსტში სიტყვა ზოგჯერ სხვაგვარად ჟღერს, ვიდრე — არაპოეტურში...

— რეზო ინანიშვილი წერს: „ვიღაც თუ რაღაც მკარნახობს წერის დროს. როცა არ მკარნახობს, ვიტანჯები, თავის მოკვლა მინდა, ისეთ სიცარიელეს ვგრძნობ. დღეს, 25 აგვისტოს, სულ რომ არ ვფიქრობდი ასეთი რამის დაწერას,უცებ მეკარნახა მოთხრობა „სულ ოდნავ მარჯვნივ“ („წრე“), ჩავიწერე იგი საათნახევარში.“ რა კომენტარს გააკეთებდითამის თაობაზე?

— ძალიან ნაცნობი განცდაა. პოეზიის წყარო შთაგონებაა. ბატონი რეზო პოეტი იყო, პოეტური პროზის წარმომადგენელი. შთაგონებასთან მიმართებით პროზაიკოსებთან ხშირად სხვაგვარადაა საქმე. გურამ გეგეშიძისაგან მომისმენია, ყოველ დილით განსაზღვრულ დროს ვიწყებ წერას და ისიც ვიცი, დაახლოებით, რამდენ საათს დავყოფ საწერ მაგიდასთანო. მსგავსი რამ წამიკითხავს თომას მანსა და ჰერმან ჰესეზე. დავუბრუნდეთ პოეზიას. ლექსი უმეტესად იწერება სპონტანურად, ზოგჯერ სრულიად უხერხულ მდგომარეობაში — ქუჩაში, ტრანსპორტში... უცბად შემოფრინდებიან სტრიქონები, სასწრაფოდ ვიღებ ბლოკნოტს. ზოგჯერ ჩაწერასაც ვერ ვასწრებ. ვფიქრობ, იყოს მაინც, ყოველი შემთხვევისათვის, ასე ნაუცბათევი ეს უმნიშვნელო ჩანაწერი, იქნებ გამოდგეს. გადის დრო, ჩავხედავ ჩანაწერს და მიკვირს, როგორ შევქმენი, რა ძალამ დამაწერინა. ზოგჯერ პირიქითაც ხდება: გადავწყვეტ, მოდი, დავწერო ლექსი; დავჯდები საწერ მაგიდასთან, შევარჩევ რაღაც თემას, ვეძებ პოეტურ სახეებს, რითმებს და ხანგრძლივი ფიქრისა და ჯაჰირის შემდეგ დავწერ ლექსს. ვფიქრობ, რა კარგი გამოვიდა, გახარებული ვარ. გამოხდება ხანი, დავხედავ ჩემს ნაწერს და — სრული იმედგაცრუება, შევრჩებით პირისპირ მე და სისულელე. სწორედ მაშინ მშველის ჩეხოვის სასარგებლო შეგონება: „მწერლობა წაშლის ხელოვნებაააო“. აქ ერთი ამბავი უნდა გავიხსენო. როცა გალაკტიონის ლექსებით აღფრთოვანებულმა მირზა გელოვანმა პოეტს უთხრა, მაგ ხელებმა დაწერეს „მე და ღამე“ და „ლურჯა ცხენებიო“ და ხელები დაუკოცნა, გალაკტიონმა უპასუხა: „ანგელოზები მკარნახობენ, ძამიკო, ანგელოზებიო“. ანგელოზებთან მიახლოება კი ადვილი როდია! ხელოვნების, მუზის, პოეზიის ღმერთები მკაცრნი არიან, შეიძლება ღალატისთვის საყვარელმა ქალმა, მეგობარმა დაგინდოს, მაგრამ, თუ აზროვნებას პრაქტიკული, ყოფითი საფიქრალით აიმღვრევ, პოეზიას ზურგს შეაქცევ და გონებას სხვა საქმიანობისაკენ მიმართავ, ამ დროს მუზა ღალატს არ გაპატიებს. თუმცა არსებობენ გამონაკლისნიც, ნაწილი პოეტებისა, წინასწარ რომ იციან თემაცა და ფორმაც. ერთი ასეთი დიდი სახელია ედგარ ალან პო; თავადვე ხსნის ერთგან, როგორ დაწერა „ყორანი“ წინასწარ შედგენილი სქემის მიხედვით.

— ერთ პასაჟს მოვიყვან შენი ლექსიდან;

„ვწერ: შევისახლე სხეულში სიტყვა,

ვწერ: შევრჩი ქალაქს მესიტყვე კაცი,

მე ვიღებ სიტყვებს სიტყვების ტყიდან,

მერე ყალბ სიტყვებს ლანცეტით ვაცლი“...

„სიტყვების ტყეში“ კიდევ როგორი სიტყვებია, გყავს საყვარელი სიტყვები, შეგძულებია რომელიმე სიტყვა, რატომ, და, პირიქით, შეგყვარებია? რატომ?

— ცნობილი ლექსის პერიფრაზი უნდა მოვიხმო: „სიტყვების ტყეში ხეტიალი ნუ მომიშალოს ღმერთმა!“ ვფიქრობ, თავისთავად, არც ერთი სიტყვა არ არის ყალბი. სიტყვა ყალბი რომ არ გახდეს, „სიტყვების ტყეში“, ანუ ტექსტში, ის ერთადერთ და მისთვის განკუთვნილ ადგილას უნდა იქნეს გამოყენებული. თუ ეს წესი ირღვევა, მიხდება მისი ფრაზიდან თუ სტრიქონიდან გამოყვანა. სიტყვებს აქვთ საკუთარი ფერი, გემო, სუნი და სხვა. სიტყვების აღქმა ამ მახასითებლების მიხედვით ძალზე სუბიექტურია, თუმცა რამდენად ზუსტია ეს აღქმა, ეს დამოკიდებულია მწერლის მხატვრულ გემოვნებაზე, სიტყვის ალღოს გრძნობაზე. სიტყვა შეიძლება მომწონდეს ბგერწერული თვალსაზრისით (როგორ ჟღერს) ან შინაარსის გამო. სიტყვებისადმი ჩემი სიყვარული დროთა განმავლობაში იცვლება. მახსოვს, ერთხელ ჩემი წიგნების რედაქტორმა მარინა ნონიკაშვილმა მიმანიშნა, რომ ლექსებში ზედმეტი დოზით მქონდა გამოყენებული სიტყვა „სტატისტი“. გადავხედე ჩემს ნაწერებს და დავრწმუნდი, მართლა ასე იყო. რამდენიმე ხანში უკვე, მოძულებას ვერ ვიტყვი, მაგრამ ნამდვილად მომყირჭდა ეს სიტყვა და მას შემდეგ ლექსისთვის აღარც გამიკარებია.

გაგრძელება იქნება

შეუთავსებელთა შეთავსება

საკრალური თემების რეტროსპექტივას უძღვება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ჟურნალ „კირბის“ (ოქროს საწმისი) მთავარი რედაქტორი, მწერალი გური ოტობაია. „შეუთავსებელთა შეთავსება“ მისი ესეისტური ხასიათის მონუმენტური ხუთტომეულის სახელწოდებაა. ნაწარმოების მიხედვით შეუთავსებელთა შემთავსებელი გახლავთ ცაბაოთ-ღმერთი, დიადი არქიტექტორი, რომლმაც ექვს დღე-ღამეში შექმნა ჩვენი გარემომცველი სამყარო, თავად ჩვენ, როგორც ორი ურთიერთგამომრიცხავი განზომილების, ზოგადად — სიკეთისა და ბოროტების პაექრობისა თუ თანაქმედების უდასასრულო საასპარეზო არენა. წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია მსოფლიო ოლიგარქიული მმართველობის მეშვეობით დედამიწის გადარჩენის მეტად ორიგინალური კონცეფცია, რომლის მოთავეა თავად პროტოიბერიული ზოგადკაცობრიული მეოხება, დღეს რომ განსაკუთრებით ქართულ სინამდვილეშია აკუმულირებული.

ტელ.: 571 21 27 70. ელ. ფოსტა: guriotobaia@ gmail.com

წერილი მეცხრე: დიადი არქიტექტორი

სამყარომ უფრო დიდი არქიტექტორი არ იცის, ვიდრე უფალთუფალი ჩვენი, ცაბაოთ-ღმერთი და, მიუხედავად მისი კოლოსალური შესაძლებლობისა, ქვეყნიერების შესაქმნელად მას ექვსი დღე-ღამის მუხლჩაუხრელი შრომა დასჭირდა. ეს ექვსი დღე-ღამე სულაც არ გახლავთ დედამიწისეული კალენდრის კვირაძალი, ექვსჯერ 24-საათიანი დროის მონაკვეთი, ვინაიდან აქ ბიბლიური დღის გასაღები იოანე-ზოსიმეს „ქებაიდან“ გვეუწყა ნათლად: **და წელი ათასი, ვითარცა ერთი დღეი**. გამოდის, რომ პლანეტარული დროით ღმერთს სამყარო 6000 წლის განმავლობაში შეუქმნია.

დიახ, ყველა დიდ საქმეს არქიტექტორის გენიალური გონება მოიაზრებს და განასრულებს შემდგომ.

მეგონა, ჩემს გულისხმიერ მკითხველთან **ოლიგარქის** განმარტება დამატებით არ დამჭირდებოდა. მით უფრო, როცა ამის თაობაზე ზემოთ გაკვრით გვითქვამს რამდენადმე. იძულებული ვარ, უფრო დავკონკრეტდე: **ოლიგარქია (ბერძ. ὀλιγαρχία; ὀλίγον „ოლიგონ“ ცოტა და ρχή „არქე“ — ძალაუფლება) — მმართველობის ფორმა, რომლის დროს ძალაუფლება უჭირავს ადამიანების ვიწრო, ელიტურ წრეს (ოლიგარქებს), რომლებიც ძალაუფლებას იყენებენ საკუთარი ინტერესების შესაბამისად. ოლიგარქია სიტყვასიტყვით მცირეთა მმათველობას ნიშნავს. მმართველობის ეს ფორმა საბერძნეთში საკმაოდ გავრცელებული იყო და გულისხმობდა, რომ რეალურ მმართველობას განახორციელებდა საზოგადების ელიტური, ანუ მცირე ნაწილი. მისი გამოყოფა ხდებოდა არისტოკრატიული პრინციპით (ანუ მმართველობას ასრულებდნენ დიდგვაროვნნი), ან ტიმოკრატიული პრინციპით (როდესაც მმართველობას ახორციელებდნენ ის პირები, რომლებიც თვიანთი რეალური მდგომარეობით (ქონებით) იყვნენ გამორჩეული საზოგადოებაში). ეს პოლიტიკური სისტემა საბერძნეთის არაერთ პოლისში მოქმედებდა. ტერმინი პირველად გამოიყენეს ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსებმა პლატონმა და არისტოტელემ.** (ინტერნეტ-საიტიდან)

ჩვენც იგივეს ვამბობთ: **დიახ, შეძლებული ხალხი — ხელისუფლებაში, მაგრამ არა იმისთვის, რომ თავიანთი ფინანსური მდგომარეობა გაიუმჯობესონ, არამედ იზრუნონ ზოგადკაცობრიულ პრობლემებზე,** რამეთუ დღეს ჩვენი პლანეტის ბედ-იღბალზეა დამოკიდებული ოლიგარქისა თუ პროლეტარის, ფულიანისა თუ უფულოს შემდგომი ბედი, ყოფნა-არყოფნა, არსებობა ზოგადად.

დიახ, ყველაზე დიადმა არქიტექტორმა — ღმერთმა დააპროექტა თავად **სამყარო** და ამ სამყაროში მისი მინიატურული მოდელი — **ადამიანი**. მას გარეგნულად გამოხატული აქვს მამრის (მასკულინუმ) ნიშან-თვისებები, აღნაგობა, ბალნიანობა, ხმის ტემბრი, ძალ-ღონე, სასქესო ორგანოების გარეთ განფენა, ამავდროულად, მასში ფარული ფორმით, რეცესიულადაა მოცემული მდედრის (ფემინინუმ) ელემენტები. და როცა ბუნებრივი თუ სხვა პროცესების შედეგად ინდივიდუუმებში ხდება თავდაპირველი საარსებო რესურსების გაფლანგვა, გაცვეთა, ცხადია, შესატყვისად იცვლება პიროვნების მახასიათებლებიც. იწყება ფორმათა რღვევა, ფასეულობათა აღრევა, რომელთაც განაპირობებენ, როგორც ეკოლოგიური, ისე სოციალური მომენტებიც. არის პერიოდი, როცა მოჭარბებულად გროვდებიან საზოგადოებაში გარდამავალი ფორმების ინდივიდები და ეს ტენდენცია საშიშ მასშტაბებსაც იძენს ხოლმე, როგორც დღევანდელ მსოფლიოშია. ასეთ ვითარებაში ჩვენ ხარი მარილის საჭმელად სხვენზე კი არ უნდა ავიყვანოთ, არამედ, პირიქით, მარილი უნდა ჩამოვიტანოთ დაბლა, ანუ შევქმნათ ისეთი გარემო პირობები, რომელიც ადამიანის ჯანსაღი ორგანიზმისთვის მავნე პირობების არსებობას ალაგმავს.

ჩვენეული მიდგომით, ქვეყნის მმართველს უნდა გააჩნდეს ორი ძირითადი ხელდასხმულობა: პირველი — **საკუთარი ფინანსური წყაროები,** რათა იგი არ იყოს დადარაჯებული ბიუჯეტს, როგორც მოგების წყაროს, და მეორეც, უნდა გააჩნდეს **სურვილი საზოგადოების წინსვლისა, ცხადია, ცოდნასთან ერთად**. აქ იმის საშიშროება, რომ ოლიგარქი მხოლოდ ოლიგარქიული კლანების ინტერესებს დაუწყებს ლობირებას, იმთავითვე უნდა გამოვრიცხოთ. ოლიგარქს, ანუ მდიდარ კაცს, პოლიტიკაში წარმოადგენდა თავის დროზე **ილია ჭავჭავაძე,** მაგრამ იგი აშკარა ხალხოსნური პოზიციის გამო ვერაფრით ელირსა უმაღლეს პიედესტალებს. ოლიგარქი, ანუ მდიდარი კაცი პოლიტიკაში იმ შემთხვევაში დაუდგება გვერდით ზოგადკაცობრიულ საქმეებს, როდესაც კაცობრიობას რეალურად დაუდგება ყოფნა-არყოფნის გარდუვალი წუთი.

ზიუსუდრამ (ნოე) წარღვნისგან რომ იხსნა ქვეყნიერება (შუამდინარეთი), რიგითი მოქალაქე კი არა, მდიდარი კაცი, რანგით მეფე გახლდათ, ანუ ხელდასხმული. ქურუმთა კლანი, ვიდრე ამა თუ იმ პიროვნების კორონაციას (დაგვირგვინება) მოახდენდნენ, მათ ხელთ არსებულ სამყაროს ყველა საიდუმლოში ზედმიწევნით გაარკვევდნენ ხოლმე.

ჩვენ გვისაუბრია ნოეს კიდობნის პარამეტრებზე და გაგვიცხადებია: კიდობნის ზომები **(144 X 24 X 14,4 = 49766, 4 : 13 = 38 28 1,8 46153)** იმგვარადაა გაანგარიშებული, რომ მისი მოცულობის მუდმივას 13-ზე გაყოფისას მივიღოთ დედამიწაზე მომხდარი კატასტროფის სურათი. მაგრამ აქ ჩვენთვის მთავარი თავად კიდობანია. იგი მონუმენტური აგებულების ჭურჭელი რომ არ ყოფილიყო, ვერაფრით დაიტევდა დედამიწაზე არსებული ფაუნის წმინდა და უწმინდურ არსებათა წყვილეულებს. ანუ, მარტივად თუ ვიტყვით, აქ ვერ გამოგვადგება ნავი, ოჩხომელურა, შხუნა და მისთანანი, არამედ, ზედმიწევნით საჭიროა ხომალდის ტიპის ჭურჭელი, რომელიც ზემოდანაც იხუფება და, ფაქტობრივად, ჰერმეტულ სხეულს წარმოადგენს.

იგივეს მოიმოქმედებენ გენიოსი შემოქმედნი, როცა სინამდვილის ასახვისას კალამს მოიმარჯვებენ ხოლმე ხელში — ჰომეროსი **(„ილიადა“)**, დანტე ალიგიერი **(„ღვთაებრივი კომედია“)**, შოთა რუსთაველი **(„ვეფხისტყაოსანი“)**, მიგელ სერვანტესი **(„დონ კიხოტი“)**, იოჰან ვოლფგანგ გოეთე **(„ფაუსტი“)**, ლევ ტოლსტოი **(„ომი და მშვიდობა“)**, ფიოდორ დოსტოევსკი **(„ძმები კარამაზოვები“)**, ჯეიმზ ჯოისი **(„ულისე“)**. გარკვეული ესთეტიკური პრეტენზიით ამ ჩამონათვალში მოიაზრება ფირდოუსის **„შაჰნამე“**, **ბიბლია,** კარლ მარქსის **„კაპიტალი“**. მართალია, მათ ახასიათებთ მონუმენტურობა, მაგრამ აკლიათ უმთავრესი — **ფაბულა, ერთხერხემლიანობა,** რომლის გარშემო ირაზმება ხოლმე ესა თუ ის შენობა.

განზომილების, სიდიადის მიხედვით ამ რანგშია განსახილველი დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი **იური გაგარინის** კოსმონავტობით;

მუხედავად მომუმენტალობისა, ამ ჩამონათვალში ვერაფრით ხვდებიან კონსტანტინე გამსახურდიას **„დავით აღმაშენებელი“**, ლევან გოთუას **„გმირთა ვარამი“,** გალაკტიონ ტაბიძის **„მშვიდობის წიგნი“;** დღემდე არსებული ვერც სხვა რომელიმე ქართული ბელეტრისტული ნიმუში; ბევრი ქართველი თანამოკალმის დარად ჩვენ თავდაუზოგავად ვცდილობთ მსგავსი წინმხვედრი ბარიერის გადალახვას, როგორც პოეზიასა, ისე პროზაში, თუმცა ეს ყველაფერი უფლისეული ნებაა უწინარესად, მიუკერძოებელი დროის პრეროგატივა.

ჰეგელი „ესთეტიკაში“ ხელოვნების უამრავ სახეს შორის ცხადლივ მიუთითებს პოეზიის უპირატესობაზე. გვითქვამს, მკვეთრად მიგვინიშნებია ისიც, რომ ეპოქალურ მიზანდასახულობებს მცირე ჟანრის ნაწარმოებები — ნოველა, მოთხრობა და ლექსი ვერ გასწევენ. დიდებული რუსთველისგან გვისწავლია: **„ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად. მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“** (17).

მცირე მოცულობის თხზულებების ლაშქარიც რომ დავრაზმოთ ამ მიმართებით, საწადელს მაინც ვერაფრით ვეწევით — ვინაიდან მათ შინაგანი ორგანიზაცია აკლიათ. ასიათასი აგური ვერ დაეტოლება ტაძარს. ასი ათასი ნაფოტი ვერ შეედრება ხომალდს, რადგანაც მათ სიმრავლეს არქიტექტორის ხელი, მონუმენტალობის იდეა აკლია.

გალაკტიონმა შექმნა მონუმენტური სტილის ერთადერთი ნაწარმოები — „მშვიდობის წიგნი“, 8648-სტრიქონიანი პოემა, მაგრამ რადგანაც მას არ გააჩნია









ფაბულა, ხატვის შინაგანი ორგანიზაცია, მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობის საარქივო მასალად დარჩა. თუმცა, „ილიადამ“ თავდაჯერებულად იკისრა ეს ფუნქცია და წარმატებულადაც შეასრულა კიდეც, როცა ელინურ წიაღში არსებული პროტოქართულ-პროტოარიული დაპირისპირება გადმოგვცა აქილევსის რისხვის ფონზე.

იგივეს მოიმოქმედებს ალიგიერი, როცა გარემომცველ სინამდვილეს ქრისტიანული თეოლოგიის სამგარსიან მოდელში — ჯოჯოხეთ-სალხინონობელ-სამოთხეში დურთავს და ამ თემშარიდან გადმოგვცემს იტალიის ეპოქალურ გრადაციებს;

რუსთაველსაც უცხო მოყმის იდუმალი გაელვება მიასწრაფებს არსებული გარემოს წარმოსაჩენად;

სერვანტესის დონ კიხოტი რაინდული რომანებით ტვინშერყეული იდალგოა, რომელმაც ცხვირი უნდა შეჰყოს ცხოვრების ყველა კუნჭულში, ყველა ტავერნაში, იმ ცხვირის ზომაზე მეტად მოსამტვრევად;

მგავსია გოეთეს გმირის, ფაუსტის ცხოვრებისეული ასავალ-დასავალი, როცა ღმერთსა და ეშმაკს შორის აუქციონია გაჩაღებული მისი სულის მოსახელთებლად.

მეტს არ გავაგრძელებთ, ვინაიდან ყველა მომუმენტურ თხზულებას ერთი დედააზრი ასულდგმულებს — სათქმელის შინაარსი განსაზღვრავს მისი გამოხატვის მონუმენტურ ფორმას.

ჩვენ არქიტექტორულ თემებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუქცევთ ჰენრი კისინჯერის **„მსოფლიო წესრიგს“,** რომელიც ოლიგარქიული მმართველობის ირიბი მომხრეა, მაგრამ ჩვენეული პლატფორმა ამ კუთხით აბსოლუტურად ცალსახაა: **ჩვენ ღიად, აშკარად მოვითხოვთ ოლიგარქიულ მმართველობას ნაწილისა და მთელის თანაქმედებისთვის, რათა მათი სახიარო საარსებო სივრცე — პლანეტა დედამიწა გადარჩეს.**

და რადგანაც ჩვენი პლანეტა კარგა ხანის შესულია ყოფნა-არყოფნის სტადიაში — მკვდარი მდინარეებისა და ზღვების, მკვდარი მიწების — უდაბნოებისა და ნახევარუდებნოების სახით, მყარად მივდივართ ერთ ურყევ გადაწყვეტილებამდე: **სახარება წავიკითხოთ მგლის თავზე, ანუ ოლიგარქიული პრაგმატიზმი და მათი კოლოსალური ფინანსური რესურსები მაქსიმალურად ჩავრთოთ დედამიწის ეკოლოგიურად გადარჩენის საქმეში.**

ყველაფრის გათვალისწინებით, ჩვენ არსებულ კაცობრიულ პრობლემას ვყოფთ ორ — ეკოლოგიურ და სოციალურ ნაწილებად.

პირველი პრობლემის მოგვარება დღევანდელ მსოფლიოში შეუძლებელია ოლიგარქიული მმართველობის გარეშე. ეს მმართველობა რეცესიულად (ფარული) ყოველთვის არსებობდა ჩვენს პლანეტაზე, ნაპოლეონ ბონაპარტეს დროსაც, ჰიტლერის მმართველობის პირობებშიც, ვინაიდან ეს ხელისუფალნი ადრეულ სტადიაში ოლიგარქების თითებს იყვნენ თოჯინებივით გამობმულები — ფიურერს ბუში-ბაბუა აფინანსებდა, ბაბუა-ბუშის ფულადი რესურსებით სპობდა შიკლგრუბერი მილიონობით ებრაელს, ბოშებს, ბავშვებსა და მოხუცებს სადამსჯელო საკონცენტრაციო ბანაკებში და წარმოიდგინეთ, თვით დამფინანსებლებსაც კი.

სრული ფიასკოს შემდეგ ამ ხალხს კი მოუწყობს მსოფლიო ნიურნბერგის პროცესს, მაგრამ აქ ბუში და მისთანები არავის გაახსენდება.

ამიტომაც მოვითხოვთ ჩვენ ღიად, დომინანტურ (ხილულ) ოლიგარქიულ მსოფლიო მმართველობას, პლანეტის გადარჩენის მოტივაციით.

ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ოლიგარქიული მსოფლიო მმართველობა, პირველ რიგში, უცილობლად დაეჯახება სამხედრო ინდიუსტრიული კომპლექსის ინტერესებს, რომლის ყოველწლიური ბიუჯეტი 4 ტრილიონ აშშ დილარს აღემატება; როგორც წესი, მათ უკანაც ოლოგარქები, ანუ ფულიანი ხალხი დგანან. აქ ნებისმიერი ინდივიდუალური მიმართება იმთავითვე განწირულია მარცხისთვის, როგორც ეს მოხდა კენედის, ალიენდეს, ჰუსეინის, გამსახურდიასა და სხვათა შემთხვევაში; მაგრამ დაპირისპირება ამ რეალობასთან ხელეწიფება ისევ და ისევ ოლიგარქიულ გუნდს, რომლის პირველ მერცხლად ჩვენ ბატონი **ბიძინა ივანიშვილი** დავსახეთ რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად (ვლადიმირ ტუტუხინი, ჩაკ ფინი, ტიმ კუკი, ილონ მასკი, საუდის პრინცი ალ ვალი და სხვ.)

დედამიწაზე დათბობის პრობლემა კრიტიკულ ზღვრამდეა მისული. პლანეტაზე ატმოსფეროში ტემპერატურის კიდევ ერთი გრადუსით მომატებისას ჩვენ ვიღებთ მილიონობით წლის წინანდელ სიტუაციას, როდესაც დინოზავრების მიერ მწვანე საფარველის პირწმინდად გადაძოვამ დედამიწაზე გამყინვარება, ამან კი თვით დინოზავრების სრული განადგურება გამოიწვია. ეს სასოწარკვეთილი არსებანი სიცოცხლის სასრულს გამოქვაბულებში დებდნენ კვერცხებს შთამომავლობის გადასარჩენის იმედით, მაგრამ აღნიშნულმა ღონისძიებამ ვეღარ უშველა მათ პოპულაციას: ისინ ნამარხ სხეულებად დარჩნენ, ან განიცადეს მუტაცია და იქცნენ ხვლიკებად ლორკას მიერ თქმულის კვალობაზე — **ხვლიკი — ნიანგის წვეთი.**

ადამიანის პოპულაციის გადარჩენას ვერ უშველის მთვარეზე, მარსა თუ სხვა პლანეტაზე ახალშენების მოწყობა, რადგანაც სიცოცხლე ირმის ნახტომის გალაქტიკაში ჯერჯერობით მხოლოდ დედამიწაზეა დაფიქსირებული. აქ **ილონ მასკის** თავგადადებული მეცადინეობა უშედეგოა, რკინის ზედაპირიანი მარსი ვერ გადაარჩენს მისი 10 შვილიდან ერთსაც კი კაცობრიობის სათესლედ, თუმცა კი ლამის ტრილიონი აშშ დოლარის მფლობელია. და ვერც ვინმე მოახერხებს ამას, იმ 3200 მილიარდერიდან, კაცობრიობას რომ გამოუძერწავს კერპების სახით, თუკი არ მივედევნებით დასახელებულ კონცეფციას — **ოლიგარქიულ მსოფლიო მმართველობას დედამიწის გადასარჩენად.**

ეს ძალისხმევა აკადემიკოსების, **გიორგი კვესიტაძისა** და **რამაზ გახოკიძის** ტანდემურობით შემდეგნაირად წარმოჩინდება: **ოლიგარქიული ფულადი რესურსებით ხდება ნახევარუდაბნოებისა და უდაბნოების ათვისება ბიოსტიმულატორი „ბიორაგით“ გაჯერებული ხე-მცენარე fistacia vera-ს, ფსტას მეშვეობით.** დიახ, ამ უნიკალური ხე-მცენარის შემწეობით ვითვისებთ მილიონიბით ჰექტარ უდაბნოს თუ ნახევარუდაბნოებს და რამდენიმე ათეულ წელიწადში ჩვენს პლანეტაზე ვქმნით მილონობით ჰექტარ ოაზისს, რომელიც სასოწარკვეთილ კაციბრიობას მოუმრავლებს ჭარბ საკვებსაც და, ამავდროულად. უმთავრესს — მაცოცხლებელ ჟანგბადს, რომელიც თავისთავად გაზრდის ატმოსფეროში ოზონის ფენას და შეამცირებს მზის დამანგრეველ ზეგავლენებს ბიოსამყაროზე. მსგავს ვითარებაში, ცხადია, იკლებს რადიაციის დონე. ადამიანის ორგანიზმი დაუბრუნდება მისთვის დაწესებულ ბიოლოგიურ კოორდინატებს, მამრი მამრს დაემსგავსება, მდედი მდედრს და, აქედან გამომდინარე, მსოფლიოსაც აღარ მოუწევს თავპირისმტვრევა ერთსქესიანთა აღლუმების აღსაკვეთად.

ჩვენ ნუ მივეცემით სასოწარკვეთას დედამიწის სადღეისო სავალალო ეკოლოგიური ვითარების გამო, ვინაიდან კაცობრიობას მართებული მიზადასახულობის შემთხვევაში შესწევს უნარი ჩვენის პლანეტის ეკოლოგიური დეფექტები თვალის დახამხამებაში აღმოფხვრას და მისი ცხოველმყოფელობა გაცილებით მაღალ რეგისტრში აიტაცოს დროის უმოკლეს მონაკვეთში.

აი, ამ მამითადში, აი, ამ ლელოზე მსოფლიო ოლიგარქიული მმართველობის პირველ მერცხლად ბატონი **ბიძინა ივანიშვილი,** ვფიქრობთ, შემთხვევით არ დაგვისახელებია.

დაბოლოს, დასკვნისთვის, ჩვენ გაგვახსენდება ზარების სცენა **ანდრეი ტარკოვსკის** ჩინებული კინოფილმიდან **„ანდრეი რუბლიოვი“**:

გადაგდებულია მონღოლ-თათართა ორსაუკუნოვანი ბატონობის უღელი. მიმდინარეობს ტრადიციული ფასეულიბების, ეკლესია-მონასტრების აღდგენა, მაგრამ ზარი არსად ჩანს, არც მისი ოსტატია ცოცხალი და აქ მისი მემკვიდრე დაიბრალებს ზარის გამოდნობის ცოდნას. იწყება კოლექტიური მიძრაობა და აჰა, აზიდულია ჩამოსხმული ზარი სამრეკლოზე, გუგუნებს კიდეც, ყმაწვილი კი ტირის მონასტრის კუთხეს მიყუდებული. ჩაეკითხებიან: **რა გატირებს, ილხენდე უნდაო.** და ისიც ამგვარად გაეპასუხება: **მე არ ვიცოდი ზარის გამოდნობა, ეს თქვენ, ხალხმა მოიმოქმედეთ ყველაფერიო.**

ჩვენც დაახლოებით მსგავს სიტუაციაში ვიმყოფებით, თუმცა ყველაფერზე, რიგისობის მიხედვით მეათე, დამაგვირგვინებელ პუბლიკაციაში.

დასაწყისი იხ. „სგ“ N34-41, 2023 წ.; N1, 2024 წ.





უმადური ევროპა და ამერიკა

— ზურაჯან, ეგეთი ამბავი მომიტანია, აბალდეეშ! დავაი, არხეინად გავშალოთ, იმ კრისა ნანულას კარსა იმხელა ბოქლომი ადემს, ზეგამდინ არ მოვა... ზურაჯან, ამოდენა კაცი ფეხებში რათ მედები, რახამც შენი სახლია? — თრითინასავით აჩქარებული დასუკსუკებდა ერვანდა.

— ჰა, დაჯექი, მეტი რაღა გინდა? ღმერთს დიდება, ჩვენ — მშვიდობა! აბა, ამოშაქრე, — ვხუხე, მივუგდე ძუნწად ორიოდე სიტყვა და რაჭული ლორის ნაჭერს ვეცი, სანამ ნანული შემოვარდებოდა და პირიდან გამომგლეჯდა წივილით, არც ეგ გეჭმებაო.

— შენ იცი, ევროკავშირი ვინ გაკეთა? — ერვანდას მეორე ჭიქაზევე მოეძალა ევროკავშირზე ბოღმა.

— არ ვიცი, მაგრამ ვინც შიგ არიან, ისინი გააკეთებდნენ, აბა, ჩვენ ხომ არა, — ამდენი ხნის ნასვენს მეც უცბად მომეკიდასავით ერვანდას „ახტამარი“.

— გეგონოს! ვინავატები ქართველები ხართ! ტო, ეს რა გაკეთა იმ ქართველმა იგეთი, რომ აქეთ გახვეწინებენ ქართველებსა, რო ოღონცა მიგვიღეთ მაგ საიუზშიო? თქვენ უნა მაგრად დადგეთ და უთხრათ: ეგ რო კაი რამე ყოფილიყო, ჩვენთვინ გავიკეთებდით! — და მორჩა ბაზარი!

— ერვანდ, ჩამოგკიდებ კომშის ხეზე და გაგახმობ ზაკუსკად! რა გააჭირე საქმე, დალაგებულად თქვი!

— დაიცა, ამოვიღო შპარგალკა, სუ იქ ჩავიწერე რო რამე არ ამრეოდა, — ქურთუკის ჯიბეების ქექვა დაიწყო ერვანდამ, — ვნახე! აგე, ნახე: იურისტი, მეცნიერი, საერთაშორისო სამართლის დარგის სპეციალისტი, საზოგადო მოღვაწე, ევროპის ხალხთა კონგრესის პრეზიდენტი, ევროპის ფედერალისტური მოძრაობის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ევროპული ფორმაციის ინტერნაციონალური ცენტრის ბიუროს ვიცე–პრეზიდენტი, სპორტსმენი, მთასვლელი, “აკადემიური პალმის” ჯილდოს კავალერი…

— ჩადი რა, ბოლოში!

— როგო ჩავიდე, მიშვებს? იტოგში, ამ ტიპმა აქ რო შკოლა დაამთავრა, წავიდა ევროპაში და სადაც რამე უჩილიშჩა ნახა, ყველაფერში ისწავლა. მერე იფიქრა, ერთი თბილისის კარგიცო, გადაიკეთა გვარი ევროპულად და დარჩა იქა. ზურაჯან, აი, უყურე, უჟე ეტყობა რო გოთვერნობას იზამს!

— ბიჭო, ვინ არის ეგ დედააფეთქებული, რა ლექციას მიკითხავ, ჩადი რა, ბოლოში, თან დაასხი!

— ტო, შენ ვინღა მოგდემს, რა სრაზუ „დაასხი“ გიკეთია ენაზედ? ვერა ხედამ, რო განათლებას გიკეთამ? — ფართოდ გახელილი თვალებით დამაკვირდა ერვანდა.

— მომწყინდა, ერვანდ, საინტერესოდ არ მეჩვენება... ჰა, თქვი, რამე! — გამოვუტყდი მორიდებულად....

— ეხლა ნანულა რო აქ იყვეს, იტყოდა, „თქვე ლოთებო“ და მე გამიხარდებოდა. იცი, რათა? ზნაჩიტ, სამივენი კარგადა ვართ, ჰოდა, გაგვიმარჯოს ერთადა! ჰოდა, ის ტიპი, მინამ რო არ მოკვდა შუა ალპინისტობაში, სულ თქვენი სტრასბურგის უნივერსიტეტის სამართლის, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთო საჯარო სამართლის კათედრაზე იყო ტორდადებული და აზრზე მოდი, სტრასბურგის უნივერსიტეტის საბჭოს კავშირისა და აღმოსავლეთ ქვეყნების კვლევის ცენტრის დამაარსებელი და უცვლელი დირექტორი იყო. აგე, მანდაც გამოჩნდა რა მასტიც იყო, დაიადა დირექტორის სკამი და პრივატიზება უქნა!

— ბიჯო, ან ნამდვილი გვარ-სახელი მითხარი, ან შეცვლილი, რა გამიჭირე საქმე?!

— მაცალე, ვა! შენ როცა რომ ლექციას მიკითხამ, მე მაგრე ვანბობ? — გისმენ, როგორც რო პტიჩკა გუგულა...

— კარგი, მიდი, მაგრამ ცოტა ვკრატცე, თან დაასხი, — გამეღიმა.

— ვკრაცე, ეს ტიპი პირველი დაიწყო ბაზარი ეგ თქვენი ევროკავშირის შექმნაზე. ტო, ევროპაში ევროპელები გაგნებაში არ იყვნენ და ეს ანბობს, ევროკავშირი უნა შეიქნას, მაგარი რამე იქნებავო. სუ პირველათ, შიგ ევროპაში საზღვრები უნა წაიშალოსო. ისინები გამოქლიავებულები უყურებდენ, ეს ცოტა კი არა, მაგრად ვერლავეს არისო, მაგრამ ეს გაჩერდა? წერა და წერა დანოსებივით, რა მაგარი იქნება ევროკავშირი. ის ევროპელები კიდე, ხო იცი, რა სირთაოზები არიან, ვერაფერი გაიგეს, მაგრამ იფიქრეს, რახამ არ გვესმის, ზნაჩიტ ნაღდად ეგრეა, მა ეს ამოტონა პრაფესორი კაცი ხომ არ გაგიჟდებოდა, არ შევიმჩნიოთ, მითამ აზრზე ვართო და დასტური უთხრეს, საღოლ, რა კარქა მოგიფირებიანო...

— არ მთავრდება? — ლამის ამოვიკნავლე.

— სლუში, ზურაჯან, უმნი კაცი ხარ, წერა-კითხვა გიყვარს, რატომ ეგრე მგლის საჭმელი გოჭივით ატყდი, მაცალე, რააა! ძლივას მომენტი დამიჭერნია, რო რაღაც არ იცი და განათლებ, შენ კიდე მეობნები, გაწყვიტე კაიფიო. იტოგში, ამ მასტმა რვა ქვეყნის 300 სტუდენტი და სამი პრაფესორი გააქანა, მოშალეს საფრანგეთ-გერმანიის გრანიცის ინფრასტრუქტურა და დაასვეს ერთიანი ევროპის დროშა. სკაზალი, ეს რა არი, პატარა კასტიორია, ეხლა დიდი პაჟარი შიგ სტასბურგში უნა ვქნათ, რო ევროპული გულებიც აინთოსო! — საჩვენებელი თითი აწია ერვანდამ და ისე შემომხედა. კარქა მისმინე: ეს მასტი, იცი, რო რაც რომ წავიდა, ერთხელაც აღარა ყოფილა აქა? ტო, მე ხო არ ვუგონებ ჭორებს მკვდარ კაცსა, აგე, მაგის ზმიშვილმა უთხრა, რო დედას მარტო ერთხენ მიწერა წერილი. მაგის ბეჩავ დეიდას მიუწერნია მოსკოვში, ჩემ დიშვილ ჩამოსვლა უნა და მაიტა, ნება მიეცით, რა დაუშავებიანო. იმათ უთქმიათ, კაგებესა, აჰა, ჩამოვიდეს, მაგრამ იმას აქ ჩამოსვლის დილიხორი არა აქ და ნეტაი თქვენა, დაიკიდეთო.

— ბიჭო, მაგ დროს ვინ ჩამოვიდოდა, — ეგრევე გადოლში!

— მაგამდენ? შენ რათ იცი ყველას აპრავდანია? ეგ მასტი უჟე იქიდამ არის პადაზრიტელნი, ევროკავშირი რო მოიგონა. ნუ, მალევე მოკდა ალპინისტურ პახოდში, მარამ წლისთავზე მაგის ორი იტალიელი სტუდენტი მონბლანზე ასულა და ერთიანი ევროპის დროშა დაურჭვიათ ხსოვნის პონტში — რა მაგრათ აკლიათ ამ ევროპელებს. წადი, შვილო, ჭედილა დაკალ, შტოფი ჩააცივე, რა მონბლანი და დროშა უნდა იმ საიქიოში მკვდარ კაცსა, დროშა ჭამოს და ტარი მიაყოლოს? მაიტა, ჩვენ მაინცა ვთქვათ მიშელ მუსხელის შესანდობარი, მერე რა, რო მაგის შექმნილი ევროკავშირი მაგრად არ მევასება, მაგათი დროშა რო დავხიე ჯანგიანი ყბებითა, მაგრამ ცოდოა, ვის ახსომს იქა, — მომიჭახუნა ერვანდამ და გადაჰკრა. გამაოგნა, ხმა ველარ ამოვიღე.

— ეშჩო! ევროკავშირმა სულ რევერანსები უნა გიკეთონ ქართველებსა, მარამ აგე!.. რა, ამირიკა ნაკლები გოთვერანია? ხუთი იგეთი რამე გაუკეთეს ქართველებმა ამირიკასა, სუ რომ დუმებზე უნა კოცნიდნენ, ისინები კიდე უვიზო გადი-მიდისაც არ გვაძლევენ. ტო, რა უმადური ვინმები არიან ეს ამირიკა და ევროპა? ვაბშემც — მსოფლიო. ტო, მე ეხლა იმათ არ ვამბობ, მეცნიერები და ცეკვა-თამაშა ვინმეები რო არიან, თორე, ნახე რა ბევრი იქნებოდა? ტო, ეს არა ჰკმარა? რა გაცინებს? — ჩამაკვირდა ერვანდა.

— კიდე ლექცია უნდა წამიკითხო?

— რათა ლექცია? — მე სამართლის თქმა მიყვარს შიგ სახეშიდ. ძმაკაცი მყავდა, ცხონებული, ალიკა ქართველიშვილი და იქიდამ მახსოვს ალექსანდრე ქართველი (ქართველიშვილი) ჰოდა, იმ ალექსანდრე ქართველსა ჰქვიან აშშ-ის სამხედრო ავიაციის ფუძემდებელი. ვოტ! ჯორჯ ბალანჩინ ი პრინც მაჩაბელ! სლუში, რაჭველები რა პრიკოლი ვინმეები ხართ, ეს თქვენი გრიგოლ კობახიძე, მერმე რო ჯორჯ კობი დაირქვა მერე, ამირიკაში იმიტო წავიდა, რო იგრუშკები, წყალგამძლე ცემენტები და ეგეთები ექნა? ტო, აქ ვერ იზავდა? — ხითხითი დაიწყო ერვანდამ.

— რა გაცინებს, ბალვანო! — მეც ვიცინოდი.

— არაფელი, პროსტო ვფიქროფ, რატო შენი ნათესავი არ გამოვიდა, ტიპი მულტიმილიონერი გახდა, გლოლელი დათვის გარდა რო არაფელი ენახა, — მხიარულობდა ერვანდა.

— გავიგე, რომ სანადიროდ იყავი რაჭაში, მერამდენედ უნდა მითხრა...

— ჰოდა, მაინც ვერ გაიგე! მე ბევრგან მინადირნიან, მარამ შენ მარტო გლოლა ჩაგრჩა თავში, იმიტო რო, ბოღმიანი ტიპი ხარ, ფიქროფ, რათ მომიკლა რაჭველი დათვიო — არ მომიკლამს, რო დავინახე, რო ორ ფეხზე იდგა, გული გამისკდა, სუ შენა გავდა, შენ ხო არ გესროდი, — ხითხითს განაგრძობდა ერვანდა. — მე ჯერ გლავნი ამბავი არ მითქმია — ნიუ-ორკის ქართველი ვიცე-მერი იყო კონსტანტინ (კონი) სიდამონ ერისთავი! ზურაჯან, „კონი“ რა პონტია? დღეს რო ნიუ-ორკს სუფთა წყალი აქ კრანში, კრუგომ მიწა, ნიადაგი და მთელი გარემო დაცულია, სუ მაგანა ქნა! გავარიატ, მისი პატრონაჟით დამტკიცებული პროექტები ჯერ კიდე ხოდშია. სლუში, რა ეწყინა მაგასა, ვლასტში რო „ოცნება“ მოვიდა?

— რა „ოცნება“, ერვანდ, გაუბერე?

— მე რა ვი, მა 2012 წლამდე თუ ცოცხალი იყო, 2012-ში რამ მოკლა?

— დაასხი!

— დავასხამ, მა, რა, მაგათი შესანდობარიც ხო უნა ვთქვათ! სლუში, ზურაჯან, ჩვენ აქა ვქეიფოფთ თუ ქელეხი გვაქ?

— მე რა ვიცი, ვინც ვინმე ახსენე, ყველას შესანდობარს შენ ამბობ, — ამიტყდა სიცილი.

— აქ ჩვენ გაგვიმარჯოს, იქ — იმათ! ტო, უმადურები ხო ყოფილან ეს ევროპა და ამირიკა, ჰამა ტრიპაჩებიც. ტო, იქით მე დაგიწერეთ პა ბუკვამ რა ჩვენი ფეხებია ევროკავშირი და რო არ დამხჩალიყავით, იმ ნიუ-ორკშიც მე გამოგიშვით კრანში წყალი, აქეთ რათ მასწავლი რამებსა? ჰოდა, იმიტომაც ახია! აგე, ეხლა ბიძინაჩვენი მოვიდა და სუ დაუპარიადკებს ყველაფერსა!..

მაიცა, ზურაჯან, ამ შუშურკებ მა რა ეგონათ, რო იმ ევროკავშირში ტუტ პომნიუ, ტუტ ნე პომნიუ შევალთ? ეგრე როგორ იქნება, ალაგ-ალაგ საქართველო ევროპელი იქნება, ალაგ-ალაგ სავეცკი საიუზი? ჩეეე, ტოო, სადა ბანაობ! ახლა ნახე ბიძინაჩვენი რასა იქმს! სკაჟეტ: ცავატანემ, ჩემო კარგებო და კეთილებო, რათ გამაბრაზა კაკაბაძემან? ჰოდა, მოველ და იხლა მიყურევით — ევროპა გინათ? გინათ! როგორად გინათ ეგ ევროპა, მაგი გულითვინ აღარცა აფხაზია გინათ, აღარცა პრინც მაჩაბელი? არა, ეგრე არ გვინათ! — აყვირდებიან გიჟვრაცუები. ტო, მა როგო გინათ? რუსეთს არ დაელაპარაკო, ეგა ოკუპანტია, ნო ტერიტორიები დააბრუნოსო? — ეგრე სადაა, დაჟე გრამაფონში არაა.

— ვა, რამდენი გიფიქრია, ერვანდ, — გამეღიმა უაზროდ.

— რა, ცუდათ მიფიქრია? ტო, ტიპს არაფელი აკლია, თავს რათა ჰყოფს ლომის ხახაში, ატ ნიჩეგო დელატ, ერთობა? შენ აზრზე არა ხარ, ტიპები გიჟებსა ჰგამან, ფიქრობენ, ეს რა დეტსკი მატი ჩაგვისვა ამ კაცმან, რას გადაგვეკიდა, ტოოვო... იმათებთან კიდე, თუ რომ ტრამპები და ლე პენები მივიდნენ, მერე ნახე გიტარა და ჩქარი ტაში!..

— დაასხი, კაცო, ერთი მაგათი ჭკუაც!

— ჰოდა, ეგრე, ჩვენ გაგვიმარჯოს ბიძინაჩვენთან ერთად!

ზურა ოშხერელი

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯგი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99